

729
173

המוסד לפרסום
המרכז הלאומי

המחשבה והמחשבה המחשבה והמחשבה



1973

5

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოამბე

№ 5 (75)

სექტემბერი — ოქტომბერი

12289

ქ. ბარკოს სხ. სქ. 11
სხედილი
20 თბ.

პე. მამულო!

გალაპტიონე ტაგიძე

პე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია,
სანამ გმირმა შენთვის სული დალია—
სიტყვა: „სამშობლო — უპირველეს
ყოვლისა!“

არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული — უპირველეს ყოვლისა!

მზე ჩაქრება ყველა სისხლისმწოვლისა,
მზე ამოვა ყველა დაჩაგრულისა,
წამლად იქნას ყოველ დაჭრილ გულისა,
გამარჯვება უპირველეს ყოვლისა!

დე, ბრწყინავდეს დროშად თვითეულისა
საქართველოს მკერდი ორდენოსანი,
მისი მიწა, მისი მზე სხივოსანი,
ის გვიყვარდეს უპირველეს ყოვლისა!

1941.

რედაქტორი—**მრეხია ქარელიშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი — **გურამ ბათიაშვილი**

სარედაქციო

კოლეგია:

ვ. გომიაშვილი, ნ. გურაბაიძე, ნ. გუნია, ო. ევაძე,
ბ. იაპაშვილი, ვ. კიკნაძე, ლ. ლომთათიძე, გ. ლორთქიფანიძე,
დ. მხედლიძე, ბ. შლენტი, ნ. შვანგირაძე, დ. ჩხეიძე,
ბ. ციციშვილი, დ. ჯანელიძე.

რედაქციის მისამართი: კიროვის ქ. № 11-ა, ტელ. 99-93-78



გალაკტიონის კლასიკური კომპოზიციური მემკვიდრეობა ქართული ხალხის ხსოვნაში წარუშლელად დარჩება მარადჟამს.

კონსტანტინე გამსახურდია

გზავნება და სიამაყე ქართული ლირიული პოეზიისა

დავით კლდიაშვილი

ხშირად ვოცნებობ და შევსცქერი ცას,
ვეძებ უხილავს...
რა სიწყნარეა, ოჰ, ღმერთო ჩემო!
ჰეი, გაიღვიძე ქართო ძღვერო,
გამოიღვიძე მიდამო მკვდარო,
გასწი, უამბე ადამიანებს —
ჩემი ოცნება მიუსაფარო;
და თუ მათ შორის აღმოჩნდა ერთი
უუშორესი თანამგზავნობელი,
ისიც დიდა მისთვის, ვისთვისაც,
ზღვა-უღაბნოა მთელი სოფელი...

ასე დასვედიანებული იყო ახალგაზრ-
დობისას „უხილავის მებრძოლი“ მგოსა-
ნი, მთრთოლავი, რომ მის ალელვებას
არაფინ გაიგებს. მაგრამ იგი შემცდარი
შეიქმნა. მისი ღელვა, მისი სულისკვე-
თება ერთმა კი არა, მრავალმა გაიგონა,
მრავალთა გულს მოხვდა და ააღელვა

და მათი შვების მიმცემი შეიქმნა და
შეიყვარა; ეს იმიტომ რომ მისი ალელვე-
ბა, მისი სულის მოძრაობა მხოლოდ
მგოსნისა კი არ იყო, არამედ ათასი მის
გარშემო მოფუსფუსე ადამიანების; ბედ-
მა მას დააკისრა ყოფილიყო გამომსახვე-
ლი, გამომთქმელი იმ ადამიანების სუ-
ლისკვეთების, რომელთა შორის იგი იყო;
და ადამიანებმა შეიყვარეს მათი სული-
ერი ცხოვრების გამომსახველი და მუდამ
სიყვარულით შემოსილს იყოლიებენ. ეს
ბუნების ჯილდოა. ცოტას ხვდება ასეთი
ბედნიერება; და ამათ შორის ჩვენს საყვა-
რელ გალაკტიონ ტაბიძეს — ქართული
ლირიული პოეზიის მშვენიერებას და სიამა-
ყეს.

დაახ, გალაკტიონის განცდანი მარტო
მას არ ეკუთვნის — იგი ჩვენია და ამი-
ტომ გვიყვარს მგოსანი.

გალაკტიონის ახლოს შალვა დადიანი

გალაკტიონ ტაბიძის ლაბორატორია...
(ყველა შემოქმედს ხომ თავისი ლაბო-
რატორია აქვს) შემოსილია გარეგან ოქ-
როს ჩარჩოთი. ჩარჩო უცნაურია რო-
გორც საერთოდ მაღალნიჭიერ მგოსნის
უცნაურობა და ჰგავს საარაკო ყვავილებს
და ზოგჯერ ზღაპრულ კოშკებსა და თა-
ნამედროვე კონსტრუქციულ ხაზებსაც
ხუროთმოძღვრებაში.

მხოლოდ მთელი აღნაგობა ამ ჩარჩო-
საც, რომელიც ერთბაშად თითქო შეჩვე-
ულ ქნარს გვაგონებს, ჰაეროვანია, მსუ-
ბუქი და ხელთ დაუჭერელი.

გალიის იქით მოჩანს თვის ტაძარში,
ლაბორატორიაში, მღვდელ-მოქმედი პო-

ეტი-ავტორი, რომელიც აგრეთვე უცნაურ
ლიმილში ცვალებადობს: დასცინის ამ
ცხოვრებას თუ სვედიანობს, ხალისით
უღიმიის თუ კმაყოფილებით აღფრთოვა-
ნებულა.

ლაბორატორიიდან კი გამოდის ხმები
ნაზი და სალუქი, გულის მომწყვეტი
და ამამალღებელი.

ხშირად ეს ხმები ისეთი მომხიბვლე-
ლია, მიმზიდველი, მახლობელი და სულ-
ში ჩამწყვდომი, რომ განცვიფრებული
დგები ამ ტაძრის წინაშე და თითქო გა-
ბედნიერდი.

დიდა ძალა ამ წარჩინებულ ლაბორა-
ტორიისა!

მ კ ი თ ხ ვ ე ლ ე ბ ს ია პაპალაძე

... რწმენას დღევანდელი ჩიქურთუ-
ლი პროზისა თუ პოეზიის კითხვით თავ-
მობეზრებულებს მოგინდეთ წმინდა ქარ-

თული მეტყველებისა და განცდის გემე-
ბა, ან მოგესურვოთ „ოცნების მთაზე“
შედგომა, გადაიკითხეთ ხოლმე ლექსთა



კრებული გალაკტიონ ტაბიძისა და თქვენ უმაღლეს გაგახსენდებათ ლოცვები უებრო სიჭაბუკისა და მოვარდნებთან გულის-თქმანი ძმობის, ერთობის, აღფრთოვანებული მისწრაფების იდეალისადმი, გაგატყვებთ ბრძოლის ყიყინა, წაგატყვებთ ლურჯი თუ შავი თვალები ბანოვანთა. თქვენშია აჭარბდება გრძნობა სამართლიანობისა, სურვილი მოძმეთათვის თავდადებისა, გრძნობა ძველი რაინდული მწერლების, რომლებიც ნატრობდნენ, რომ დამხობილიყო ძველი წესი ცხოვრებისა, დამხობილიყო მაშინდელი ქვეყანა, — ქვეყანა ორჯულთა და ორპირთა, ქვეყანა მლიქვნელთა და ძალმომრეთა, ქვეყანა ფლიდთა და თვალთმაქცთა, ქვეყანა ქედმაღალთა და ამპარტავანთა, ქვეყანა ჯაშუშებისა და მტარვალებისა! გალაკტიონის პოეზია ტკბილია, ვითრემ დედისა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია წკრიალაა, ვით ციდან მონასმენი ზარის რეკვა, ას წელიწადში ერთხელ რომ მოისმის ხოლმე ლიტერატურაში.

გალაკტიონის პოეზია წმინდა წყლის ზმანებაა, მიმოფრენაა წინაგრძნობათა

და ოცნების სამყაროში თანადროულბის სამოსელში გამოხვეული. იგი იმ ოცნებათა ჭიდილია, საუკუნოებით რომ დასდევს ხოლმე ჭირნახულსა და კულტუროსან ქვეყანას და ამ ქვეყნის მესაიდუმლოთ. იგი ცრემლისა, სისხლისა და სიყვარულისაგან შემზადებული მსხვერპლია, საუკუნოების წიაღში გადასროლილი სამშობლოსა და კაცობრიობის საკურთხეველზე შესაწირავად.

იგი ის გაუქრობელი კანდელია, რომელიც ენით, ანთია და მარადის ენთება. გალაკტიონის პოეზია — პოეზიაა ყოველი დროისა.

საერთო ლიტერატურული მიწევ-მოწევისა და ღრინაცვლის დროს ისეთი კაცი უფრო ჩანს ხოლმე, ვინც მეტსა ჰყვირის, ბაძავს სხვებს, სესხულობს სხვის აზრებს, ბობოქრობს, თავხედობს.

გალაკტიონის ასეთი გამოჩინება არა სჭირდება! მისი წმინდა ქართული, წკრიალა ლექსები, უაღრესად მხატვრული მოსმა კალმისა, სისადავე და ბუნებრივობა აზრთა გამოთქმისა ნათლად მოწმობენ, რომ იგი ნათლულია პოეზიის ღმერთისა.

ს ა ლ ლ ე ი ს ო ლ

განდეგილი

...გალაკტიონ ტაბიძე, — ეს დიდი პოეტი, უდიდესი განცდებით და უნახუნის გადმოცემებით.

ჩვენ გვყავს რამდენიმე თვალსაჩინო პოეტი როგორც ძველ, ისე ახალ პოეტებში: ზოგი მათგანი ახლავე შეიძლება ნამდვილ პოეტად გაჩენილად ჩაითვალოს არა ლექსთა სიმრავლით, არამედ ნამდვილი პოეტური სულით. მაგრამ გალაკტიონი, — სულ განცალკევებული მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში!

შეიძლება იმას ამიტომაც უწოდეს პოეტთა მეფე!

მე კი ამ სახელს ვერ ვუწოდებ მას, თუნდაც მარტო იმ მოსაზრებით, რომ ყოველი მეფე თავისებური დესპოტია. და გალაკტიონს, როგორც პოეტს, ვერაგინ დააბრალებს დესპოტობას, იგი არა-

ვის შესცილებია არც გვარიშვილობასა და არც ნებში... გაჩნდა თავისთვის პარნასის მწვერვალზე და იმავე პარნასმა გადმოსტყორცა ამ ქვეყნად, რათა თავისებური სინარნარი მიღეროს: რომ „არასოდეს არ უნახავს მთვარე ასე ნახი“, და ჩვენს სიამაყე ბარათაშვილს ამდენი წლის მდუმარების შემდეგ პირველად გალაკტიონი გაეხმაუროს იქიდან, სადაც „დაწყვეტილ ყმას უყვარდა ოზლად სიარული“.

გალაკტიონი განსხვავებული სიმძლავრით გრძნობს ბუნების ხვამაიდს და ამ ძლიერი განცდის შედეგია ის, რომ ობოლმა სულმა თამამად შესძახა მერის „და მე ავტირდი, ვით მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული“.

იშვიათი განცდა ასეთი ძლიერის სიტყვით მოსწყდება ხოლმე პოეტის ბაგესა.

გალაკტიონი არ არის ჩვეულებრივი პოეტი, და ამიტომაც მას სათუთის გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავისი ერი...

* დ. კლიაშვილის, შ. დადიანის, ი. ეკალაძისა და განდეგილის წერალები ამოღებულია 1927 წელს გამოცემული სალიტერატურო ბიულეტენიდან „გალაკტიონი“. წერალები ამოღებულია შემოკლებით.

ბალაქიონე ზაბიძე და თეატრი

ზასილ კიკნაძე

ქართულ თეატრს მუდამ ბევრი მეგობარი მწერალი ჰყავდა. ჩვენი პროფესიული თეატრის ისტორიის დასაწყისიდან ხომ მწერლის სახელთან არის დაკავშირებული. კონტაქტი მწერლობასა და თეატრს შორის არ შენელებულა შემდეგაც. ხოლო იღია და აკაკი უპირველესი მფარველები და მესვეურები იყვნენ ქართული თეატრისა.

ეს ტრადიცია გავრძელდა ახალ საუკუნეშიც.

საუკეთესო ქართველი მწერლები მუდამ ახლოს იდგნენ თეატრთან. სიახლოვის მიზეზი ხშირად პირადი შემოქმედებითი ინტერესი როდი იყო. მათ იცოდნენ თეატრის დიდი კულტურული ღირებულება და ამიტომ საგანგებოდ აუბნებდნენ მას.

იმ მწერლებს შორის, რომლებიც თავიანთი სულითა და ბიოგრაფიით ასე ახლოს იდგნენ თეატრთან, მუდამ გამოირჩეოდა გალაკტიონ ტაბიძე.

აღბათ არც ის იყო შემთხვევითი, რომ მან სარეჟისორო კურსებიც კი დაამთავრა მოსკოვში. მის ბიოგრაფიას ამშვენებს რეჟისორის დიპლომი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სარეჟისორო კურსები მაშინ დაამთავრა (1918 წ.) გალაკტიონმა, როცა იგი უკვე აღიარებული პოეტი იყო.

პოეტი ხშირად ფიქრობდა თეატრზე. უძღვნიდა მას ლექსებს, წეროდა. ჰქონდა საინტერესო თეატრალური ჩანაწერები. 1936 წელს ერთ-ერთ დღეში ჩაუწერია თეზისები: „თეატრალური ხელოვნება. ყოფა და ცხოვრება აქტიორის იქ (უიდიობა, ტრივიულობა). შტამპები, რომელთაც დაიპყრეს ბურჟუაზიული სცენა. ამასთან ნერგები ახალი თეატრალური კულტურისა, ახალი რევოლუციური ხელოვნებისა“.

ძნელია კატეგორიული მტკიცება იმისა თუ რას ფიქრობდა პოეტი ამ მოკლე თეზისების შინაარსში. ძნელია მისი სიღრმეებისა და მასშტაბების წარმოდგენა,

მაგრამ საუბრის თემა ნათელია, ნათელია მისი პოლიტიკური ტენდენცია.

გალაკტიონის წერილებიდან თეატრის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მისი წერილი „თეატრები“. წერილი დიალოგის ფორმით არის დაწერილი. წერილი ეხება სინთეტიკური თეატრის პრინციპებს და ნათლად გამოხატავს იმჟამინდელი ქართული თეატრის სატკივარს, კერძოდ, 1919 წლის ქართული თეატრისა. ამ დროს ქართულ თეატრში რთული პროცესები ხდებოდა. თეატრს ჰქონდა ღრმა კრიზისული მოვლენები. უყურადღებოდ იყო მიტოვებული ქართული დრამა. მწვავე ბრძოლა ჰქონდა გამართული ქართულ რეჟისურას. მსახიობსა და რეჟისორს შორის გამართულია ბრძოლა, ისეთი, როგორც ევროპისა და რუსეთის თეატრებს არსებითად უკვე გადატანილი ჰქონდათ. საქართველოში კი იგი ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო. მაგრამ ეს არ იყო უბრალო კინკლაობა. ბრძოლას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ეხებოდა ახალ თეატრალურ გზებს, მის პერსპექტივებს. გალაკტიონის წერილი სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო. წერილი ასე იწყება:

რამქისორი — პიესა ჩატარდა ისე, როგორც შეფერის გამოცდილ რეჟისორს.

ჰამლეტი — არა, პიესა ჩატარდა ისე, როგორც შეფერის დახელოვნებულ მსახიობებს.

რამქისორი — თქვენო უდიდებულესობა.

ჰამლეტი — ასეა: მსახიობობა იხადება ზეშთავონებიდან და არ საჭიროებს არავითარ ტექნიკურ შენობას, უმადლესი მიზანი თეატრისათვის არის სცენური იმპროვიზაცია.

რამქისორი — თქვენო უმადლესობა... ავტორი?

ჰამლეტი — გაერთიანება შემოქმედების დროს ავტორისა და აქტიორის იდეების: აი კიდევ უდიდესი მიზანი.

ოფელია — ჩემის აზრით ეს კითხვა (რეჟისორი თუ ავტორი?) არ არსებობს. ეს მხოლოდ გაუგებრობაა.

ჰამლეტი — შეიძლება თქვენ აგვიხსნათ ეს გაუგებრობა?

ოფელია — სცენაზე ვარ და არ მახსოვს შემთხვევა, რომ პიესა ჩატარებულ იყოს თეატრალური მოწყობილობის გარეშე. ვერც ერთი მსახიობი მაშინ როლს ვერ შექმნიდა. თქვენო აღმატებულიებო! რა იქნებოდა ჰამლეტი, რომ არ ყოფილიყვნენ დეკორატორები, ბუტაფორები, კოსტიუმერები, სცენარიუსები, ან სუფლიორები? რეჟისორი მოწოდებულია...

ჰამლეტი — მოწოდებულია სცენარისტებისა და დეკორატორებისათვის!

რამქისორი — აგრეთვე ჰამლეტისათვის.

ამის შემდეგ მოკამათენი იმ დასკვნამდე მიდიან, რომ აღიარონ თეატრში ყველაფერი მთავარი, ყველაფერი, რაც მთლიანობისა და ჰარმონიულობის იდეას ემსახურება.

და ეს არის გ. ტაბიძის კონცეფცია, მისი აზრი თეატრის შესახებ. ამ აზრში სინთეტიკური თეატრის იდეალები იგრძნობა.

გ. ტაბიძე ხშირად მიმართავდა ხოლმე აზრისა და გრძნობის დიალოგის ფორმაში გადმოცემის ხერხს. როგორც ჩანს, მასაც დიდხანს აწუხებდა დრამატურგობის ჟინი. ამ მხრივ იგი სხვა დიდ მწერლებსაგან განსხვავებული იყო. მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი პოეტი და პროზაიკოსი ოცნებობდა დაწერა პიესა, გამხდარიყო დრამატურგი. ასე იყო სხვაგან, ასე იყო ჩვენშიაც. მაგრამ ძალიან ცოტას თუ გაუშართლა ბედმა. ვის არ უოცნებია ამოხსნა თეატრალური სამყაროს საიდუმლოება, ჩააწვდომოდა მის არსს და თავადაც გამხდარიყო საექსპლანსო შექმნის მონაწილე.

გ. ტაბიძის დღიურებში ბევრია მომავალი პიესების ჩანაწერები, გეგმები, თემები. ერთხელ მარჯანიშვილის თეატრში სახეიშო შეხვედრაზე მან თავის მომავალ პიესაზე საჯაროდაც ილაპარაკა. დღიურებში ხომ საკმაოდ ბევრია ასეთი განაცხადები:

... „მოქმედი პირნი“ — ზუბა, შიუკა, კვარკვი, მანალა, ასარბასარი, ლოლა, სასტუმროს პატრონი და სხვა. მოქმედება სწარმოებს 1921 წ. თებერვალში, ტფილისის მიდამოებში“...

ახლა სხვა ჩანაწერი:

... „მთელი მოქმედება სწარმოებს ძველი ტფილისის ფონზე. ძველი ტფილისი, ესლა ინგრევა — შენდება, ახალი შენობები — აი, ამ ნგრევა-შენების საფუძველზე აიგება მთელი პიესა. სიუჟეტი: ანგრევენ ერთ ძველ სახლს, რომელშიც მოთავსებულია ძველი ოჯახი — ეს არ არის რევოლუციური ნგრევა. ეს არის მშენებლობითი ნგრევა“.

პოეტს კინოსცენარის დაწერაც უყვია. სურვილი ჰქონია და ჩაუწერია ერთი ტიპის რვა თეხება. „თვალები დახუჭა, მის ოცნებაში გადაიბრინა მთელმა მისმა ცხოვრებამ. ვინ რას ეძახდა. ძაღლის ლეკვი — ასე უწოდებდნენ დაბადებულან. ვირი — ნაცნობ-მეგობრები“ და ა. შ.

პიესა ომის თემაზე. „რამდენიმე მტრის მხვერავი გამოდის, რომ დაზვერვოს“... ხუთიოდე სიტყვა. ხუთიოდე შტრიხი..

გადაჭრით ლაპარაკი ძნელია არ არსებულ პიესებზე, მაგრამ ჩანაწერების დიდი ნაწილი ისეთია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეტს კომედიების დაწერა ჰქონდა განზრახული.

ყველაზე სრული ჩანაწერი (021371-37) ვოდველის ეკუთვნის. „ივანე ნაპალეონად იქცა“ — ასეთია ვოდველის სახელწოდება. შემდეგ, ქვემოთ მინაწერი აქვს „ვოდველი. I მოქმედება გ. ტაბიძისა“. დაწერის თარიღი გაურკვეველია. არც ვოდველია დამთავრებული.

მთავარი ის კი არ არის, ვოდველი კარგი გამოვიდა თუ არა, მთავარია პოეტის თეატრალური ინტერესების სფერო, მისი დამოკიდებულება თეატრთან, როგორც ასეთთან!

გ. ტაბიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია თეატრს, თეატრალურ სახეებს. მან არა ერთი ლექსი უძღვნა თეატრს, მსახიობებს. ეს ლექსები დაწერილია დიდი პოეტური შთაბრძნებით.

თეატრის სული, მისი არტისტული ცხოვრების სითბო ძალიან კარგად არის ნაგრძნობი ლექსში „სცენა — სუნთქვაა განშირებული“. ამ ლექსში არის დატყევილი წარმოდგენის მზადების რიტმი.

დეკორატორი აწვადებს ფარდებს, სღვამს ტყეს და იქით ქოხებს თოვლიანს, შენ ამ პიესის მიზნარ, რა გვართებს ან მინტრელები როსმე მოვლიან?



სცენა — სუნთქვა გახშირებული, საწამლეები იღვრება ჭიქით, რამდენი მახსოვს ატირებული ამ დერეფნებში ამ ფარდებს იქით.

ვაღაიშალენ ვზები სხვადასხვა. ცხოვრებამ ბევრი წაიღო სასო, რა კარგად მახსოვს ძვირფასო ვა.ო.

თეატრალური სინამდვილე იჭრება მაცურებლის სულში და იქმნება გრძნობათა და ფიქრთა ჰარმონია. და იგი იქმნება იმ ცრემლის გამო, რომელიც სცენაზე დაიღვარა და მაცურებელიც გულგრილი როდია ამ განცდისადმი.

გ. ტაბიძემ შესანიშნავი ლექსები უძღვნა ქართული სცენის დიდოსტატს ვასო აბაშიძეს. პოეტს ბევრი თბილი მოსაგონარი ჰქონია მსახიობზე და ეს ლექსიც იმ განწყობილების გამოძახილია. მოგონებას ერთგვარი სინანულის იერი დაჰყრავს. არის ერთგვარი სევდაც, რომელსაც გარდასულ დღეთა მოგონება წარმოშობს ხოლმე.

მე მახსოვს მისი პატარა ბანა, იქ უფრო ადრე ვცხოვრობდი წინათ. რაღაც პატარა, რაღაც ფარულა, ო, შესახვევი თეატრალური.

პოეტის დღიურებში ბევრი თეატრალური ექსპრომტია. პოეტს უყვარდა არტისტული ცხოვრება, უყვარდა მსახიობები და გულწრფელ სტრიქონებსაც უძღვნიდა მათ. სწორედ ასეთი ექსპრომტია ქვემოდალნიშნული ლექსიც:

ვანო სარაჯიშვილო, ვანო ფალიაშვილო, კოტე მარჯანიშვილო სამუდებოდ გაშლილო, თქვენი ვაზ არ წარშლილა, ის იმარჯებს პირიქით. გრგვინავს ჩვენი თეატრი გაზაფხულის ლირიკით.

„მგვრგვინავი“ თეატრის ცნების ქვეშ პოეტი სწორედ იმ პერიოდს გულისხმობს, როცა ასეთი დიდი მსახიობები მოღვაწეობდნენ.

ერთი აპიზოდი ორი პოეზის სხოვკებიდან

პარლო კალანდაძე

გალაპტიონ ტაბიძესა და გიორგი ქუჩიშვილს ერთმანეთთან გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდათ. მათი მეგობრობის საფუძველი იყო პოეზიის უდიდესი სიყვარული, მათი მეგობრობა ბოლომდე მტკიცე იყო და უმაგალითო. ხშირად შეხვედბოდით ერთად, მათი ურთიერთობა გულწრფელი და უანგარო იყო.

მაგონდება უჩვეულო ფორმის სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი—1927, ტფილისი“, რომელშიც გალაკტიონისადმი მიძღვნილი გ. ქუჩიშვილის ლექსია დაბეჭდილი. აი მისი პირველი სტრიქონები:

ერთად ვერძოდით ცხოვრების მორევს, შხამსა და შარბათს ერთადა ვცლიდით; ძმათ-შეფიცულნი ვერ დაგვაშორეს ვერც დამუქრებთ და ვერც სიფლიდით.

1922 წელს სახელოვანი პოეტები — გალაკტიონი და ქუჩიშვილი სამტრედიას სტუმრებიან და რკინიგზელთა ქალაქის

კლუბში საღამო გაუმართავთ. საღამო ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. პირველ განყოფილებაში ვალაკტიონს, სხვა ლექსებთან ერთად, წაუკითხავს „მთაწმინდის მთვარე“, „მე და ლამე“, „გურიის მთებს“, ქუჩიშვილს კი რამდენიმე ლექსი.

გალაკტიონის თხოვნით საღამოში მონაწილეობა მიუღია მამაჩემს — ნოე დავითის ძე კალანდაძეს, რომელმაც ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა. იგი თანამშრომლობდა რევოლუციამდელ პრესაში („ცნობის ფურცელი“, „ლახტი“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.) ნ. დავითაშვილის, სელოს-ძმისა და კოდარას ფსევდონიმებით. მას იმ დღეს წაუკითხავს ილიას სხოვნისადმი მიძღვნილი ლექსი „აღარ გყავას“.

მეორე განყოფილებაში მონაწილეობა მიუღია ადგილობრივ რკინიგზელთა სიმღერის გუნდს. ამ გუნდს ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი იონა თოდუა. გუნდში მონაწილეობდა მამაჩემიც. საღამოს დამთავრების შემდეგ სასურველი სტუმრები მამაჩემს ოჯახში მიუწ-

ვევია. გალაკტიონს ადრე შეხვედრია ერთ-ერთ რედაქციაში. გ. ქუჩიშვილს კი ახლო იცნობდა ნოე ჩხიკვიძისა და ალექსანდრე აბაშელის შემწეობით. ამ სალამოს ჩვენს სახლში დიდი ღრეობა გამართულა, შუასუფრაში, სუფრის ერთ-ერთ წევრს დედაჩემისთვის მიუმართავს: ავალიან-აბაშიძის ქალბატონო, თქვენ სუფრას ქუთათური სტუმარ-მასპინძლო-

ბიათ და მისი სადღეგრძელო რიგგარეშე შეუსვამთ, გალაკტიონის პოეზიისათვის ერთსულოვანი ქება-დიდება შეუსხამთ. (ეს ექსპრომტი მამაჩემს ჩაწერილი ჰქონდა და ბოლომდე მის არქივში ინახებოდა. ემკვი არ მეპარება, რომ იგი აღმოჩნდება). დამსწრეთა ასეთი გულითადი შეხვედრებით გამხიარულებულ გალაკტიონს სუფრაზეც რამოდენიმე ლექ-



ბის იერი დაპკრავს (დედაჩემის — ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის აღზრდილის — ნინო ავალიანის დედა აბაშიძის ქალი იყო). გალაკტიონს ამ სიტყვების გაგონებაზე დედაჩემისთვის ექსპრომტი მიუძღვნია. ეს ლექსი იმდენად ეფექტური ყოფილა, რომ როგორც შემდეგში მამაჩემი იგონებდა ხოლმე, დამსწრეთა შორის აღტაცება გამოუწვევია, ხანგრძლივი ტაშით დაუჯილდოვე-

სა წაუკითხავს, მას გ. ქუჩიშვილიც გამოხმაურებია, შემდეგ სუფრის წევრებს წაუკითხავთ მათი ლექსები. აქ ესწრებოდნენ სამტრედიის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები — მასწავლებლები, სცენისმოყვარეები... მთელი ღამე პოეზიაზე, ხელოვნებაზე საუბარში გაუტარებიათ. ეს სალამო სამტრედიელებს დიდხანს

ახსოვდათ, დამსწრენი ყოველთვის სიამაყით იგონებდნენ მათთან გატარებულ დროს.

გალაკტიონისა და გ. ქუჩიშვილის სამტრედიამი ყოფნა უცნობ ფოტოგრაფს სურათზე აღუბეჭდავს. სურათი გადაღებულია სალამოს დაწყებამდე „მინუტკა“ ფოტოპარატი. ფოტოხელოვნების ოსტატმა შალვა ფურცხვანიძემ ბევრი შრომა გასწია რომ ამ მკრთალი სურათიდან ნათელი ფოტო-რეპროდუქცია მიეღო. სურათზე აღბეჭდილია სალამოს ზოგიერთი მონაწილე. მარჯვნივ, მეორე რიგში, გ. ქუჩიშვილისა და გ. ტაბიძის

შუაში დგას ნ. კალანდაძე, რომელსაც პოეტებისათვის მკლავები გაუყრია.

სამტრედიიდან ორივე პოეტი გურიაში გამგზავრებულია. მათ მამაც თან გაპყოლია. გურიაში გ. ტაბიძესა და გ. ქუჩიშვილს ძალიან გულთბილად შეხვედრიან. მამაჩემს არაერთხელ უამბნია ამ იშვიათი ზეიმური შეხვედრის შესახებ. იგი განსაკუთრებით მოხიბლული იყო გალაკტიონისა და გიორგის უანგარო მეგობრობით, ერთმანეთისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებითა და პატივისცემით.

ერთი სურათის ისტორია

შალვა ფურცხვანიძე

იმ დღეებში სოსო ჩვეულებისამებრ მოგინახულე, ჩემი მისვლა განსაკუთრებით უხაროდა მაშინ, როცა რაიმე ძველი სურათი მიმქონდა მასთან საჩუქრად.

ნე რა მოიტანეო. მიუჯდებოდა მაჯიდას და ჯგუფის ვარჩევას დაიწყებდა: აი ეს გალაკტიონია, ეს პაოლო, ესეც ტიციანი, ეს რუსი მწერალი ბელი... ეს გოგლა...



ეს იყო მისი სიხარული, გართობა და დასვენება. როდესაც მივიდოდი მაშინვე ხელებში შემომჩერდებოდა: აბა, მაჩვენე-

სიმონ ჩიქოვანი... ირაკლი აბაშიძე. დემნა... სანდრო შანშიაშვილი... დიდი იყო მისი სიხარული, როდესაც ყველას

გამოიციან, ყველას მოიგონებდა, ძველ ამბებს გაიხსენებდა.

სოსო ძველი სურათების ჩრჩილს მე-ძახდა. იცოდა, რომ მეც მოველოდი მისგან რაიმე საჩუქარს — რომელიმე ძველი სურათიდან ფოტო-რეპროდუქცია გადამეღო. ამით ჩემს არქივს კიდევ ერთ საინტერესო ექსპონატს შევმატებდი.

ამჯერად სოსო არ იყო ისეთ უსუნებაზე, რომ თავისი ჩვეული ფაცავიერით კარადები და უჯრები დაეთვალიერებინა და მოეცა რაიმე. მის საწოლ ოთახში კედელზე სურათებს დაუწყებდა დათვალიერება და კიდევაც მოვძებნე სასიხარულო ფოტოსურათი. ეს არის სოსო და გალაკტიონი!

სურათის ზურგზე სოსოს მიუწერია: „1942 წელი. ოქტომბერი“, ოცდაათ წელზე მეთია, რაც ეს სურათი გადაუღიათ ერთად გალაკტიონსა და სოსოს. სოსო ამბობს: რომელიღაც უბრალო ფოტოგრაფთან გადავიღეთ, არც კი მახსოვს სად და რა ადგილასო, გალაკტიონი თუმცა სურათში მოწყენილი გამოვიდა, არც მე ვარ მაინცდამაინც სახეგაბრწყინებული, მაგრამ ამ დღეს ჩვენ ორთავენი კარგ ხასიათზე ვიყავით, რაღაც გვიხაროდა, ბევრი რამ მოვიგონეთ, ვისაუბრეთ...

ბოლოს ფოტოგრაფისაკენ გავწიეთ და

აი კიდევ გადავიღეთ ეს სამახსოვრო სურათი:

— თუ მოგწონს, გადაიღე, მიჩუქნა შენთვის — მითხრა სოსომ, კედლიდან პატარა ჩარჩო ჩამოიღო; ფრთხილად ამოიღო სურათი, მზრუნველობით გასწმინდა, სული შეუბერა — მტკვერი გადაცალა და ნელა დადო მაგიდაზე, სადაც მე უნდა გადამეღო ის.

მამისის მზის სხივები უხეად ეფრქვეოდა თბილისის ქუჩებს და ნელი სიო არხევდა ღია ფანჯარაზე დაკიდულ ფარდებს... ძველი თბილისის რელიკვიებით საგვს კარადის წინ სავარძელზე იჯდა სოსო. მე მას აქაც გადაულე სურათი. ივა ხან მომღიმა, ხან მოწყენილი იცქირებოდა ფანჯრისაკენ... და მე მოვგონებ მას მისი ლექსის სტრიქონები:

„სოსო! რა კარგი დღე არი.

სოსო! რა კარგი დარია

სოსო! რამდენი ქალაქი..

სოსომ გაიღიმა, ჩვეულებისამებრ კარებამდე გამოსვლა მოინდომა, მას მკლავში ხელგაყრილი მოაცილებდა საყვარელი დისწულის ანის მიუღლე, ახოვანი ქართველი ვაჭკაცო ნიკოლოზ ციციშვილი და მეუღლე ქეთო ჯაფარიძე.

გალაკტიონის ექსპროზი

ადამიანური და პოეტური განცდით უყვარდა გალაკტიონს ქუთაისი. ბევრი კარგი სტრიქონი შეუძღვნა მას. ქართველი კაცის საამაყო სიმღერად იქცა „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარო“.

შემონახულია გალაკტიონის კიდევ ერთი ექსპროზი, რომელიც სიტყვას დღოსტატმა ქუთაისელ სპორტსმენებს უძღვნა.

1946 წელია. ქუთაისელი კალათბურთელები საბჭოთა კავშირის 8 ქალაქის უძლიერესი გუნდების ტრადიციულ შეჯიბრებაში გამოსვლის შემდეგ ლენინგრადიდან თბილისს ეწვევნენ.

თბილისში ყმაწვილები გალაკტიონის აღზრდილმა, ცნობილმა კალათბურთელმა ნუნუ ებანიძემ ვინჩან ჩაიზე მიამატია.

სტუმრები და მასპინძლები ლაღობდნენ, სა-

უბრობდნენ, განვლილ დღეებს იგონებდნენ, მაჩვენებდნენ არჩევდნენ...

მოგვიანებით გალაკტიონიც მოვიდა.

— ესენი არიან ქუთაისელი ბიჭები, მე რომ ვაპბობდი, — წარუდგინა ნუნუმ ყმაწვილები აღმზრდელს.

გალაკტიონი სიყვარულით შეესიტყვა სტუმრებს და ექსპროზიად ეს სტრიქონები უძღვნა:

მე ვამაყობ თქვენით, ვანა ვინმე სხვისით, ჩვენი სპორტსმენებით, ჩემი ქუთაისით. ან რა დამავიწყებს მე მშობლიურ რიონს, თქვენი გამარჯვება აღზენს გალაკტიონს.

ლევან ზინავლიძე

ქუთაისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის ყოფილი უფროსი

„ილიუს კინსაი“ რუსთაველის თეატრში

მერაბ გვიბია

სამპატალი მზარული მუსიკით იწყება. მარჯვენა და მარცხენა კულისიდან ავანსცენაზე ორი მსახიობი გამოიჭრება. მათი ცეკვა, ჩაცმულობა, აღორძინების ეპოქის შექსპირის თეატრის მოგვაგონებს. ისინი თითქმის გვამცნობენ, რომ ყოველივე რაც სცენაზე მოხდება, ცხოვრებაშიც მრავალჯერ მომხდარა. ეს ტრაგედიაა ნამდვილი ტრაგედია, მაგრამ ისე სწორად მორღდება, რომ გვიჩვენებს — ნუთუ არ არის გამოსავალი? იქნებ სწორია გლობუსის თეატრის მრგვალი ხის შენობის კომპლექსი გამოყვეთილი წარწერა — „მთელი ქვეყანა თამაშობს კომედიას“. შემდგომ ისინი სპექტაკლს ფარდს ახდიან და კვლავ კულისებში გაუჩინარდებიან.

სცენა ჯერ კიდევ არ არის მზად სპექტაკლისათვის. მსახიობები აღჩქარებულად, ჩვენს თვალწინ დგამენ დეკორაციას. მათი ლირიკული სიმღერა (მუსიკის ავტორია კომპ. ნ. ვაწაძე) თითქმის იგივეს გვეუბნება, რაც იმ ორმა მსახიობმა გვიხარა, მაგრამ აქ უფრო მეტი სევდაა. უკვე ყველაფერი მზად არის სპექტაკლისათვის, მსახიობები ტოვებენ სცენას.

დამხმარე პერსონაჟი დავას გვიჩვენებს წარწერით — შექსპირი „ილიუს კინსაი“. მომდევნო წარწერა გვაუწყებს მოქმედების ადგილს — რომი. ქუჩა.

სპექტაკლის მხატვარს მიხეილ ჰავევაძეს სცენის სარეჟისო მხოლოდ დამრეცი დაზვიით და სამივე კუთხეში განლაგებული მოძრავი თაღებით დაუფარია.

სპექტაკლის დასაწყისში ზეაწეული ტონი, ხაზგასმული თეატრალიზმა მსახიობთა შესრულებაში, დეკორაციის პირობითობა, შემდგომ სტილისტურად დაუპირისპირდება სცენაზე შექმნილ ვენებით გათამაშებულ სისტილიან ტრაგედიაში. დროდადრო შეგახსენებს, რომ მთავარი ჩვენი დასკვნებია, თეატრი ჩვენთან ერთად ეკუთვნის ჰემმარტებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პირობითობისა, მოქმედების დაწყებთანავე ვგრძნობთ ძველი რომის სუთქვას. რომი ელავს, ბორავს, ხალხს თავი მოუყრია, რათა დაესწროს პომპეუსთან ბრძოლაში გამარჯვებული იულიუს კეისრის ტრიუმფალურ სელას.

გამოჩნდება იულიუს კეისარი — გურამ სულარაძე, სენატორებით გარშემორტყმული. პირდაპირ სცენაზე დადგმული დაფდაფების რიტ-

მულ ხმათან ერთად სინქრონულად გაისმა ხალხის ძახლი — დიდება! დიდება! დიდება კეისარს!

უერთად ამ საერთო აქტივაციში კეისრის ყურთამსენას მისწვდება სიტყვები — მარტას იღებს უფროხილი კეისარო! ეს სიტყვები კამერტონია ცენტრალური მოვლენისა. დიალოგი მარტოდ დარჩენილ ეროსი მანჯგალად-ბრუტოსსა და გოგა ვევეკოვო-კასიუსს შორის, სათავე კეისრის წინააღმდეგ შეთქმულებისა.

ზემოდან ეშვება და სცენის დაზვიის წინა და უკანა სიცილიეს ფარავს კვიპაროსის ორი ხე და წარმოშობს ბრუტოსის ბაღს. შეთქმულნი, რომელთა რიცხვი ერთაათად გამრავლდა, კეისრის მოკვლის ფიცს დებენ. ისტორიული მდლვარება შეიპყრობს ბრუტოსის მეუღლეს პორციას — ზანა კვერენჩილაძეს.

მომდევნო სურათი. სცენის დაზვიაზე დაიდგმება რომაული ტახტი, რომელიც ქმნის იულიუსის სასახლეს. სასახლეში ყველა შეთათავს. არც ცას, არც მიწას მთელი დამე არ მოუხვენია — მისტერიალურად წარმოთქვამს ამ სიტყვებს იულიუსი-გურამ სულარაძე. უბედურების წინათგრძნობას შეუპყრია მისი მშვენიერი მეუღლე — კალფურია-იზა გიგოშვილი.

იულიუსთან სენატორები მოდიან, რათა ეცევი გაუფანტონ. იწვევენ კაბიტოლიუმში, მონარქის გვირგვინს პირადებიან.

თაღები იძვრიან და კაბიტოლიუმის სცენას ქმნიან. ბრუტოსი-ეროსი მანჯგალად მაინც მერყეობს. სურს საბოლოოდ დარწმუნდეს, რომ იულიუსის ამპარტავნობა უსაზღვროა (ბრუტოსის ხსიათის განმსაზღვრელი ეს დეტალი ჩამატებულია თეატრის მიერ). იგი მუხლმოდრეკილი წარმოთქვამს სათხოვარს, იულიუსი მტკიცე უნარით პასუხობს. შეთქმულნი დანაშაულებულინი ესხმიან თავს იულიუსს.

გურამ სულარაძე-კეისარი ექსპრესიულად გამოსახავს ადამიანურად სუსტ, მაგრამ გენალობით გამაყვებულ კეისრის ავონიას. შენცა ბრუტოს! მამ მოკვდი კეისარო! — ჩურჩულით, შემზარავად წარმოსთქვამს იგი თავის საბოლოო სიტყვებს.

რომის დემოსს (რომელიც ამ ვითარებაში პირობითად იმყოფება სცენაზე) თავზარს დასცემს კეისრის მკვლელობა. კაბიტოლიუმში შემოღის ანტონიუსი-ავიდიუსი მულაშვილი. იგი ვერ ფარავს მწუხარებას მკვლელობის გამო და



ზიზღს მკვლელთა მიმართ, მაგრამ მალე გონს მოეგება და ამ უშიშესი მდგომარეობიდან გამოსასვლელ ფონს ეძებს. ედიშერ მალალაშვილი სახიერად ვაღმოსცემს ანტონიუსის სულის მოძრაობის ამ რთულ გრადაციებს.

შეთქმულთ სურთ ცხედარს დაყვანილი იგი. ბრუტოსი-ეროსი მანჯვალად, რომლის ბრუტოს-ტული აღტკინება უკვე საქმის დაბოლოების აზარტმა შესცვალა, მათ წინ აღუდგება. ანტონიუსს უფლებას მისცემს პატივით დაკრძალოს კეისარი და ფორუმზე წარმოთქვამს გრძნობიერ, მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალულ სიტყვას — „კეისარი მიყვარდა, მაგრამ როჰა უფრო მეტად მიყვარს“. მსახიობი მონადირეებით, ძლიერად ატარებს ამ საკვანძო სცენას.

ანტონიუსი-ედიშერ მალალაშვილი, შეთქმულთა წასვლის შემდეგ, ოსტატურად აგებული დემაგოგიური სიტყვით (უღარესად ზუსტად არის მიგნებული რეჟისორის მიერ მონოლოგის აქცენტები) გადმოიბარებს მსმენელთ. რეჟისორი გამოსახველად გვიჩვენებს ხალხში განწყობილების ცვლას. ანტონიუსის სიტყვებით აღზნებული ისინი შეთქმულებაზე შურის საძიებლად გარბიან. ანტონიუსი კი ვეამს მოხანის საკეისრო მოსახასამ და სურს თვით მოიხას... თუმც აქვე მას ოქტავეუსი და ლეპიდუსი შეეცილებიან. ეს სიმბოლური სცენა მთლად და გავიფრავს ანტონიუსის ქცევის მოტივებს და გვიჩვენებს შექმნილი ატმოსფეროს.

რომში შინაომი იფეთქებს.

მეორე მოქმედება. მაღლიდან ეშვება კარავი, მუიბრები მას სცენაზე აშარებენ (დეკორაციის ცვლა ყოველთვის ჩვენს თვალწინ ხდება, რაც ხშირად ძალზედ ეფექტურია), გამოჩნდება ეროსი მანჯვალაძე-ბრუტოსი. იგი უკმაყოფილო და დაღლილია. მისი კეთილშობილი განზრახვა — რომში დემოკრატია დაეყარებინა, მოკავშირეებმა ფეხქვეშ გათელეს და პირადი მიზნებისათვის გამოიყენეს. ამასი გვარწმუნებს მისი დიდილოგი კასუსთან. (ეს სცენა ოდნავ უფერულია. რადგან არ აქვს გამოხატული შესაფერისი კედეითა ანუ).

მარტოდ დარჩენილ ბრუტოსს გამოუცხადება იულიუსის მოსაყვედურე, მედიდური აჩრდილი. ნ. ვაჟაბის მუსიკა, ალიონის მომასწავებელი განათება, ბრუტოსის ჭერ მშვიდი, შემდგომ შეძრწუნებული ფიგურა, იულიუსის ნელი, სიზმარულად პაეროვანი ნაბიჯი აჩრდილის გამოცხადების მომხიბლავ თეატრალურ სურათს ქმნის.

აჩრდილას ეს მოვლინება ბოლომდე ჭერ არაფერს ეუბნება ბრუტოსს. ის და მისი მომხრეები ეშვადმიან ვადამწყვეტი ბრძოლისათვის ფილიპეს ველზე.

დემოსის ზედრი სულ უფრო თვალსაჩინო

ხდება სპექტაკლში. მათ არ იცინა ვის ვაპირებდა და მიჰყვებიან მას, ვინც უფრო მეტს პირიღება. მეორე მათ არაფინ ალაზაფერს ეეთხება. რეჟისორის მიერ ბრწყინვალედ აგებული ქმედი, დინამიურ სცენაში ნაჩვენებია მათი ვადაქცევა ბრმა, უსულო იარაღად. გაურკვეველობაში მყოფნი ბოლოსდაბოლოს ვაქნილი დემოკოგების პირად ინტერესებს სწორადვე კეთილდღობას. დემოსი ამ სპექტაკლის ერთ-ერთი „ცენტრალური გმირია“. ეს რეჟისორის საერთო ჩანაფიქრად გამოდინარეობს.

ხალხის ინდივიდუალიზებულ მასას თეატრალური ინსტიტუტის მესამე კურსებში წარმოგვიდგენენ. ისინი „მათემატიკური“ სიუსტაკქმინან ურთულეს სცენაზე კომპოზიციებს. თითქოს ომმა ვანძარცვაო, ზედაპირი ეცლებათ თალებს. ჩვენს თვალწინ მხოლოდ შიშველი ხარაჩივია.

ასეა გამოსახული ფილიპეს ველი. ჩვენს თვალწინ თავს იცლავს დამარცხებული კასიუსი — გოგი გეგეკორი. გამოჩნდება სასოწარკვეთილი ბრუტოსი. ექვებით ვანწყამებს კვლავ გამოუცხადება იულიუსს აჩრდილი. ახლა კი ხვდება ბრუტოსი, რომ შეცდომა იყო კეისარის მოყვლა. წინააღმდეგობებით მოცულ რომში დემოკრატია შეუძლებელია. ბრუტოსი თავს იცლავს — სიცოცხლეს ამთავრებს რომის კეთილდღობისათვის მებრძოლი, ამ ბრძოლაში მარტოდმარტო დარჩენილი კეთილშობილი პირივება და მოქალაქე.

სცენაზე ანტონიუსი-ედიშერ მალალაშვილი და ოქტავეუსი-გოგი ხარაბაძე შემოიჭრებიან. მათ ხალხის რიგები მოჰყვება. გამაჩვენებული ანტონიუსი პათეტიკურად წარმოთქვამს ხალხის დასაშოშინებელ ყალბ ფრაზებს რასაც ამთავრებს სიტყვით: დიდება! თითქოს რაც ჩასძახეს ის ამოიძახაო, ექოსავით იმეორებს ამ სიტყვას დემოსი, თუმც იმაშიც კი ჭეროვანად ვერ ვარკვეულა, ვისი მისამართით არის იგი წარმოთქმული. ფაქტურად სიტყვით — დიდება! (რომელსაც დასაწყისში მტკიცედ, ბოლოს კი ვაკვირვებით, უნისამართოდ წარმოთქვამს დემოსი) იწყება სპექტაკლი და ამითვე მთავრდება.

ჩვენი მავურებელი დიდი ხანია ელოდა ასეთი დახვეწილი გემოვნებით შექმნილ მასშტაბურ სპექტაკლს. რეჟისორმა მხეხილი თუმანისელომა „იულიუს კეისარი“ „პრინციპების ტრაგედია“ წარმოგვიდგინა. ორი პრინციპი შეეჯახა ერთმანეთს — მონარქისტული, იულიუსის სახით და დემოკრატული, ბრუტოსის სახით. იულიუსი და ბრუტოსი საპირისპირო სიბრტყეებზე დვანან. იულიუსს სწამს, რომ მოცემულ ვითარებაში მხოლოდ მონარქია იხსნის რაგმს დაშლისაგან. ბრუტოსის რწმენით ერთი ადამიანის დაქტატი რომის დამხობას უღრის. მაგრამ არაფე-



რი არ სწამთ არც იულიუსის მეგობარს ანტონიუსს და არც ბრუტოსის მეგობრებს — კასიუსს, კასკას და სხვებს. ამ პოზიციიდან შეწყნარებულია იულიუსი, თუმც უგულვებელყოფილია, როგორც ტირანი. ამავე პოზიციიდან მთავარ უპაჩოვით მოვლენად იულიუსის და ბრუტოსის ე. წ. „მეგობრები“ გვევლინებიან.

იულიუს კეისრის სახე ამგვარადვე იყო გააზრებული საზოგადოებრივ თეატრის დატვირთვაში ნემიროვიჩ-დანიელის მიერ. გერმანელმა ისტორიკოსმა თეოდორე მომზინმა დაამკვიდრა შეხედულება, რომ შექსპირმა იულიუს კეისრის მხოლოდ სუსტი მხარეები გვიჩვენა — მშობრობა, მდიდრურობა, ფიზიკური სისუსტე, ნახევრად ყრუობა. ამ შეხედულებას იზიარებდნენ ბრანდესი და ლენარჩისკი. იულიუს კეისრის შესრულებელმა საზოგადოებრივ თეატრში — კაჩალოვმა შესძლო უუფედლო ეს აზრი. იგივე გააკეთა რუსთაველის თეატრმაც. გუბრამ საღარაძე-იულიუსი ადამიანური სისუსტეებით და ღირსებებით აღბეჭდილი ტირანია. ამით რეჟისორმა იგი ტიპურ დიქტატორად აქცია. ამ სახის ასეთი გააზრება სპექტაკლის საერთო ჩანაფიქრმა ვამოიწვია. გუბრამ-საღარაძის შესრულება საკმაოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს, თუმცა აკლია ის ღვაწლიერი „ოდნავ“ (Чуть-чуть), რაც სრულყოფს ხოლმე როლს და რაც სრული წარმატების საწინდარია. იულიუსის ხასიათურობის გაღმოცემა თეატრს არ განუზრახია. მაშინ იგი შეუძლებდა განუზოგადობა დიქტატორის სანე, მაგრამ ზომიერად შესაძლებელი იყო ამის ჩვენებაც.

მიუხედავად მთელი სიმპათიებისა ბრუტოსის მიმართ, რეჟისორმა გვიჩვენა, რომ ბრუტოსის საქმე სათავეშივე განწირულია. მხოლოდ დამარცხება კეთილშობილი ზრახვებით მარტლად მებრძოლის ხვედრი.

უშეკველია, თეატრმა განუზოგადა ბრუტოსის სახეც. შექსპირთან ბრუტოსი თითქმის იდეალიზებულია. ამიტომ საჭირო იყო თეატრის ეპოვნა ამ სახის შუქ-ჩრდილები. ამ გზით იგი უფრო გამოკვეთდა ბრუტოსს. არ არის ბოლომდე ჩამოქნილი ბრუტოსის პლასტიკური ნახაზი. მთლიანი გარდასახვა უშეკველად ამ ლაფსუსს დაფარავდა. მაგრამ ვინაიდან მსახიობთა შესრულება უფრო „ეპიური“ა, ვიდრე მანციდითი (ესეც რეჟისორის საერთო ჩანაფიქრიდან გამომდინარეობს), ამიტომ თათქოს უარი ეთქვა სრულ გარდასახვას და მით ყოველგვარ კონკრეტულ დამახასიათებლობას. მაგრამ „ეპიურიობა“ არა თუ გამოირჩეხავს დამახასიათებლობას, არამედ პირიქით, ამას გულსხმობს. საქმარისია

გავიხსენოთ ბრუტოსის „ბერლინერ ანსამბლის“ სპექტაკლი „ეპიურიობა“ და მთავარი როლის შემსრულებელი ექვჰარტ შალი. მის შესრულებაში იდეალურად იყო შერწყმული გამოსახვის „ეპიურიობა“ სახის დამახასიათებლობასთან (აქვე დავსძენთ, რომ „იულიუს კეისრის“ ასეთი „ეპიური“ გააზრების გამო ზოგმა იგი „ეპიურიობის“ მიაშვავსა, მაგრამ საესეთით უმართებულოდ).

ეროსი მანგვალაძე-ბრუტოსს, ცხანდა, ყველაზე მეტი მოთხოვნა სპექტაკლში, მაგრამ ამ ექვჰარტ შალიმ შევამბვას არ ვაპირებთ, რადგან ვიცით, ეროსი მანგვალაძისთვის ნიშანდობლივია განუწყვეტელი ზრდა სპექტაკლთან სპექტაკლში.

შექსპირის ანტონიუსი ერთგულია და ცბიერი. გულადია და მხდალი, ვერაგია და არა ბრძენი. ასეთია იგი ელშემერ მალაღაშვილის შესრულებით. მაგრამ რეჟისორმა შექსპირის მიერ მოცემული სამუთხები — იულიუსი, ბრუტოსი, ანტონიუსი, ერთმანეთს კიდევ უფრო დაუპირისპირა, ანტონიუსის ნეგატიური მხარე კიდევ უფრო რელიეფურად გამოკვეთა, რამაც ამ სახის ტიპიზაცია გამოიწვია.

შესაძლებელია მსახიობთა შესრულებაში „ეპიურიობა“ (რომელიც არ არის მოცემული დასრულებული სახით) გამოიწვია ერთგვარი სქემატიზაცია. ამ შემთხვევაში არ უნდა ვიყოთ მკაცრი. ასეთ მასშტაბურ სპექტაკლში ამ მეთოდის გამოყენება ქართულ თეატრისათვის პირველი სერიოზული ცდაა.

საინტერესოა რეჟისორის მიერ ხალხის მასის გააზრება „იულიუს კეისარში“. ხალხი მოქმედი გმირია. აქ გამოკვეთილია მასების ყველა დამახასიათებელი ნიშანი: სტიქიურობა, გულუბრყვილობა, უნებისყოფობა, ძალა. თვალხილულია მათი მონაწილეობა ვითარების მსვლელობაში. პასუხისმგებლობა მათ საქციელზე რეჟისორმა მთლიანად მათ წინაშე მოუდგინა დააკისრა. ამიტომ იწვევს ხალხის ხვედრი სიბრალეობა. ამით არის გაპირობებული ჩვენი ზიზღი „ეპიურებადების“ მიმართ.

რეჟისორს არ უცდია ისტორიული ატმოსფერო შექმნა. კონკრეტულად ისტორიული მხოლოდ მხატვარ გოგი მესხიშვილის კოსტუმები. მიხეილ თუმანიშვილი ერთგული დარჩა პოლიტიკურად მწვავედ გამოსახული „ინტელექტუალური დრამის“ მეთოდისა (კვლავ გავიხსენოთ ე. ანუს „ანტიგონე“). სპექტაკლი ასოციაციას იწვევს ამ ახლო წარსულში მომხდარ პოლიტიკურ მკვლევარებთან. თათქოს პასუხობს შეიქნაფხავა — ვის მიერ და რატომ იყვნენ მოკლულნი ჯონ კენედი, რობერტ კენედი, სალვადორ ალიენდე...



ამრიგად, რუსთაველის თეატრის სამოციანი წლები იდეურ-ესთეტიკური ძიებანი არ უნდა ჩაითვალოს დამთავრებულად — ძიება თვით

სპექტაკლში მსვლელობის დროს წარმოებულ აუცილებელიც არის. სპექტაკლი ახლანდელია და მისი ცხოვრება სცენაზე გრძელდება...

მხიარული სპექტაკლი ივანე ჯავახიანი

თბილისის სტ. შუშინის სახელობის სახელმწიფო სომხურმა თეატრმა 1972-1973 წ. სეზონი დახურა სურენ ავჩიანის კომედით „ზედსიძე“.

ჩვენი მკითხველი და მყურებელი საზოგადოება ზედმიწევნით კარგად იცნობს პოეტს, დრამატურგს, მკვლევარს, მთარგმნელს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს სურენ ავჩიანს. მის მრავალფეროვან და ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი მთელი რიგი პიესები თავის დროზე დიდი წარმატებით იდგმებოდა სომხურ სცენაზე არა მარტო თბილისში, არამედ სომხეთშიც და რაიონებშიც — „სოსო და ვარდიფერი“, „საიათ-ნოვა“, „ქოროლი“. „პელე-პული“ და სხვ. მასვე ეკუთვნის ათეული ქართული პიესის თარგმანი სომხურ ენაზე.

სეზონის დახურვის უკანასკნელ დღეებში სურენ ავჩიანმა მყურებელი გაახარა თავისი ახალი კომედით „ზედსიძე“, რომელიც განახორციელა რეჟისორმა მ. გრიგორიანმა.

პიესის ავტორს და დამდგმელ რეჟისორს საუცხოოდ უგრძნიათ ეპოქის სურნელი და ხელშესახები სცენური საშუალებებით მოუტანიათ მყურებელად. სპექტაკლში მხილებულია სპექულაციითა და ახალმოდით გატაცებული პაროდებები. მათ უპირისპირდება თანამედროვე დადებითი ხასიათები, წინა პლანზეა წამოწეული აღმზრდელი მნიშვნელობის მომენტები.

პიესა გადმოგვცემს ახალგაზრდა მწერლების, მსახიობ ქალის, ინჟინერ-არქიტექტორის, მუსიკოსის მეგობრობას, მათ შემოქმედებით მუშაობას და ყოფა-ცხოვრებას. სასტიკად გაიცხულია ძველი ცხოვრების გადმონაშთი — მეშინათა ზნე-ჩვეულებები, რომელთა ქორისა და უხეირო საქციელის გამო დროებით ირღვევა ახალგაზრდა მწერლის არუთუნ ბაღდასარიანის ოჯახური მყურებლობა. მაღე მისი ახალგაზრდა მეგობრების წყალობით კვლავ ათელი ურთიერთობა დამყარდება მოსიყვარულე ცოლ-ქმარს პოეტ ბაღდასარიანსა და მის მეუღლს არმენუქის შორის.

ეს ავტორის მოცემული აქვს ნამდვილი კომედიის ხერხებით, მოქმედება თავიდან ბოლომდე ჯანსაღ სიცილს იწვევს და მყურებელი პოლომდე დაძაბული ინტერესით ადევნებს თვალყურს სპექტაკლის მსვლელობას.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ვენერა აყოფიან თავისი ოსტატური თამაშით აღტაცებაში მოჰყავს მყურებელი. იგი უხვი ფერებით გადმოგვცემს ძველი ვაჭრის ოჯახიდან გამოსული ფუფუნებით, სპეკულაციით გატაცებული პიესაზე არმენაკონის სახეს. თითოეული მისი მოძრაობა, ქესტი თუ გამოხედვა სრულქმნილ სცენურ დახასიათებას ემსახურება.

დაუცხრომელი ტემპერამენტით შესრულებს ახალგაზრდა მსახიობმა რობერტ ოვანისიანმა — არუთინას და ლამარა ფირქმანიამ — არმენუქის როლები. მათ სწორად დაგვიანებს უმწიკვლო სიყვარულით და ლიტერატურული შემოქმედებით გატაცებულ ახალგაზრდა მეუღლეთა მორალური სახეები.

მეშინური ყოფით გატაცებული ქანას ორიგინალური ფიგურა შექმნა ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა ნორა ოპანიანმა.

კეთილ პერსონაჟთა საინტერესო ხასიათები მოგვცეს მსახიობებმა ავეტიქ სანოსიანმა — ყორა, რობერტ აღაჯანიანმა — სანასარი და აზიკ აღილხანიანმა — ჰმაიკი. მათ ზომიერ და ჰუმორით აღბეჭდილ თამაშს აღტაცებაში მოჰყავდა მყურებელი.

თავიანთი მოფიქრებული და კარგი შესრულებით მთელს ანსამბლს ჰარმონიულად ერწყმინან მსახიობები ვართუმ აბრამიანი — მარგოს, რობერტ ხაჩატურიანი — გურგენის, რომან პაპიანი — არმენის და თ. ბაღდასარიანი — რუხანის როლში.

საქართველოს და სომხეთის სსრ დამსახურებული მხატვრის რ. ნაღბანიანის მიერ სპექტაკლის მხატვრული ვართუმ აბრამიანი — მარგოს, რობერტ ხაჩატურიანი — გურგენის, რომან პაპიანი — არმენის და თ. ბაღდასარიანი — რუხანის როლში.



საქართველო
წიგნების კავშირი

მიმდინარე წლის სექტემბრის მშვიდსა და წყნარ საღამოს ხალხმრავლობა იყო ჩხორიოწყუს კულტურის სახლის ეზოში, სადაც უამრავ ხალხს მოეყარა თავი. რა თქმა უნდა, ახალგაზრდობა სჭარბობდა. ყველა ცდილობდა არ დარჩენილყო ბილეთის გარეშე. ეზოში გაკრული აფიშები იტყობანებოდა, რომ დღეს ჩხორიოწყუს სცენაზე ენახავათ ცხაკაის სარაიონო კულტურის სახლთან არსებული ავტობატე-რული ბრიგადის გამოსვლას. აშკარად ჩანდა, რომ სასაიმოვნო სტუმრები იყვნენ. ასეთმა ინტერესმა ჩვენც ჩაგვითარა და შევეუდღეით ბილეთების შოვნის თაღარებზე.

მაყურებელთა დარბაზში შექი ჩაქრა. სცენაზე ერთმანეთს სცვლიდა სკეტჩები, ფელეტონები, სატერა, იუმორი, სიმღერები. მსახიობებმა საკმაოდ კარგი აქტიორული ხერხებით სასუქარაოზე გამოიტანეს მილიქენელთა, მეტრთაშეთა, ლითების, ზარმაკების და სხვათა მანკიერებანი.

ჩვენ სასაიმოვნოდ გავვაოცა ამ არაპროფესიონალთა ხალისიანმა და თეატრალურმა შესრულებამ. კოლექტივმა შესძლო გაება ის უხილაი ძაუი სცენასა და დარბაზს შორის, რომელიც ხაზლავს და იტაცებს მაყურებელს. ჩვენ არ დავცმაყოფილდით მხოლოდ მაყურებლის როლით და საღამოს დამთავრების შემდეგ ვინახულეთ ცხაკაის სარაიონო კულტურის სახლის დირექტორი, კულტურის დამსახურებელი მუშაკი ნორა დიდიანი, რომელსაც დიდად ყურადღების ცენტრში ჰყავს „თავისი ხალხი“ და გვაუწყა შემდეგი: კარგა ხნის ისტორია აქვს ჩვენს სახალხო თეატრს, რომლის მსახიობებმაც შექმნეს ავტობატერული ბრიგადები და სისტემატრ მომსახურებობას ვუწეოთ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებს, მეცხოველეობის ფერმებს, საკოლმეურნეო მიწდერებს (ძალიან ხშირად ღია ქვეშ) კურორტ მენჯის დამსვენებლებსა და ბევრ სხვა მუშობელ რაიონს (ხობის, გვეგკორის, აბაშის, ჩხორიოწყუსა და სხვა). ჩვენთან გაერთიანებულთა თეატრალური ხელოვნების თითქმის ყველა მოყვარული: გულო ლიხთაშვილი — საყოფაცხოვრებო მომსახურებდიდან, გური ჯავახია — საბავშვო ბიდიდან, იზა გოგოლაძე — ჩვენი კულტურის სახლის თანამშრომელი, ნაზი ჯაიანი — დიასახლისი, ნარგაიზა როგავა — ხალიჩების საქსოვი ფაბრიკიდან, ეთერი თოფურია — კავშირგაბმულობიდან, აკაკი შუბლაძე — ბენსინიერი, ვილიკო ერემაძე — ხალიჩების საქსოვი ფაბრიკიდან, შალვა ლიშია და ლეონტი ჩიხლაძე — მუსიკალური სკოლის თანამშრომლები, ნუგზარ მამავა —

ჩვენი სახლის ინსტრუქტორი, ლერია ჯალაღონია — ინჟინერი, ბორია ბაბუჩიძე — სასტუმროს ადმინისტრატორი, და მისი ვაჟიშვილი გელა ბაბუჩიძე — ჩვენი სახლის თანამშრომელი, ჯემალ ბერტენავა — ფიზკულტურის მასწავლებელი. ანორი ინჯია — ჩვენი სახლის თანამშრომელი, კარლო ჯაიანი — ნორჩ მოცეკვავეთა წირის ბაიანისტი, გიზო გრიგოლია — საღამოს სკოლის მოსწავლე, შოთა შარაძე — სასტუმროს დირექტორი, პანტე ბოჭუჯა — საშუალო სკოლის პედაგოგი, ომარ ხარბელია — ავტოკოლის მასწავლებელი, აპოლონ ბერაია — სკოლის დირექტორი.

წლებს განმავლობაში თეატრში მუშაობდა და ახლაც ჩვენთან დიდი ერთუზიანობით მუშაობს უხუცესი გრაიორი სილიბისტრო ტყაბლაძე. ვერ შეაბკობთ წალთა სიმრავლეს ჩვენს მეგარდერობზე ფედოსია ქეკაიას, რომელიც ჩვენთან გაქალაჩავდა, თეატრის ერთგული და დაუზარელი, სცენის მიმანქანე სერგო ჯიმეშელიშვილი, ელექტრო-გამნათებლები ჯემალ ყურაშვილი და კონდო თურქია, მოკარნახე ლიზა ბოჭუჯავა — ჩვენი დეიდა ლიზა, რომელიც არც თუ იშვიათად გამოცევიყვანს ხოლმე მდგომარეობიდანო — ამბობენ ახალგაზრდები.

ჩვენივე კოლექტივის წევრია ბათუმის კულტურის განმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული თენჯინ თოფურაძე, რომელიც ამჟამად სავალდებულო სამხედრო სამსახურშია და ვიმედოვნებთ, რომ კვლავ ჩვენ დავიბრუნდებთ. ჩვენი მხატვრული დირექტორი ბართაია, რომელიც პარალელურად ჩვენი ავტორიც იყო, ჩვენმა სახალხო თეატრმა დიდად მისი პიესა „უკანასკნელი ვასაროლა“ რეორიც ხედავთ სხვადასხვა პიროვესიანა და დარგის მუშაკები გაეერთიანა თეატრისადმი დიდმა და უანგარო სიყვარულმა.

ჰო, დამავიწყდა მეოქვა, თქვენ რომ წოდან მაღალი ახალგაზრდა მომხიბველელი დიმილით შეგხვდათ, ერთა დამენათა, ჩვენი სახლის სამხატვრო ხელომქმნეელი და სცენაზეც ხომ იხილეთ. რაც შეეხება რეჟისურას, წლების განმავლობაში ჩვენთან მუშაობდა რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტი ენერგული და დაკვირებელი მოღვაწე კარლო კალანდაძე, რომლის უღრმოდ დავარცხავამაც დიდად დამწუხრა ჩვენი კოლექტივი. სიტყვამ მოატანა და უნდა გითხრათ, რომ ჩვენს თეატრში ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე მუშაობდა, მათ შორის: არეთა ლიშია, შალვა ვაბუცკორია, პლატონ შაფთაძე, ანტონა ნადარეიშვილი, გრიზო თევზაია, ბორის არჩია, კარლო კავშილია, ლევან ჩახავა, ჩვენთან



მუშაობდნენ რეჟისორები შ. მეჯანბე, გ. ლომაია, ე. შერაღულია, გ. ინჯია, დ. ჩარკვიანი; მხატვრები — დ. კვიციანიშვილი, დ. სიღამონიძე, ლაშვი. დიდი ღვაწლი აქვს გაწეული ყოფილ დირექტორს მირიან კატეიშვილს. ჩვენმა დრამატულმა კოლექტივმა 1964, 1967, 1969 წლებში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ დათავალი-ერებებში და ყოველთვის დაიკავა პირველი ადგილი. 1967 წელს ჩვენმა სპექტაკლი — მ. ხუნწარიას „ტახტის პირას“ ქ. მოსკოვის მაცურებელსაც კი ვუჩვენეთ; მაშინ I ხარისხის დიპლომი და საჯავზირო ლაურეატის წოდება მივიღეთ. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ვვიქრობთ რეპერტუარზე, იმით მიიღებ კმა-

ყოფილი არა ვართ; ვეძებთ, ვცდილობთ შესა-სოთ ახალი ნაწარმოებებით.

ნორა დლიანმა, როგორც ეს დარბაისელ ადამიანს შეუფერება, როგორც თავის შესახებ არაფერი გვითხრა, მაგრამ დავადგინეთ, რომ მისი აქ მუშაობა შემთხვევითი არ არის. ნ. დალიანის შემოქმედებითი ბიოგრაფია იწყება ბათუმის სახელმწიფო თეატრიდან, სადაც მან, როგორც მსახიობმა აიღვა ფეხი და, როგორც იტყვიან, ერთხელ რომ შეისუსთვა სცენის მტვერი — იგი მას არ ჩამოშორებია. ნ. დალიანი თავისუფლად ახერხებს თანამედრობისა და მოწოდების შეთავსებას — იგი ერთგულად ასრულებს ორივეს.

მეიკოვსკის სახელობის თეატრი ნოსტან კვიჩიძე

68621

მეიკოვსკის წლების მანძილზე დრამატული წრის არსებობამ სათავე მისცა სახალხო თეატრის ჩამოყალიბებას. სულ ათი წელია, რაც მეიკოვსკის სახალხო თეატრი შეიქმნა და ეს დრო სავსებით საკმარისი გახდა იმისათვის, რომ მეიკოვსკელების თეატრალური ხელოვნება ცნობილი გამხდარიყო რესპუბლიკისათვის. ამ ხნის მანძილზე მეიკოვსკის სახალხო თეატრმა საკმაოდ ბევრი სიგელი და ჯილდო დაიმსახურა. საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სახალხო თეატრების რესპუბლიკურ ფესტივალზე მეიკოვსკის სახალხო თეატრმა, რომელიც ამ ფესტივალზე წარსდგა ბერაიშვილის პიესით „სადა ხართ გათნის დღემო?“ მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ლაურეატის საპატიო წოდება კი მიენიჭათ სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს მურმან ფურცხვანიძეს, მხატვარ შალვა ადამიას და სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს კულიერა ტურაბალოძესა და ავთანდილ ნავაშიძეს, ხოლო პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ სპექტაკლის სხვა მონაწილეებიც.

მოპოვებულ წარმატებებით, რა თქმა უნდა, დამაყოფებლა არ შეიძლება. თეატრი დიდი ენთუზიაზმით განაგრძობს მუშაობას.

ახლახან მაცურებელს უჩვენა გ. იმერლის სამშობლებიანი დრამა „განახლებული სიყვარული“, რომელიც გასული წლის ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№ 12) იყო გამოქვეყნებული.

რესპ. დამსახურებული მხატვრის გიორგი ბერეჩიკიძის სწორად გააზრებულ მხატვრობას შევეყვართ სცენის სიღრმეში, სადაც დგას ერთი ტოტემშემხმარი მუხა, რომლის ფონზე სოფელია გაშლილი. ეს ხე თითქოსდა სიმბოლოა სოფლისა, რომელსაც გაეცალა ახალგაზრდობა და

დაჩენილები კი გულგრილად, უგულოდ შესცქერიან ყველაფერს.

ამ უბრალო, მაგრამ ბევრისმთქმელ დეკორაციის ფონზე დამდგმელმა რეჟისორმა მურმან ფურცხვანიძემ სადაც და ლამაზად ჩაფიქრებული მიზანსცენებით აამეტყველა პიესა და მოგვცა საშუალება მოქმედ პირებთან ერთად გვეგრძნოთ თანამედროვე სოფლის ცხოვრება, მისა გულისტყვილი და სინატრული.

სოფელში კოლმეურნეობის ახალ თავმჯდომარედ ამავე სოფლის მკვიდრი ჯაბა დაინიშნა, რომელიც რაიკომიდან იქნა გადმოყვანილი. შვილს დანატრებული მშობლები გულისფანქალით, ელანს მას, მაგრამ ერთდროულად უხარიათ და წყნით კიდევ შვილის დაბრუნება უხარიათ, რომ ერთადერთი შვილი გვერდით ეყოლებათ, მაგრამ გული სტყავათ, ვაი თუ იქ საქმეს თავი ვერ გაართვა და მოხსნესო.

ჯაბას მამამ იაინთემ კარგად იცის თავისი სოფლის კოლმეურნეობის მდგომარეობა და გულდაწყვეტილიც არის, რომ ყველას ჩამორჩენენ, ყველამ გაუსწრო მათ.

— ჩამორჩენილები და შერცხვნილები რავა არ ვიქნებით! ახალგაზრდობა სოფლიდან წავადა, ბებრების ნამუშევარი თავმჯდომარეებმა შესანდგინა და ქე ვართ ასე! — მსჯელობს აკვირინე და ახლაც იმის ფიქრშია, მისი შვალი შესძლებს თუ არა მოუაროს ამ საქმეს.

ახალი თავმჯდომარის გამოჩენას სოფელში დიდი აღფრთოვანებით არ ზღვდებიან გლეხკაცები, რადგან მათ ასეთი თავმჯდომარეები ბევრი

გამოიცალა და საქმე საქმეზე რომ მიდგა, გერავინ გააპართლა იმედები. კოლმეურნეობაში ყველაფერი უხარისხოთ კეთდება. გამეფებულია უპასუხისმგებლობა, შრომის დისციპლინა მოშლილია, მოსავლიანობა დაეცა.

პ. მარქის სახ. ...
სახელმწიფო ...

ნები გატაცებული არიან მხოლოდ საკუთარ ნაკვეთებში მუშაობით, მეურნეობა ეკონომიურად დასუსტებულია გამუდმებული გაფლანგვა-გატაცებით. ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი ჯაბას მშობლებისათვის და იმიტომ სწუხან -- შესძლებს თუ არა მათი შვილი ასეთ დღეში ჩაეარდნოდ კოლმეურნობას მოუაროს.

ახალ თავმჯდომარეს კარგად ესმის ხალხის დარდი. ასეთ რთულ და მძიმე პირობებში მთელი გულით და მონდომებით დაიწყო მუშაობა 27 წლის თავმჯდომარემ. იგი დაუდობელ ბრძოლას უცხადებს უქნარებს, ზარმაცებს, სპეკულიანტებს, თავის გარშემო იკრებს საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის თავდადებულ მოწინავე ადამიანებს. და ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად ამაღლებს შრომის დისციპლინას, ზრდის შრომით ენთუზიანს და მთელი სოფლის მხარდაჭერასა და სიყვარულს მოიპოვებს.

გამოცოცხლდა სოფელი, აბიზინდა ყანები, აგუგუნდა ტრაქტორები, თითქოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, მაგრამ ჯაბამ კარგად იცის, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ვასაკეთებელი, ჯერ კიდევ არიან უქნარა და ზარმაცები. ჯაბას თვალს არაფერი არ ეპარება.

პატიოსანი. ნამდვილი კომუნისტი კოლმეურნეობის თავმჯდომარის, საქმის ერთგული კაცის -- ჯაბას სახე საინტერესოდ გამოკვეთა თამაზ ნემსაძემ, თამაზ ნემსაძის ჯაბას ყოველი ნაბიჯი მოზომილია, ჰკვიანურად გადადგმული, დამაჯერებელია მისი ყოველი სიტყვა, რომელსაც

მსახიობი ბუნებრივად და დაუძაბავად წარმოუტყვამს.

ცხოვრებისეულ სიმართლეს ვხედავთ ჯაბას მშობლების როლის შემსრულებლების ჭულიეტა ტურაბელიძის (აკვირინე), უჩა რობაქიძის (იაკინთე) თამაშში.

ყოველგვარი ხელოვნურობისაგანა თავისუფალი ოჩია -- ავთანდილ ნაკაშიძის შესრულებით. იგი პირველივე გამოჩენით ყურადღებას იპყრობს გულწრფელი თამაშით.

ქალური სითბო და უშუალობა ახლავს ციცი-ნო გუგუნავს თებროს. განსაკუთრებით კარგად მიპყავს მას სცენები ჯაბასთან.

ერთმანეთისგან განსხვავებული გლახაკის სახეებს ჰქმნიან სერგო ჭიჭინაძე ენამხვილ კირილეს როლით და ლევან ლომიანიძე უქნარა, ბაზარს შეჩვეული ბადელას როლით.

ნიჭიერი ორგანიზატორის მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოლიფანტეს სახე კარგად დაგვიხატა ვახტანგ იოსებაშვილმა. ოლიფანტემ დაინახა თუ არა, რომ კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდგა მონდომებული, საქმით დაინტერესებული ახალგაზრდა მაშინვე მეგობრულად ხელი გაუწოდა მას და ყოველგვარ დახმარებას უწყობს, რათა მეზობელი კოლმეურნეობაც მოწინავეთა რიგებში ჩადგეს.

საექტაკის წარმატებას დავიანთი თამაშით ხელი შეუწყვეს ეთერი დევიძემ (ეთერი) და ალექო გურგენიძემ (ავქსენტრი).

ახალმა პრემიერამ მაიაკოვსკელებში დამსახურებული ინტერესი გამოიწვია.



„ოსტიათიანელთა პროვილეგი“

ვასო კოზიძე

1923 წლის 9 დეკემბერს ძველ სახალხო თეატრის დაარსების 30 წელი შეუსრულდა, რის გამოც იგივე ცხრა დეკემბერი ხსენებული სახალხო თეატრის საიუბილეო დღედ გამოცხადდა. საღამოს, რომელიც ამ თარიღს ეძღვნებოდა, უნდა აესახა თეატრის თითქმის მთელი განვლილი გზა მინიატურულ ფორმაში. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდნენ ამ საღამოს მოთავენი.

„ოცდაათიანელთა პროვილეგი“, — ასე უწოდა სახალხო თეატრის საიუბილეო საღამოს იუბილეს მომწყობმა კომიტეტმა, რომელშიც ჩვენი საყვარელი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი დიდ როლს თამაშობდა როგორც ორგანიზატორი და დამდგმელი ამ „ოცდაათიანელთა პროვილეგისა“. კოტეს აზრით ეს უნდა ყოფილიყო თეატრის მიერ თავისი არსებობის მანძილზე განხორციელებული დადგმების ერთგვარი შეგამება.

კოტე მარჯანიშვილს ეს მოსაზრება ერთხმად ვაიხიარეს როგორც იუბილეს მომწყობი კომისიის წევრებმა, ისე რეჟისორებმა, რომელსაც სათავეში თვით კოტე ედგა.

ცხადი იყო, რომ ოცდაათი წლის მანძილზე ხსენებული სახალხო თეატრის რეპერტუარი სამოთხე ათუთულზე მეტი სპექტაკლისაგან შედგებოდა და ერთ საღამოს მათი განხორციელება სცენაზე ყოველად შეუძლებელი იყო, ამიტომ რეჟისორთა კოლეგია: კ. მარჯანიშვილის, შალვა დადიანის, კ. ანდრონიკაშვილის, ნ. გოციოძის, ივ. ბარველისა და მ. ღვამჩაიავის შემადგენლობით (რეჟისორის თანამშრომლები: ა. ზაბრიძე, გ. გარსიაშვილი, ლ. კანდელაკი) ორი თვით ადრე შეუდგა ოცდაათიანელთა პროვილეგის ორ სერიად მზადებას. პირველი სერია მთლიანად განეკუთვნა ი. გუდევანიშვილის „მსხვერპლს“, ხოლო მეორე სერია შემდეგი პიესების ნაწყვეტებს (მინიატურების სახით): ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, პ. ირეთელის „დამარცხებულნი“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“, ჰეირამანის „იმედის დაღუპვა“, ა. ყაზბეგის „არჩენა“, აზიანის „გაცრუებული იმედები“, ტრ. რამიშვილის „მეზობლები“, გ. ერისთავის „დავა“, მოლიერის „ტარტიფი“, ია ეკალაძის „№ 21“, გერგასლის „ნიღაბქვეშ“, დ. კლდიაშვილის „იორინეს ბედნიერება“, პ. ირეთელის „ქრისტიანი“, ს. ქანტუაშვილის „ბურუსი“, გ. სუნდუ-

კიანის „პეშო“, ნ. შიუქაშვილის „სულელი“, შ. დადიანის „გუშინდელი“, ნ. სუმბათაშვილის „ლალია“. ამ საღამოს მოკარანხები იყვნენ: კ. გელეიშვილი და ა. ცაბაძე.

ამ არჩევულებრივი წარმოდგენის პროგრამა იმდაგვარად იყო შედგენილი, რომ თითქმის ყველა სპექტაკლში, თუ ამის შესაძლებლობას იძლეოდა დროის მონაკვეთი, იგივე მსახიობები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ესა თუ ის როლი პირველ დადგმებში შეუსრულებიათ.

გადამტკარებლად უნდა ითქვას, რომ ამ საიუბილეო საღამოს, იმდენი ხალხი დაესწრო, რომ დაზაზში ტევა არ იყო, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა.

რაც შეეხება საზეიმო განყოფილებას, უნდა მოვახსენოთ, რომ დიდი და პატარა სულგანბული უსმენდა ყოველი ორატორის გამოსვლას.

საიუბილეო კომიტეტმა გამოუშვა სპეციალური გაზეთი „სახალხო თეატრი“, რომელსაც ეწერა — „დეკემბრის 9, 1923 წ. საიუბილეო გამოცემა“.

ამ გაზეთში მოთავსებულია ორი სამგლოვიარო განცხადება, რომლებშიც მოხსენებული არიან ამ სახალხო თეატრის გარდაცვლილი უნვაგარო მოღვაწენი. ამის გარდა დაბეჭდილია მრავალი მისალროი სიტყვა. წერილები, ლექსები და დემონსტრაცია.

პირველ სამგლოვიარო განცხადებაში ციოხულობთ:

„სახალხო თეატრის საიუბილეო კომიტეტი, ქართულ დრამის გამგეობა და დამი დიდი პატივისცემით იგონებენ სახალხო თეატრის სასიძულულო მოღვაწეს ჰიონერ ქალს — მარიამ დემურისს, რომლის უანგარო და დაუღალავი მუშაობის ნაყოფად ითვლება დღევანდელი ზემოი.

სამოქალაქო პანაშვიდი გადახდელი იქნება დღეს — ნაშუადღევს პირველ საათზე, სახალხო სახლში“.

მეორე განცხადება: „სახალხო თეატრის საიუბილეო კომიტეტი, ქართულ დრამის გამგეობა და დამი მწუხარებით და დიდი მოწონებით ოხსენებენ სახალხო თეატრის გარდაცვალებულ ბიონერებს: რეჟისორ და მასწავლებელ კოტე შათირაშვილს, მსახიობთ და გამგეობის წევრთ: დავით შველიძეს, მიხა შველიძეს, სოფიო ლომოურს, მიხა



ინაშვილს, სიმონ გოგოლაშვილს, (სვიმონიძე), ასიკო ცვაკარელს, ნატალია გაბუნია-ცვაკარისას, თამარ ქუჩუკაშვილს, ანასტასია მაჩაბელს, გიორგი მარსაოვს, ი. ევლოშვილს, გიორგი წერეთელს, ანკო ჩაჩიბაძას, ნიკო ხუდადოვს, სოსო ივანიძეს, სერგო პუბანოვს, სონა ციციშვილს, ოლა გაბუნიას, ელენა ქარუმიძეს, ილიკო სუხიაშვილს, გოგლა გელაკურაშვილს, სანდრო დავითაშვილს, შაქრო მჭედლიაშვილს, გენო ქობულავს, გედეონ გედევანოვს, კოლა სარჯველაძეს და მოკრძალებით მუხსნ იდრეკენ მათი სიტყვით სახეების წინაშე“.

ამ სამკლოვიარო განცხადებებს მოსდევს მოწინავე («ტფილისი, დეკემბრის 9»). ეს სარედაქციო მისალოცი სიტყვა ისე მოკლეა, შინაარსიანია, რომ საჭიროდ მიგვჩინა მისი მთლიანად მოყვანა.

„სახალხო თეატრის 30 წლის იუბილე — ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვება სათეატრო ხელოვნების საზიზიულზე.“

დიდა ღვთისმშობელი მადლი ჩვენს ხალხში, რომელიც შთაბრძნის მსხვერპლი გაიღოს დიადი მნიშვნელობის, საცაიობრიო საქმის გასამარჯვებლად. ამის დამამტყიცებელია სახალხო თეატრის 30 წლის არსებობის დღესასწაული.

ხელოვნების იმეათ სიყვარულს, ჩვენს ნიჭს და თვადლებს მიეწერება ეს.

სახალხო თეატრი — პირმშო შვილია მშრომელი ხალხის მასის. იგია მისი ტაძარი, რომელშიც ისმის სავალბებელი სულის განმწმენდი, სათნოების და სიყვარულის მღადადებელი.

ერთგულად სულის გადავარების სამშრომელბამ და დიდი თავისუფლებისათვის ბრძოლის შეგნებამ შობა იგი და დღესაც ტყვედ მიემართება არჩეული გზით, ჩვენი ხალხის გასათვითცნობიერებლად.

მის სარკეში გამოჩნდა მრავალი სახე მეტყველი კაცის სულის სიმანჩის თუ სათნოების. სახე ათსგვარი — შვილი ჩვენი ცხოვრების, რომელიც ქმნის შეგნებას, რომ დავგმომთ დასავგმობა, ვადიდოთ სადიდებელი. მისი ალაში ბრწყინვალე და მაღალი, მისი ღვაწლი უანგარო, სპეტაკი და დიადი. იგი ჩვენი მშრომელი ხალხის საღამაზუა, მისი მოამავენი — ძვირფასი ყვავილები. ისინი მოდიან შორი მანძილით, ბევრი მათგანი ჭადარითა შეეერცხლილი, მათი თვალები ნათელი არის გაბრწყინებულნი, რომელიც ამბობს: „ჩვენ გაემარჯვებთ!“

— ჭეშმარიტად, ვეტყვი ჩვენ. მრავალნი ვართ, რომელთაც ეს ვიგრძენით. ვიგრძენით, რომ თქვენთან გამოვლილ გზაზე ეკლები არის და თქვენი გული მითა დასერალი — „ვარდი უეკლოდ არავის მოუტრეცია“. და თქვენგან მოკრფელი ვარდები-კი ხალხის სულში გაიშალა, მისი სიყვარულით აფერადდა.

ეს ვარდები გეკუთვნით თქვენ — ღირსეულნი შვილნი ერის. მიიღეთ ძღვენი იგი — სიმბოლო მადლობის და პატრიოსტემის. დიდება თქვენს ღვაწლს!

დიდება თქვენს სახელს!“
გამორჩეული პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ი. გომარათელი წერდა:

„... თუ ხელოვნება ჩირაღდანია ადამიანისთვის გზის გასანათებლად, არსად ეს ჩირაღდანი ისე სხივმოსილი არ არის, როგორც თეატრი“.

„... ჩვენი თავყვანიცემა მშრომელი ხალხის საღმარაოზე მტკიცედ მდგომ გოლიათებს ქართული სახალხო სცენისას!

ვინ შექმნა ჩვენი სახალხო თეატრი? — ქართველი მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილებმა. ვინ იყვნენ სახალხო თეატრის პირველი მსახიობები? — ჩვენი მშრომელი ხალხის შვილები. ვინ ანკრევედა ყოველგვარ დაბრკოლებას სახალხო თეატრის გზაზე — მშრომელი ხალხის შვილები.

სახალხო თეატრი იშვა მუშათა უბანში და ოცდაათი წლის განმავლობაში ის მოუძღვის წინ მშრომელ ხალხს სრული გამარჯვებისკენ. დიდება ქართველ მუშებს!“.

ჩვენი სასიქადულო პოეტის ი. გრამაშვილის მისალოცი წერილი მეტწილად სახალხო თეატრის ნიჭიერ რეჟისორს კ. შათირიშვილს ეხება, რომელიც მანამდე ქართული პროფესიული დრამის თეატრში მოღვაწეობდა და თავისი მაღალი ნიჭის წყალობით ყოველთვის პასუხსაგებ როლებში გვევლინებოდა, მაყურებლის დიდ სიმპათიას იმსახურებდა და სახელმწიფო მსახიობის სახელს ატარებდა.

ი. გრამაშვილი თავის წერილში ამბობს, რომ კ. შათირიშვილი მშრომელთა სიყვარულმა მიიყვანა სახალხო თეატრში და დიდად მისი დაარსებისა, ბოლომდე მისი ერთგული ლადა იყო, იქ იგი ნაყოფიერ სარეჟისორო და პედაგოგობურ მოღვაწეობა ეწეოდა. კ. შათირიშვილი სახალხო ხალხის სცენისათვის — ამბობს პოეტი — ისეთივე დიდი მოვლენა იყო როგორც აბაშიძე, მესხიშვილი და ყიფიანი ქართული პროფესიული თეატრისათვის.

გამორჩეული მწერალი ლეო ქიაჩელი ასე გვამცნობს თავის გულწრფელ დამოკიდებულებას სახალხო თეატრთან: „... მისი არსებობისა და მუშაობის 30 წლის თავზე ბევრი საგულისხმეო უნდა ითქვას ჩვენი ცნობიერებისა და საზოგადოებრიობის განვითარებისათვის.

... სახალხო თეატრი ერთადერთი „კუთხე“ იყო თბილისში, სადაც თავს იფარავდა ქართული სული და მისი სიტყვა.

... ის იყო, ათი წლით სამშობლოს მოშორებული პირველად ჩამოვედი ჩვენს დედაქალაქში.



... ჩამოვედი... საქართველოში საქართველო
ველარ ვიგარქენი, თვით ქართულ რედაქციებშიც
უცხო მეტყველება სუფევდა. ქუჩაში კი ერთ-
ორ ქართულს თუ მოპკრავდი ყურს შემთხვე-
ვით. და შევნიშნე სახალხო სახლის ბატარა აფი-
შა სადღაც მიჩქმალული: ქართული წარზოდგე-
ნა „დალატა“. მივაშურე როგორც მწყურვალმა.

სახალხო სახლმა ახალი საზოგადოება გამოც-
ნო. ეს იყო თბილისის ქართული დემოკრატია,
რომელსაც დარბაზი გაეჭუდა.

აი, სად შეუფარებათ თავი საქართველოს —
საქართველოში მითქია. ეს იყო ახალი საქართ-
ველო, რომელიც ძველი ნაქუჭიდან იზადებოდა
ახალი იმედებით, პერსპექტივებით და თამამი
გაქანებით.

შევაბ ვიგარქენი!
და ახალის წარმოშობასა და გათვითცნობი-
ერებაში ჩვენს დღევანდელს იტბილარს უდიდე-
სი ღვაწლი მოუძღვის. ჰოდა ვინ იქნება ჩვენში
არ შესძახოს მას დღეს „ვაშა!“

რომელიც არ მიესალმება მის დაუღალავ ქუ-
რუმებს ჩვენებური „გამარჯვებით!“

„მმრომელთა სახლი“ — ასე უწოდა „მსხვერ-
პლის“ ავტორმა, გამოჩენილმა დრამატურგმა
იოსებ გუდუგაიშვილმა სახალხო სახლს თავის
ვრცელ მოსალოც წერილში.

... რევოლუციის კოცონს—კვითხულობთ წე-
რილში — სახალხო სახლმა თვალსაჩინო მუ-
გუხალი, რევოლუციური გატაცებით გაავრცე-
რებელი, კომუნიზტი და თვალსაჩინო აავიზგიზა.

მგონია ესაა ნამდვილი და უღვაყო ღირებუ-
ლება სახალხო სახლის მოღვეურობაში, ეს არის
მისი ნამდვილი იუბალე. ამ დღისათვის იყო
მომზადებული ახალი გმირი ახალი ცხოვრებისა,
ახალი ღერძი ახალი ხელოვნებისა. აღამიანი-
კოლექტივი — აი ვინ დგას სახალხო სცენის
კულისებში, ვინ მოვლის მოუთმენლად სცენა-
ზე გასვლას და ვიმედოვნებ, რომ ძვირფასი
იუბილარი ზარს არ დააყოვნებს და ფარდას
აუშვებს.“

ტრიფონ რამიშვილი, სახალხო თეატრის მოტ-
რფიავი, პოპულარული დრამატურგი იყო. იგი
თეატრს უნგაროდ, უსასყიდლოდ სთავაზობდა
თავის შესანიშნავ პიესებს („მეზობლები“, „სტუ-
მარ-მასპინძლობა“, „საყვარულის“ საზღვარზე“
და სხვ.).

„სახალხო თეატრი აკვანია ჩემი სულის წმინ-
და ზრანებისა“. წერს თავის გულწრფელ წე-
რილში ტ. რამიშვილი.

„... ვიტყვი ამყად, ყველას გასაგონად: ჩემი
ოჯახი სახალხო თეატრი არის და ვხარობ, რომ
უფრო მეტ დამსახურებულ მასპინძლებთან მეც
ვარ... და ვიღებ აზარფეშს — გავიძახი: სალამი
დიდ ისტორიულ მატეიანეს, 30 წელს. სალამი
შევიერებლილ სახეებს.“

ჩვენი შესანიშნავი პროზაიკოსის დემნა
გელისას სახალხო თეატრისადმი მიძღვნილ
სალოცი წერილი მოკლეა, მაგრამ შთამაგონე-
ბელი, ამიტომ მისი შემოკლება უზერხულად
მივიჩინეთ.

„მასხოვე სახალხო სახლი, როგორც სიზმარი.
ჯერ კიდევ ბავშვის მან ამიხილა თვალები, რომ
მეხილა ქვეყანა სხვანაირად.“

ნაძალადევის სამკითხველო და სახალხო სახ-
ლი, აი ის ძუძუთ, სადაც მე მთელი პირველი
რბე და საზარლო.

აქ გავახილო პირველად თვალები და ვიხილე
ქვეყანა უცნაური იმედებით და ბრძოლის ყი-
ყინით დანთებული.

აქ ვნახე პირველად დაჯორქებული, მოუხე-
შავი ხელები და შევიყვარე იგი.

სიზმარივით მასხოვე ფართული კრებები მამის
ბინაზე და ქუჩის დარაობა, რომ დროზე გა-
მეფრთხილებინა საიდუმლო კრება.

რკინიგზის და მთავარი სახელისნოს მუშები
მოდიოდნენ მახოლიანი ხელების „პაკლით“
წმენით.

ამ ხალხს ვხედავდი სამკითხველოში, რომე-
ლიც მაგისტრალის ქუჩაზე იყო და ამავე ხალხს
ცხედავდი სახალხო სახლშიც, მათთან ერთად
ვტიროდი ამ ტაძარში გრძობით მორეული.

„ქოჩიანი ტოროლა“ აქ ვიხილე პირველად
და იგი მიმიძღვის წინ.

გაკოიძობ, სვიმონძე, გოგოლაშვილი, მესხი-
შვილი, წუწუნავა, ჯაბაური, სალაყაია...

სახალხო სახლმა მასწავლა, რომ ცხოვრება
არ არის სანახაობა, რომ იგი შემოქმედებაა.

რამდენი გულწრფელი ცრემლი დამიღვრია
სახალხო თეატრში!

სამ თეატრში ვიხილე პირველად სიცოცხლე:
ავკალის აუდიტორია...

ნაძალადევის თეატრი...
და სახალხო სახლი...

„გაუშარკოს სახალხო თეატრს!“..
არ შეიძლება აქვე არ გავახსენოთ მკითხველს

სახალხო თეატრის დიდი გულშემატკეპრის,
ჩვენი მზიცივანი პოეტის შიო მღვიმელის მისა-
ლოცი ლექსის თუნდაც მცირედი ნაწყვეტი.

...რაკი შენსკენ იზიდავდი
მებრძოლთა და შრომის შვილებს
ბევრი ავად გაუტრებდა,
ბევრიც ვიღისავდა კბილებს.
მაგრამ ვერა დაგაკლეს რა,
უძლიველი მაინც სძლიე,
ვით ნამგალი ყანის წვერებს
შენს საქმეს ზედ დალეოი.
და აჰა დღეს ნიშნად დიდის
მადლობის და წყალობისა:
შენს გარშემო ისმის ხმები
საწვიმო გალობისა.



ვაშა ხალხის მოამაგეს,
 ვაშა მისგან აღზრდილ შვილებს,
 ოცდაათ წლის ნამაგდარზე
 სიამაყით ფრთებ გაშლილებს.

საიუბილეო გაზეთ „სახალხო თეატრის“ მე-
 ოთხე ვეერდზე დაბეჭდილია რ. ჯიბილის (რა-
 ფიელ ჯიბლაძე — ჟურნალისტი და სახალხო
 თეატრის სცენისმოყვარე) აქტიურებისადმი მიძ-
 ლენილი სტროფები, რომლებშიც მოცემულია
 მათი დამახასიათებელი ზოგერთი შტრიხი.

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება დღევანდელი
 სათეატრო ხელოვნების მოყვარულთათვის ამ
 მეგობრული „შარეებიდან“ მოვიყვანოთ ზოგი-
 ერთი მათგანი.

აი ისინი:

ნიკო გოცირიძეს

სახალხოდან გაიქეცი,
 თითქმის სულმთლად მოგვიძულე,
 დიდი სცენა ნუ გამოგცვლის
 ხანდახან ჩვენც გვინახულე.

აპაპი ხორაშას

გამარჯობა აკაკი!
 „საქმე მუჟორე წიე?“
 რად დატოვე „სახალხო“
 რომელ მხარეს ვასწიე?“

შალვა დადიანს

„ნეტავ ეხლა სადა ხარ
 და რომელსა მხარესა“.
 შენი ძველი ადგილი
 სულ „სხვას“ ჩააბარესა.

ივანე ბარველს

რეჟისორად მოგიწვიეს
 მოგვევლინე „პრემიერად“,
 მაგრამ გეტყვი — ჩვენი დარჩეს—
 როლს ასრულებ „მშვენიერად“.

ვიპტორ ნინიძეს

აწი ტპილად მოისვენებ
 „თმა ქუჩუჩა, ჩემო კუტა“
 რადგან ვანომ გათამაშა
 „ნიკიფორე ატაკუტა“.

„სახალხო თეატრის“ ფურცლებზე დაბეჭ-
 დილია სხვა მრავალი საინტერესო მასალა —
 მისალმებანი, ლექსები, სცენები, მაგრამ ამ პა-
 ტარა წერილში ყველამ ჩამოთვლა შეუძლებე-
 ლია.

წელს 9 დეკემბერს სახალხო თეატრის ოთხმო-
 ცი წელი უსრულდება. იმედი უნდა ვიქონიოთ,
 რომ კულტურის სამინისტრო და თეატრალური
 საზოგადოება წარსულის გამოცდილებას გამო-
 იყენებს და ამ თარიღს ღირსეულად აღნიშნავს.

სოფრომ მგალობლიშვილის ღრამაგურგია

ბივი ჯაოზვილი

სოფრომ მგალობლიშვილის მრავალფეროვან შემოქმედებით მემკვიდრეობაში ყურადღებას იპყრობს მისი დრამატურგიულ სფეროში მოღვაწეობაც, რაც დღემდე საფუძვლიანად არ არის შესწავლილი და გამოშვებული. თუკი ზოგიერთი მკვლევარისა თუ მოღვაწის მიერ (ე. გუნია, პოტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი, პროფ. დ. ჭანელიძე, გ. ბუნიაშვილი და სხვ.) სხვადასხვა დროს ზოგადად თქმულა ამის შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა ეთერ გუგუშვილმა თავისი ფუნდამენტური შრომის „კოტე მარჯანიშვილის“ შესავალ ნაწილში ი. ტუცაშვილის, ა. ცაგარლის, ა. ყაზბეგის, დ. ერისთავის, პ. უმიკაშვილისა და გ. შერვაშიძის გვერდით ს. მგალობლიშვილიც მოიხსენია როგორც დრამატურგი და აღნიშნა, რომ მათი პიესები ახალი ქართული თეატრის სცენიდან ეღერდნენ, როგორც „თანამედროვე სამყაროს მანკიერებათა მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გაღრმავება და განვითარება“¹.

ს. მგალობლიშვილმა სამწერლო-ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები სწორედ დრამატურგიაში გადადგა. ეს მოხდა თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში. როდესაც რუსულიდან თარგმნა შილერის „ორღენელი ქალწული“ და მოათავა სემინარიელების მიერ დაარსებულ ჟურნალ „შრომაში“ 1871 წელს².

ეს შემთხვევით არ მომხდარა. როგორც თვითონ გადმოგვცემს, სემინარიელები დაახლოებული ყოფილან ჟურნალ „მნათობის“ რედაქციასთან, რომლის ირგვლივაც ჟურნალის რედაქტორის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნ. ავალიშვილის ინიციატივით შემოკრებილი

იყო ქართული თეატრისა და ლიტერატურის მოღვაწეთა ფართო წრე.

როგორც ხანგრძლივმა ცვლევამ დაგვარწმუნა, ს. მგალობლიშვილს დაწერილი აქვს თხუთმეტი დრამატული ნაწარმოები, რომლებიც დაბეჭდილია პერიოდული პრესის ფურცლებზე და კრებულებში. აქედან ათი არის მცირე ფორმისა, რომლებიც დაწერილია სპეციალურად ერთი მსახიობისათვის. ხუთი კი — ერთაქტიანი, რომლებიც განკუთვნილია რამდენიმე მსახიობისათვის.

აი ისინი:

1. **გლეხის ჩივილი** (სცენა ხალხის ცხოვრებიდან) პირველად დაბეჭდა ვახ. „დროებაში“, 1880 წ. № 94 მეორედ ვ. აბაშიძის „ჩანგში“, 1892 წ.
2. **სცენა სოფლის ცხოვრებიდან**. ჟურ. „ივერია“, 1885 წ., № 10.
3. **პოსრდენიკთან, პატარა ამბავი ხალხის ცხოვრებიდან** (სცენაზე სათქმელად). „ივერია“. 1888 წ. № 257.
4. **საცოლო ბიკი**, „ჩანგი“, 1888 წ.
5. **ზარის რეკვა**. პირველად დაბეჭდა „დროებაში“, 1881 წ. № 272., მეორედ — „ჩანგში“ 1888 წ., მესამედ ისევ „ჩანგში“, 1892 წ.
6. **დღეობაში**. დაბეჭდა „ჩანგში“, პირველად 1888 წ., მეორედ — 1892 წ.
7. **გულადი**. დაბეჭდა „ჩანგში“, პირველად 1888 წ., მეორედ — 1892 წ.
8. **სცენიდან სათქმელად**. „ივერია“, 1903 წ., № 61.
9. **სადღვრამელო**. დაბეჭდა პირველად ვახ. „დილაში“, 1911 წ., № 17, მეორედ — „ჩანგში“ 1916 წ.
10. **თეატრის კაცი**. „ჩანგი“ 1916 წ.
11. **დუქნის წინ**. სცენა ხალხის ცხოვრებიდან. „დროება“, 1880 წ., № 251.
12. **მოლოდინი კრების შემდეგ**. „დროება“, 1885 წ., № 195.
13. **პატარა სცენა**: „უცნობის ფურცელი“, 1900 წ. № 1337.
14. **ბოღვა**. „ივერია“, 1903 წ. № 61.
15. **თავდაფლანგბულნი**. „ივერია“ 1903 წ., № 88.

¹ ე. გუგუშვილი, კ. მარჯანიშვილი, თბილისი, 1972, გვ. 19.

² და არა 1873 წელს, როგორც ამას ჟურნალი „დროშა“ (1924 წ. № 13, გვ. 18) შეცდომით მიუთითებს. სემინარიელთა ხელნაწერმა ჟურნალმა „შრომაში“ გამოსვლა შეწყვიტა 1871 წელს. იხ. ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, გვ. 48, 59.

³ გამოქვეყნებულია ფსევდონიმით „თლავსუ კვირია“. იხ. ჩეენი წერილი, ჟურნ. „მნათობი“, 1972 წ. № 4.



ს. მგალობლიშვილის ერთი მსახიობისათვის დაწერილი სცენები წარმოადგენდნენ მისაკერპერტუარის მშენებას. იგი თურმე საუცხოოდ კითხულობდა გლეხთა ცხოვრებაზე შექმნილ სცენებს. განსაკუთრებით განუყოფელი ყოფილა საყუთარ სცენებში, რითაც ფართო საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა. მისი სცენების გამოცემით დაინტერესებულან თეატრალური მოღვაწეები, განსაკუთრებით ვასო აბაშიძე. საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დატულია ი. მანსეტაშვილის მიერ სოფრომის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელშიც კეთილშობილთ: „ვასო აბაშიძე გეხვეწება შენი დანაპირი სცენები ხალხის ცხოვრებიდან რაც შეიძლება მალე გამოუგზავნო. ამ თვის ბოლოს აირებს კიდევ ბექუდის (ჩანგისასა — გ. ჯ.) შუღღვეს. შემატყობინე რამე სცენები ჩემს სახელზე შეგიძლიან გამოგზავნო და ვასოს მე გადავცემ“⁴.

იგივე მანსეტაშვილი სხვა წერილში წერს: „მთა სოფრომის სცენები ვაღმომცეს, ვასო აბაშიძე ქუთაისშია. იმის ჩამოსვლამდე ჩემთან იქნება შენი წერილები, დაკარგვის ფეხრი ნუ გექნება“⁵.

ეს იყო 1887 წელს. ამ დროს ვასო აბაშიძე ამზადებდა თავის სადივერტისმენტო და საღამოების კრებულს „ჩანგს“. რომელიც 1888 წელს გამოსცა. „ჩანგის“ ამ გამოცემაში შეტანილი იქნა სოფრომის სცენები: „საცოლო ბიჭა“, „ზარის რეკვა“, „დღეობაში“, „გულადი“.

1887 წლის იანვრიდან გახეთ „თეატრას“ რედაქტორია ალ. ნებურაძე. იგი სოფრომის სწერდა: „იმედი მაქვს, რომ მეგობრობას გამოვიწვი, არც სცენებს მომავლებ დასაბუქდალ და არც სხვაგვარ გამოსაღვეს „თეატრისათვის“. ივერისათვის“ ტყავს იძრობდი და ზოვიც თეატრის არგუნე“⁶.

ს. მგალობლიშვილის სცენები უმთავრესად სოფლის ცხოვრების თემაზეა დაწერილი, მათში გვხვდება სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები: გლეხი, თავადი, მამასახლისი, მღვდელი, ვაჭარი, მოხელე, მომრიგებელ-მოსამართლე და სხვ. სცენებში მწერალმა მთერადედბლა ამხილა ვაბატონებული ფენების აღვირახსნილობა, მათი სულეური და გონებრივი სიღატაკე, მეშინაობა, ანგარება. ცხოვრების ხორცმტრა ბანკის დაუბირისპირა უსამართლობისაგან დაბეჩავებული და ვათელილი გლეხობა.

ს. მგალობლიშვილი ხედავს სოფლის სოციალურ დიფერენციაციას. მართალია ბატონყმობა

იურიდიულად უკვე გაუქმებული იყო, მაგრამ ბატონყმური ურთიერთობის ნაშთებს ჯერ კიდევ დედად გაედგა ფესვები. ამიტომ დრამატული ნაწარმოებები მთლიანად ამ მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლის სულსაცხეთებთ არის გამსჭვალული.

ბატონყმური ურთიერთობის შესახებ ს. მგალობლიშვილს განზრახული ჰქონდა აგრეთვე ისტორიული დრამის დაწერა. არქივში დაცულ მის ჩანაწერებში შემორჩენილია პიესის გეგმა და პირობითი სახელწოდება „ნუკრაძე“. ამ ჩანაწერებდან ჩანს, რომ დრამაში მოქმედების ადგილი უნდა ყოფილიყო სოფ. ნაქარბაგვი (კარალეთი).

თუ როგორი უნდა ყოფილიყო დრამა „ნუკრაძის“ შინაარსი — ეს დაახლოებით შეიძლება წარმოვიდგინოთ მისივე მოგონებებიდან ბატონყმობის პერიოდზე, კერძოდ ნუკრაძის შესახებ: „სოფელ კვარხეთის ბატონი დიდი გულქვა და აჯამი კაცი იყო თურმე. ამასთან აჯორცი. ვერც ვინმე გაათხოვებდა ქალსა და ვერც ვინმე მოიყვანდა რძალს იმის უნახავად. ხელებმა გამართეს თათბირი, როგორ აეცილებინათ ეს ჰირი თავიდან. ამ დროს ყაჩაღად იყო გავარდნილი ვინმე ნუკრაძე, რომელსაც გულის სატრფო მოსტაცა ბატონმა და გააუტკბურა. ნუკრაძემ ბატონი მოჰკლა, სატრფო კა ჯავრს გადაჰყვა. ამის შემდეგ ნადირობდა ბატონებზე. აი ეს ნუკრაძე მიიწივეს კვარხელებმა ბატონის მოსაკლავად, თან გააფთხილეს; ძალიან ვეჟკაცია და თოფი არ დააციდნოვო, მერე ჩვენ შეგეშველებითო. ნუკრაძე მივიდა სახლთან, კვარხელებიც ცულებით შემობრტყენენ. ნუკრაძემ ბატონს, რომელიც სახლის აივანზე სცემდა ბოლოსა, შესძახა: „გამაგრდი მოსაკლავად მოვედიო“, და დაახალა თოფი. ნიშნში ამოღებულმა ტყვიამ გული გაუგმირა ბატონს. აცვიფდნენ კვარხელები და ცულებით ლუქმალუქმა დაჩხეს ბატონი“⁷.

ნუკრაძის პიროვნებით იმდენად იყო გატაცებული მწერალი, რომ ამ ამბავს ხშირად ლიტერატურულ საღამოებშიც ჩაუტრავდა ხოლმე. გეგმობის აღტანელი სიღატაკის ერთადერთი მიზეზად ს. მგალობლიშვილს ცრუმორწმუნეობაც მიანია. ამ თემას მან არა ერთი ნაწარმოები მიუძღვნა, მათ შორის აღსანიშნავია სცენა „ზარის რეკვა“.

მორწმუნე გლეხს შორიახლო მიმავალი აქლემების ქარავანის ზარების წერიალი შემოესმა და მას ციდან ზარის რეკვად მიიღებს. მას სიხარული დაეფუფლება, ვაგონილი აქვს, რომ „ციდან რო აღამიან ზარის რეკვა შემოესმის, რასაც შამინ გულით ინატრებს, აუხდებო“. მაშინვე

⁴ გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ფ. № 157.57.
⁵ იქვე.
⁶ იქვე.

⁷ ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 63-64.

ღმერთს ვედრებით მიმართავს. „ჯერ ისევ ბურანში ვახლდით, ყურში ხმა მამხვდა, ისე გაბმითა ნუ! ნუ! — გუეუბნება ნაწარმოებას გმირი — თოფნაკრავით წამოყარდი და კური დავეუღვე. სწორად ზარის ხმა იყო, ჰეჰე! ახლა კი გავცეთლი-მეთქი, დავემხე პირქვე და შევტხოვე ღმერთს: ღმერთო დიდებულო, შენ მომველე და წყალობას ნუ მომაკლებ-მეთქი. ვითხოვე საქონელი, კიი ხარკამერი, ერთი გუთნეული მყვანდა, ერთიც ვითხოვე, კიდევ ცოლ-შვილის დღეგვტელობა, ღვთისა და ბატონის წყალობა, ბატონის დიდი ნათუზარი, ნაღელში რომ მაქვს, ისა! სამი ვეი და ერთი ქალი. სამი ვაი მყავს, მაგრამ რაც ბევრი კაცია გლეხის სახლში, იმდენი მეტი ღონეა“.

ეს გულუბრყვილობა გლეხისა მაყურებელში ხალისიან სიცილს იწვევდა. რევოლუციურად მოაზროვნე მწერალი ცდილობს გლეხობას შთაუნერგოს ქეშმარიტება იმის შესახებ, რომ გაჭირვებიდან ლოცვა-ვედრება ვერ დაიხსნას მათ. თავის ნაწარმოებებში ამხილებს ცრუმორწმუნოებას და მის საწინააღმდეგოდ განაწყობს მეთვალყურეებსა თუ მამხინჯებს.

სცენაში „გლეხის ჩივილი“ ახალგაზრდა გლეხის სიმონა გვიამბობს თუ მეზობელ სოფელში ტივით ხეების ზოდვის დროს როგორ მოეწონა ერთი გოგო. გოგოც დათანხმებულა სიმონას ცოლობაზე. მაგრამ მღვდელი ჯვარს არ სწერს „თუმანნახევიარ“ ნაკებ, მაშინ როდესაც სიმონას სულ შოღლიოდ მანეთი მოეკვეთება. რამდენს ემუდარა სიმონა, მეტი არა მაქვსო, მაგრამ არაქნა, მოძღვარს კაბიციც ვერ დააკლებინა. გულმისული სიმონა უარს აცხადებს ჯვრისწერაზე, გადაწყვიტა ჯვარდაუწერლად იცხოვროს თავის ცოლთან.

გლეხის გულუბრყვილობაზე და ბატონების წინააღმდეგ მეტროლი არსენასადმი მის გულწრფელ თანაგრძნობაზე მოკვითხრობს სცენაში „თეატრის კაცი“.

ს. მაგლობლიშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ხელმძღვანელობდა ი. ჰაქევაძის ლოზუნგით: „ჩვენ უნდა მოვეცოთ მომავალი ხალხს.“ ეს რწმენა მას ჯერ კიდევ სემინარიის კედლებში ასულდგამულებდა.

სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მეტროლი ძალებს ს. მაგლობლიშვილი, გლეხობის გარდა ინტელაგენციაშიც ხედავს. მასგან მოითხოვდა სოფლისთვის, ხალხისთვის, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვას.

პიესაში „ბოღვა“ მან მკაცრად ამხილა 900-ანი წლების ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც არჩენდა უყრტილდა ცხოვრებას და მისი საჭირობოტო საკითხების მოკვარებისათვის ბრძოლის საქმეს თავს არიდებდა. შემოფარგლული იყო მხოლოდ და მხოლოდ საკუთარის ინტერესებისათვის ზრუნვით.

პირველმა რაფიელ ერისთავმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში „სცენების“ ჟანრი. მას შემდეგ „სცენებმა“ დიდი გავრცელება პოეტიკურად სცენის ლიტერატურაში.

ს. მაგლობლიშვილი პირველ ხანებში სცენაზე რ. ერისთავის სცენებს იყენებდა, შემდეგ მისი გავლენითა და მიბაძვით თვითონ მოჰკიდა ხელი ამ ჟანრს.

როგორც თვითონ ვაღმოგვეცემს, ს. მაგლობლიშვილს რ. ერისთავის სცენებში ზოგიერთი ცვლილებები შეჰქონდა. ეს ცვლილებები შეეფარდებოდა თანამედროვე ცხოვრების შინაარსს და რევოლუციური პათოსით ხასიათდებოდა.

რ. ერისთავის სცენებს ვაზ. „დროება“ (1872 № 19) „ჩვენი ხალხის ცხოვრების ფოტოგრაფიული სურათები“ უწოდა. მაგრამ მათში მოცემული ქართული გლეხი მეტისმეტად პასიურია, ღვთის მოსაგი, მეფისა და მისი დამქაშებას მონა-მორჩილი. ს. მაგლობლიშვილის გლეხი კი რამდენადმე გამოქნილია, გამოწვითობილია ცხოვრების პილიში. საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მახინჯ მოვლენების მიმართ პროტესტსაც აცხადებს და გარკვეულად რევოლუციური შემართების „სულისკვეთებასაც კი ამჟღავნებს.“

ს. მაგლობლიშვილის პროზაული ნაწარმოებები არ ქცეულა ინსცენირებას საგნად. გამოჩაყლის წარმოდგენს მხოლოდ მოთხრობა „ჯორ-ზაქარა“, რომელიც დაიდვა გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრში 1958-59 წლებში სეზონში. ინსცენირების ავტორი იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ერ. არაქლოვი, რომელიც ამავე დროს თამაშობდა მთავარ როლს — ჯორ ზაქარას.

დადგმა ეკუთვნოდა საქ. სსრ ხელოვნებას დამსახურებულ მოღვაწეს გრ. ლალიძეს და გ. აბრამიშვილს. მხატვარი იყო შ. ხუციშვილი. მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჩიორნაშვილმა.

„ჯორ-ზაქარა“ ინსცენირება წარმოადგენდა სახალხო დრამას 4 მოქმედებად 8 სურათად, ეპილოგით. შეიცავდა 28 მოქმედ პირს. გლეხების, გლეხის ქალების და გოგო-ბიჭების მასას სახალხო სცენებისათვის. სპექტაკლში დასაქმებული იყო თეატრის მთელი შემადგენლობა.

„ჯორ-ზაქარა“ თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი ყოფილა. იგი რამდენიმე წლის მანძილზე ამშვენებდა გორის თეატრის რეპერტუარს და საზოგადოების ფართო ინტერესს იწვევდა.

გორის თეატრის მიერ „ჯორ-ზაქარას“ ინსცენირება იმავე დროს, წარმოდგენს კოლექტივის პატივისცემას დიდი ღვაწლისას, რომელიც თავის დროზე გამოჩინილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ამ ქალაქში გასწია.

შეხვედრები პერიკო ანჯაფარიძისათვის

ბიოგრაფიული მარკოზაჟი

საბოლოო კავშირის სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძეს მე, როგორც ექიმი, დაახლოებით ამ 40 წლის წინათ შევხვდი. ვერიკო ანჯაფარიძე მაშინ უკვე ცნობილი მსახიობი იყო, ნათამაშევი ჰქონდა ოფელია „ჰამლეტში“, ლუჩა „ვერაგობა და სიყვარულში“, ივლითი „ურაილ აკოსტაში“ და სხვა როლები, რომლებმაც მას სახელი მოუტოვეს.

მე კი ამ პერიოდში ახალგაზრდა გამოუცდელი სტომატოლოგი ვიყავი და თეატრის მსახიობებს მხოლოდ სცენიდან ვიცნობდი.

ერთ დღეს, სამსახურში, პროფ. ა. ელიბერიძემ გამომიძახა თავის კაბინეტში და გამაცნო ჩვენთან კლინიკაში სამკურნალოდ მოსული ვერიკო, რომელიც სტომატოლოგის სავარძელში იჯდა და იქ მყოფ ექიმებს მხიარულად ესაუბრებოდა.

ამ დღეს ვერიკო უჩვეულოდ გამოწყობილი მომჩვენა: ეცვა ორიგინალურად შეკერილი კაბა, რომელზეც გულმკერდის მიდამოში მიბნეული ჰქონდა ყვითელი ფერის უზარმაზარი გულსანბნევი, რომელიც მთელ გულმკერდს ფარავდა. ასეთი მორთულობა მე სხვებზე არ შეინიშნავს. თითზე დიდი ფერადფერიანი ბეჭედი ეკეთა, მაჯაზე კი განიერი მასიური შავი სამაჯური.

გაცნობის შემდეგ ვფიქრობდი როგორმე კამეთვისუფლებინა თავი მისი ექიმობისაგან. მაგრამ ეს შეძლებელი იყო, ვინაიდან პროფ. ა. ელიბერიძე და რამდენიმე ექიმი იქვე იდგნენ.

ალბათ არც ვერიკო იყო ნასიამოვნები, რომ ასეთ ახალგაზრდა ექიმთან მოხვდა, მაგრამ ღიმილს სახიდან მაინც არ იშორებდა.

შევუდგექი მუშაობას, ვერიკო ხშირად იტყუებოდა სარკეში და აშკარად ჩანდა ჩემს ამომუშევარს ამოწმებდა.

უჩქარებლად ვმუშაობდი, მაგრამ იმდენად ხელშემშლელი იყო მისი ხშირი ყურება სარკეში, რომ იძულებული გავხდი მეთხოვა მუშაობის საშუალება მოეცა.

იგი ამას არ მოელოდა და ნაწყენმა მიპასუხა. „მე მაინტერესებს რას აკეთებთ, ეს კბილები ხომ სცენიდანაა მასურებელმა უნდა ნახოს“, ამ დროს კიდევ დააბირა სარკეში ჩახედვა, მაგრამ უცებ გაუვარდა ხელიდან სარკე და იატაკზე დაეცა.

სარკეს პროფ. ა. ელიბერიძე დასწვდა, და როცა დაეხედეთ, გაბზარული აღმოჩნდა. მან სწრაფად დაანარცხა სარკე იატაკზე და სიკალოთ დაატანა, სარკე რომ გატყდებოდა, ამბობენ, ცუდის მომასწავებელია, ამიტომ უნდა დაიმსხვრესო.

ამან იქ მყოფთა სიცილი გამოიწვია. ვერიკოც იცინოდა, მაგრამ არა მგონია ნამდვილი ეცინებოდა, ვინაიდან მართლაც დასანანი იყო ასეთი ორიგინალური ძვირფასი სარკის გატყევა.

შემდეგ ვერიკოს შეხვდით როცა ომი დამთავრდა. მაშინ უკვე საკმაო სტაჟი და გამოცდილება ჰქონდა, ახლად დემობალიზებული ვიყავი საბჭოთა არმიის რაგებებიდან.

ვერიკოც აღარ იყო ის, რაც პირველი შეხვედრის დროს, უფრო მეტად ჰქონდა სახელი მოხვეწილი და საყოველთაოდ აღიარებული მსახიობი იყო. ხოლო მის სახეს უკვე დროთა და შრომის ნაკვალევი დასტყობოდა, მაგრამ როდესაც დაეკვირდი და გამოველაბარავე, შეენიშნე, ისევე ის, ძველი, ენერგული ვერიკო, თამამი, თავისუფლად, გულახდილად მოლაპარაკე, რთაც დახსენავდებოდა სხვა თავისი ამანგაგებისაგან.

ყურადღებას იქცევდა ამ პერიოდში განსაკუთრებით მისი თმის ვარცხნილობა — მოკლედ შეკრეპილი და უსისტემოდ აწეწილი, რაც ამ პერიოდში ჭერ ქაღვე არ იყო საერთოდ გავრცელებული, მაგრამ რაც მთავარი იყო, იგი უკვე უნდობლად აღარ მიმზერდა და მეც თავისუფალი მუშაობის საშუალება მიეძლეოდა. ჩვენს შორის სარკეც აღარ ტრიალებდა ხელის შემშლელად და საკონტროლოდ.

მასთან ყოველი შეხვედრისას ვრწმუნდებოდი, რომ ვერიკო ერთიან სცენაზე და მეორე ცხოვრებაში. იგი სცენაზე მეტყველებს თავისებურად, მხოლოდ ვერიკოსათვის დამახასიათებელი ინტონაციით.

კერძო საუბარში კი სულ სხვანაირია, მკაფიოდ გამოსთქვამს თავის აზრს, უკომპრომისოა, კარგად იგრძნობა ზოგადი განვითარება, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, და პასუხიც ამიტომ მზად აქვს ყოველი მოულოდნელი შეკამათებისათვის, იგი გელაპარაკებთ თავისუფლად, გულახდილად, მოურიდებლად.

მეც არ მიყვარს დათმობა საუბარში, ამიტომ



ზოგჯერ ერთმანეთს შეეცამათებივართ. მაგალითად, ერთხელ სიტყვა შეეხო დადგმას, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა განახორციელა — ეს იყო ნაზიმ ჰიქმეთის „ლევინდა სიყვარულზე“, რომელშიც ვერაქო ანჯაფარიძე მთავარ როლს — დედოფალ მეკმენებახუს ასრულებდა. სხვათა შორის, პრემიერას თვით ავტორი ნაზიმ ჰიქმეთიც ესრუებოდა.

მე ეს მარჯანიშვილის თეატრის დადგმა არ მოვიწონე და უპირატესობა სოხუმის თეატრის ამავე პიესის დადგმას მივეცი, რომელიც მან თბილისში გასტროლების დროს აჩვენა გრიბოდოვის სახელობის თეატრში.

სოხუმის თეატრში დედოფლის როლს ჩემი ყოფილი პაციენტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ირინე დონაური ასრულებდა.

მე გავიხსენებ რამდენიმე სცენა სოხუმელთა სპექტაკლიდან. ვერიკოს ეტყობა არ ესამოვნა, რადგანაც შემაწყვეტინა ლაპარაკი და შეეცადა მარჯანიშვილის თეატრში დადგმული პიესა დაეცვა მაგალითების მოყვანით. მაგრამ როდესაც მაინც ვეჯუტობდი, უცხად, ერთი ამოსუნთქვით, გაჯერებით მიპასუხა, რას მეკამათები როდესაც ხელოვნების საკითხებში ვერ ერკვევით. რადგან კამათმა ასეთი არასასამოვნო მიმდინარეობა მიიღო, ვამჯობინე ვაჩუმებულყოყვა.

ვერიკოს მყურნალობის პერიოდში ჩემთან სამყურნალოდ დადიოდა აგრეთვე ჩემი ყოფილი მასწავლებელი, სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიული სტომატოლოგიური კათედრის გამვედოც. ნ. ჩხეიძე, ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკენ, მოიგონეს ძველი დადგმები და, როდესაც ვერიკო წავიდა, დოც. ნ. ჩხეიძემ მითხრა, „ახალგაზრდობაში ვერიკო ძალიან ლამაზი, ცქრილა გოგონა იყო“.

შემდეგში ვერიკოს ვუამბე ჩემი ყოფილი მასწავლებლის შასხუ გამოთქმული ქათინაური და განსაკუთრებით ხაზი გავუსვი მას სილამაზეს ახალგაზრდობაში. ვერიკოს გაეცინა, ხელი ჩაიჭინა და მითხრა, მე მგონია მაინცა და მაინც ლამაზი არა ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი თვის დაქვერა საზოგადოებაში. და ალბათ ლამაზ ქალობა ეს დარჩა მეხსიერებაში თქვენს მასწავლებელსო.

მასხოს ვერიკოს მყურნალობის დროს შეხვედრები დროში დავუზიანე, და არც ისე მსუბუქად, ძალიან შეეწუხდი, მან ეს დაზიანება არაფერად ჩათვალა, მართალია, მეც არ შევიმჩინე, რომ არ შეშინებოდა. მაგრამ ეღელავდი, ჭრილობა არ გართულებოდა. მეორე საღამოს საგანგებოდ წაველი თეატრში, რათა გამეგო, ვერიკოს გამო ხომ არ გადაიდო სპექტაკლი, მაგრამ სპექტაკლი ჩვეულებრივ ჩატარდა. ვერიკო ისევე კარგად თამაშობდა, როგორც საერთოდ ყოველთვის.

შემდეგ, როცა ვერიკო მორიგი მყურნალობათის მოვიდა, გულახდილად ვუთხარი ჩემი შიში და სპეციალურად ამ მიზნით რომ დავესწარი სპექტაკლს. მას გაეცინა და მითხრა, განა ასეთი პატარა რამ რამეს მიხაზს, მე ზოგჯერ ისეთი მოძრაობის გაკეთება მიხდება სცენაზე როლის ხასიათის მიხედვით, რომ ასეთ პატარა დაზიანებას ანგარიში რომ გავუწიო, სად წავაო.

ბოლოს ვერიკოს შევხვდი რამდენიმე წლის წინათ. იგი ჩემთან მოვიდა აღუღებელი და როცა შეეკითხე, რა გავიჭირდათ მეთქი, მომიბრუნდა და მითხრა, ხედავ ვეღარ ვლაპარაკობო.

მართლაც მეტყველება დარღვეული ჰქონდა, სიტყვები გარკვევით არ ისმოდა, ვერიკოს წართმეული ჰქონდა ის, რითაც აქამდე ამაყოფა და იმარჯვებდა — სწორი მეტყველება. ეს კომოწვეული იყო ჩემი კოლეგის მიერ ახლად დამზადებული კბილის გვირგვინებით, რომელიც ორთოპედიული სტომატოლოგიის წესების დარღვევით იყო მორგებული კბილებზე.

მე დავაშმეიდე, პირველი დახმარება აღმოვეჩინე, შევესწორე გვირგვინები, აღუდგინე მეტყველება. გვირგვინები აუცილებლოდ შესაცვლელი იყო.

გავიდა ხანი. 1957 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძეს სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს უხდინდნენ. იუბილეს წინაღობებში ვერიკოს ოჯახის მახლობელი მოვიდა ჩემთან და ვერიკოსაგან გამოგზავნილი მოსაწვევი ბარათი ვაღმომცა, რაც ძალიან მესიამოვნა, ვინაიდან ეს ალბათ იყო იმ ყურადღებისა და პატივისცემის პასუხი, რომელსაც მე ვინმედი ხოლმე დიდად პატივცემულ ვერიკოსთან შეხვედრისას.



რევაზ ქინქლაძე

ტარიელ ხაშთაძი

...**კინოსკანსი** დამთავრდა. მამა და შვილი სახლისავენი მიმავალ სოფლის შარავზას გაუყუენენ. პატარა რეზო პირველად იყო იმ დღეს კინოსში და აღვრთოვანებას ვერ ფარავდა. „ეღლისოს“ გმირებმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. განსაკუთრებით ვაჟის ვაჟაკობით მოიხიბლა. იმ დღიდან ოცნებად ექვე მსახიობი გამხდარიყო. ეს სურვილი კიდევ უფრო გაუძლიერდა, როცა სკოლაში შევიდა და სწავლას დაეწაფა. რეზოს განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურა უყვარდა. როცა ნაწარმოების წაკითხვას მორჩებოდა, განმარტვდებოდა და საყვარელ ლიტერატურულ გმირებს ზაივდა. ხან არსენად გარდაისახებოდა, ხან თავს კაკო ყაჩაღად წარმოადგენდა, ხან თორნიკე ერისთავი იყო და ხანაც გიორგი სააკაძე. მაგრამ ყოველივე ეს ფართულად ხდებოდა და არავინ იყო მისი შემფასებელი.

ის დღე კი რეზოსათვის მართლაც დაუვიწყარია. სკოლის მოსწავლეთა დრამატულმა წრემ ა. ცაგარლის პიესის „ლეკის ქალი გულჯავარის“ დღგმა გადაწყვიტა, რომელშიც ლევანის როლი რევაზ ქინქლაძეს შესთავაზეს. დაძაბულად მიმდინარეობდა რეპეტიციბი. ახალბედა სცენის — მოყვარეები ინტერესითა და მონღომებით სწავლობდნენ როლებს, ეუფლებოდნენ სცენური მოძრაობის ელემენტარულ ჩვევებს, მეტყველებას. და აი. დადგა პრემიერის დღეც. თანაკლასელები და მასწავლებლები ყველაზე უფრო რევაზის თამაშით მოიხიბლნენ, იგი არაერთხელ დააჯილდოვეს ტაშით. სიხარულს ვერც რევაზის მშობლები ფარავდნენ, რომლებიც მაშინ სოფლის დრამაწრის წევრები იყვნენ.

საერთოდ, რევაზის სოფელი ატანა ცნობილია კარგი თეატრალური ტრადიციებით, აქურ დრამატულ წრეში თავის დროზე მოღვაწეობდნენ მსახიობი და კინორეჟისორი ა. ხინთიბაძე, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა დრამაწრეს. ამკერად პროფესორი დ. მგელაძე, რეჟისორი ა. ჭაყელი, თეატრალური ინსტიტუტის ლექტორი ა. სამსონია, პოეტი ნ. მალაზონია და სხვა.

მშობლებს არ გაკვირვებიათ, როცა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რევაზმა სწავლა მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სამსახიობო სტუდიაში განაგრძო. თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარულმა და სიბეჯითემ თავისი

გაიტანა. პედაგოგები ამ ახალგაზრდაში კარგი მონაცემების მქონე მომავალ მსახიობს ხედავდნენ და სწორედ ამიტომაც, სტუდიიდან მარჯანიშვილის თეატრში დატოვეს, სადაც პირველი ნათლობა ალ. ყაზბეგის „მომღვარში“ მიიღო. შესრულა ახალგაზრდა მთიელის როლი. მერე ზუგდიდის თეატრი, ახალი სიხარული, ახალი გმირები. აქ შესრულებული როლებიდან მსახიობს ყველაზე უფრო დათო უყვარს (სუშუბათაშვილის პიესიდან „ელატი“), რადგან სწორედ ამ სცენურმა სახემ მოუტანა მას ზუგდიდში ყველაზე დიდი გამაჩრვება.

1952 წლიდან დღემდე რევაზ ქინქლაძე ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობია, სადაც ოცი წლის მანძილზე უანვაროდ ემსახურება ხელოვნებას და ამ ნიჭიერი კოლექტივის მრავალი შემოქმედებით წარმატების მონაწილეა.

ოცი წელი და ასი როლი, — ასეთია რ. ქინქლაძის სამსახიობო მოსავალი ფოთის თეატრში. ასი სხვადასხვა გმირის ცხოვრებით უცხოვრია მას სცენაზე. მისი სახეები, უმრავლეს შემთხვევაში, ხასიათდება ლირიზმით და ადამიანური განცდების უშუალოდ. რ. ქინქლაძე ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი კარგი თვისებით: იგი არასოდეს არ თამაშობს მყუდრებელზე, ერიდება ზედმეტ და არაფრისმთქმელ ეფექტებს, აკეთებს იმას, რაც უშუალოდ როლის თავისებურებითაა ნაკარნახევი. ასე შეიქმნა ყურბანის როლი მ. მუნთაროვის პიესაში „ალანის ოჯახი“, ელგუჯა (ვ. კანდელაკის „სარეველა“), ტიტაკო (ვ. დარასელი, „კეკელიძე“), თოთარი (ს. კალანდარიშვილის „ადამიანის ღირსება“), იაზონი (ევრიბილი „მედია“), ავთო (ი. ჭავჭავაძის „ჩრდილი ყვავილებზე“), ბ. ძნელაძე (გ. ნახუცროვილის „ბორის ძნელაძე“), რომლის შესრულებისათვის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელი მიიღო, არჩილი (ა. ხაბაძის „ხიდი“), დავითი (მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი“) და სხვა.

მართალია. მსახიობის მიერ შესრულებული ყველა როლი თანაბარი სიძლიერისა არ არის, მაგრამ ყოველ მათგანში იგრძნობა სიყვარული, მონღომება და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება.

რ. ქინქლაძის კარგი თამაში არაერთხელ აღუნიშნავს პრესას. ფოთის საქალაქო გაზეთი



„ახალი კოლხიდა“, აჭარის საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, ლანჩხუთის სარაიონო გაზეთი „კომუნისტური შრომა“ და სხვა, ხშირად იხსენიებდნენ რ. ქინქლაძის ოსტატურად შესრულებულ ამა თუ იმ როლს. თბილისში ფთოას სახელმწიფო თეატრის გასტროლების დროს ნაჩვენები სპექტაკლების მიმოხილვით ყურხალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ „ტარიელ გოლუაში“ რ. ქინქლაძისეულ ლეენის როლზე წერდა: „მსახიობმა... შეძლო რევოლუციითა და თავადს ქალის სიყვარულით გატაცებული ახალგაზრდა კაცის მომხიბლავი სახის შექმნა. მან თავისი გმირისადმი სიმპათიითა და თანაგრძნობით განაწყო მყუერბელი და უზომოდ დაამწუხრა. როდესაც გულგანგმირული დაცვა ბრძოლის ველზე“.

ალანინშენავი ერთი დეტალი. როცა პრეზენტაციას ალ. მარტყულავამ ნახა „მედია“, ფოთის თეატრის დადგმით, სპექტაკლის შემდეგ მაძლოზა გადაუხადა რ. ქინქლაძეს და დასძინა: „მაძლოზელი ვარ ფოთელების საერთოდ და კერძოდ, თქვენი ოჯახის, რომელმაც ნათლად განმცდივეინა მედელას ტრავედია“. საქმე იმაში იყო, რომ ამ სპექტაკლში მართლაც რევანის მთელი ოჯახი მონაწილეობდა. მედელას მისი მეუღლე მსახიობი ყუეუენა ჩხეიძე ანსახიერებდა, თვითონ იაზონს, ხოლო შვილისას მათი პატარა ვაჟი გაიოზნი...

წინ მრავალი ახალი როლი, უძილო დამეებო და შემოქმედებითი გამარჯვებების მუწყებელი სასიხარულო დღეებია. რევანს ქინქლაძისა და მისი ოჯახისაგან მაძლოერი მყუერბელი კიდევ ბევრ საინტერესო სცენურ სახეებს მოეკლს.

40 წელი თეატრში დოდო ზურაბიშვილი

თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს არსებობის 40 წელი უსრულდება. როდესაც ამ თეატრის ისტორიას უნდა გავცნობოდით, მოვინახულეთ ყველაზე უხუცესი მსახიობი ზიზო მოლდუაწიფოს და მთელი თავისი არსებით ჩაბმულია თეატრის ცხოვრებას ფერხულში. ეს ერთადერთი ქალია, რომელიც თეატრის დაბადებას დაესწრო, ნათლობაც ასრულს, მისი წარუმატებლობაც განუცდია და გამარჯვებაც უხეიშია.

მივყევით ამ მსახიობის გზას და თვალწინ წარმოგვიდგება თეატრის გავლილი ცხოვრება...

სვეტიცხოველს ტაძარში მგალობელთა გუგუენს პატარა გოგონას ჭერ კადეც გამოუცდელი, წერიალა ხმა შედრია.

იმ ხანად გუნდს ივანე პაპიაშვილი ხელმძღვანელობდა, იგი ხელს უწყობდა ზიზოს, დღისით ეპარქიალურ სასწავლებელში ესწავლა, საღამოთი კი გუნდში ემღერა.

1932 წელს მუშკოობის თანამშრომლებმა დრამწერ ჩაოაყალიბეს, რომლის მუდმივი წევრი ზიზო ჭალაშვილიც განდა. მუშკოობის მოძრავე თეატრი, როგორც მას შემდგომში ეწოდებოდა, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარეობდა, ხოლო 1932 წელს ათონელის ქუჩაზე გლენათა სახლში გადავიდა. თვითმოქმედ დასს დუდე ძნელაქე ხელმძღვანელობდა.

დრამწერ იმ დროს მხოლოდ ვოდვეილებით, სკეტჩებით და ერთმოქმედებიანი პიესებით იკვებებოდა. მათი წარმოდგენების მუდმივი შემსახებლები და გულშემატიყირები იყვნენ მწერლები: შალვა დლდიანი, სიკო ფაშლიშვილი.

გრიგოლ ბერძენიშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა, როდიონ ქორქია, მიხეილ ლაკერბაი და მიხეილ გოგიაშვილი.

იმ დროს კოლექტივის რეპერტუარში შედიოდა „საიქიო“, „თოქში“, „მოკლე კატო“. „მფრინავაქე“, „ნლდაბო“, „ნახუკარი“, „კოლექტივიზაციო“, „დანგლა“ და სხვა.

„დანგლა“ თავისი მუსიკალური ქარგით ოვერტუა იყო. ზიზომ თამარის როლი მოამზადა და დასამახსოვრებელი სახე შექმნა. „მეთორწეში“ — ბიქის როლი ითამაშა და ისე გაახარა მყუერბეული, რომ ის განცდილი სიათყვენება დიდახანს გასდევდათ.

ერთი სიტყვით, მუშკოობას თეატრის საქმე კარგად მიდიოდა.

1934 წელს თვითმოქმედი დასი პროფესიულ კოლექტივად ჩამოყალიბდა და მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის სახელწოდება მიიღო. დასი გამლიერდა, რეპერტუარიც გავართოვდა. ზიზომ საინფრო-სააღმწენებლო ინსტიტუტის დამთავრებას აღარ დაუცადა, მთელი არსებით თეატრს მიეკუქვა.

თეატრმა პირველ სპექტაკლად წარმოადგინა სიკო ფაშლიშვილის პიესა „თავი სიხარში მგონია“, რომელშიც ნაჩვენები იყო კოლექტივიზაციის პირველი ნახიქები. გოგას როლი ზიზომ მოამზადა. ამავე პიესის მეორე მოქმედებაში ზიზომ ჯიბგირი ბიქის სახე შექმნა. ქუჩის მაწანწალას სახე მყვეთრად გამოსახა, მსახიობმა მიავნო მისი ქცევისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და მისა შინაგანი ბუნება მშვენივრად გახსნა. შემდეგ ირეთელის დრამა „ქრისტინე“ დაიდგა, სონკა ზიზომ განსახიერა,



თამაშობდა გატაცებით, რელიეფურად ძერწავდა მაცდურ და ვერაგი მაქანკალის სახეს.

თეატრში ნიჭიერი რეჟისორები მოღვაწეობდნენ. მიხეილ ჭიაურელი, არჩილ ჩხარტიშვილი, დედუძე ძნელაძე, ბორის გამრეკელი, ვიორჯი ფრონსპირელი, გალაქტიონ რობაქიძე და სხვები. დირიჟორებად მუშაობდნენ: კოტე მაჩაბელი, ვახტანგ ბარნაბელი, ხოლო თეატრის მუსიკალურ ნაწილს ხელმძღვანელობდნენ კომპოზიტორები ვალერიან ცაგარეიშვილი და ალექსი მაკავარიანი.

იმ ხანად ქართული ოპერეტის თეატრის ისტორიას ქმნიდნენ მსახიობები: ვასილ გერსამია, შაქრო ოსფეშვილი, ბორის ჩეჩელაშვილი, მარგო ციციშვილი, მარგო მესხი, დავით მესხი, ალიოშა ყიფიანი გოგი დილონაძე და სხვანი. ამ დიდ ეროვნულ საქმეში მონაწილეობას იღებდა ზ. ჯალიაშვილიც.

თეატრი ახალგაზრდა ძალებით იცებოდა. მათ ხელი შეუწყვეს ქართული ოპერეტის აღმავლობას. ესენი იყვნენ: ე. ციმაკურიძე, მ. დავითაშვილი, ი. ჯორჯაძე, თ. კიკნაძე, ვ. იანვარაშვილი, მ. ინგილო, ვ. სალარიძე, მ. მოსეშვილი, ე. ჩოხელი, ალ. მეწუღიშვილი, ი. ბაკაურია, მ. ბერიამაშვილი, თ. როდე-ჩიჯავაძე, ალ. ტურიაშვილი, ნ. თულაშვილი, დ. ესებუა, ს. ქუთათაძე, ვ. ჭუმბაძე, ალ. ოდიშარია, ვ. პაპაშვილი, მ. მაზმიშვილი, მ. ხოფერიძე, თ. და ლ. ბერძენიშვილები, ალ. ბარქაია და სხვები.

თეატრმა მოლიერის „სკაპენის ოინები“ დადგა (მუსიკა ვ. ცაგარეიშვილისა). ზ. ჯალიაშვილი გეაცენტას ლირიკულ პარტიას ასრულებდა, რომლისთვისაც საჭირო იყო ცეკვა და სიმღერა, ამან მსახიობს შესაძლებლობა მისცა გამოეკვინა ოპერეტის მსახიობის ნამდვილი ნიჭი, ოდრანის „ნატერის თელში“ პერცოგის ქალიშვილის ფიამეტას პარტია მოამზადა, ძალზე მუსიკალურად. დ. კლდიაშვილის „აზნაურებში“ კი კაროზანსა და ნატალიას როლები შესარულა. ყველა როლს თავისებური მკვეთრი სახასიათო შტრიხებით ძერწავდა.

1936 წელს თეატრმა მისამართი შეიცვალა, იქ გადმოვიდა, სადაც ამჟამად ეხედვით, ხოლო იმ განსხვავებით, რომ შენობა ტრამპელები კლუბს ეკუთვნოდა. აქ დაიწყო შემოქმედებითი გაფურჩქნა. მალე აფიშებზე ფლექტჩერის „ესპანელი მღვდელი“ გამოჩნდა (მუსიკა ვ. ცაგარეიშვილისა). ამ პიესაში პირველად ასკანის,

ხოლო შემდეგ ხანატას როლი მოამზადებდა უკანასკნელი დრამატული მგზნებარებით სრულა. მაყურებელი გულწრფელად განიცდიდა ბედის უკუღმართობით გამოწვეულ დიდის ტანჯვას. მას მოჰყვა პუშკინის „გლეხის ქალში“ მისს ექსანონის სახასიათო როლი. შემდეგ მ. გოგიაშვილი „უჩინმაჩინი“, ამ პიესაში ზაზომ სამი როლი განასახიერა: ბაბლინა, მაცყალა და მამო. თეატრის ნამდვილი გამარჯვება იყო მ. ლაქუაზის პიესის მიხედვით დაწერილი კურტიდის ოპერეტა „ხაჯარათი“. ამ ოპერეტაში წამყვან-შაზინას პარტიას ზ. ჯალიაშვილი მღეროდა. შაზინას ლირიული სიმღერები ხიბლავდა მაყურებელს.

თანდათან მდიდრდებოდა ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის რეპერტუარი: „ნათა“, „ლა“, „თივა და ავი ძაღლი“, „ციციშვილი კლდეები“, „ბაიადერა“, „მხიარული ქვერვი“, „არშინ მალ-ალან“, „დედისერთა“, „ოქროს გასაღები“, „მზის დაბნელება“, „ცუგრუმეა“, „მარიცა“ და სხვა.

ზ. ჯალიაშვილს 100-ზე მეტი როლი აქვს შეპარტულეებში. ლირიკული და სახასიათო, დრამატული თუ ენრული სახეები, ერთნაირად ხელმისაწვდომი იყო მისთვის.

იგი გატაცებით ამზადებდა ყველა როლს და ერთნაირი სიყვარულით მღეროდა როგორც კლასიკების, ისე საბჭოთა კომპოზიტორების ოპერეტებში.

1946-დან — 1952 წლამდე მხოლოდ დრამატულ როლებსა ასრულებდა. ოჯახურმა ტრაგედია მზა დაუქარა. მერე კი სცენიდან კულისებში გადაინაცვლა. მიხეილ ჭიაურელმა, ასე გიხსნა ზაზოს მუშაობა სცენაზე: „ზაზო მუსიკალური თეატრის ტიპური მსახიობი იყო. მისი გამოსვლა დიდ სიხარულს იწვევდა. მასთან მუშაობა ძლიერ საინტერესო იყო, რადგან ნიჭიერი მსახიობი ადვილად უკებდა რეჟისორს. მშვენივრად ცეკვავდა, პლასტიკაც ხელს უწყობდა. ზიზო დაუფასებელი ძალა იყო ამ თეატრისა“.

დღეს იგი სცენა-ს მაღმა ზის. ყოველი მსახიობი ახალბედაა თუ დამსახურებული — მისი რეპლიკის მოლოდინშია. ზიზოს თანხმობა თვალებით, კეთილი ღმილით, მათთვის გამხნეება, იმედი, მხარდაჭერაა.

ჩემი მოგონებები

ალექსანდრე გვიგინი

ზუგდიდში არ მიცხოვრია, მარამ როგორც ახალგაზრდაში ამ საუკუნის დასაწყისს, ისე შემდეგაც, იქ ხშირად ვყოფილვარ. თუ აღმო-სავლეთ სამეგრელოში მარტული (ამჟამად გეგეკუორი), სადაც მე დავიბადე, ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურითა და თავისი მოწინავე აღმამიანებით, დასავლეთ სამეგრელოში ზუგდიდი და მისი შემოგარენი წარმოადგენდა ხალხური კულტურის შესანიშნავ კერას.

მარტულის მონასტერი — მეათე საუკუნის ხელთუქმნელი ძეგლი — საეკლესიო სავალბო-ლებსა და ხალხური სიმღერების ერთ-ერთ მოწინავე სკოლას წარმოადგენდა. აქ ცხოვრობ-და, გლოზბა, მღეროდა, სიმღერას ასწავლიდა ამ საქმის დადებული ოსტატი, მასწავლებელთა მასწავლებელი დიტო (დიმიტრი) რომანოზის ძე ქალაქანიძე (1818-1917). ხოლო თეთონი გეგეკ-უორები პეტრე, თეიმურაზ, ვალერიანი და სხვები სიქვეყნოდ განთქმულ მომღერლებად ითვლებოდნენ.

ზაგშვობიდანვე გამიტაცა ხალხურმა სიმღე-რებმა და სავალბოლებმა. ეს იმიტომ აიხსნება, რომ ჩემი ალალი ბიძაშვილი ვალერიან ივანეს ძე გეგეკუორი (1870-1954) კარგი სმენისა და კარ-გი ხმის პატრონი იყო. იგი სამოც წელზე მეტ ხანს ასწავლიდა სიმღერას ჯერ ისევე მარტულ-ში, ხოლო შემდეგ ახალსენაის (ამჟამად ცხა-კაია) სასულიერო სასწავლებელსა და პუდ-გოვორ ტექნიკუმში.

პეტრე-პავლობა იცოდნენ მარტულიელებმა. 1905 წელს, როცა 17 წლის ვიყავი, კარგად მახსოვს, იმდროინდელმა ჭყონდიდელმა, ვადა-გვარცხელიმა ემისკობაშია შავრაზმელმა დიმიტ-რი აბაშიძემ პეტრე-პავლობაზე მწუხრისა და წირის დროს მობინდომა მთელი სიტყვიერი მ-სალა (დავითნი) სიმღერით შესრულებულიყო, ამასათვის გურიიდან (შემოქმედიდან) შესანიშნა-ვი მგალობელი ანტონ ღუმბაძე (1822-1908) დაიბარა და დიტო ქალაქანიძემ, ანტონ ღუმ-ბაძემ და თეიმურაზ გეგეკუორმა დავითნიდან ხმებდა დაყოფილი წასაკითხები სიმღერით შესასრულის. რა თქმა უნდა, აქ დიტო იყო უმყვენისი. მან რვა სხვადასხვა ხმად დაჰყო წასაკითხები, რაც იმ დროს უჩვეულო მოვლენა იყო. მოლოცვლები ალტყებულნი იყვნენ ამ სიმღერებში.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეო-ცის გარეგარეგზე, ზაგშვობისას, კარგად მახსოვს, თუ რა ზარ-ზეიმით დასაფლავეს მარტულის მონასტრის სამარავნოში დავით დადიანის ძმა, მწერალი გრიგოლ დადიანი (ყოლხიდელი), აგ-რეთვე ეკატერინე ქაქავაძის ვაჟი, ქადარკის უზაღლო ოსტატი, აღრე გარდაცვლილი ანდრი დადიანი და სხვა მათი სავგარეულოს წარმო-სადგენლები. იმ დროინდელი ბურანი შემდეგ თანდათან ვათუფნა, მაგრამ საკავალბოებმა და ხალხში მოსმენილმა ხალხურმა სიმღერებმა ბევრი მამ შემინეს და დავაჰკაცებიდან ბევრი კარგი მგლობარი შემბატეს.

პირველი მათ შორის მინც მეგრული ანაბ-ბლის პირველი დამარსებელი ძუკუ ლოლა იყო, რომელმაც 1897 წელს სოფ. კოკში მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა და ამით მან პირველი ბილიყ ვაიყვნა იმ მწვერვალი-საკენ, რომელზედაც დღეს ხალხური სიმღე-რეა დგას. ძუკუ არ იფარგლობდა ერთხელ შეჰე-ნილით, მუდამ სწავლობდა, მუდამ ძიებდა იყო. მას მრავალი მოწოდე და მიმბაველი ჰყავდა, მაგრამ, ამავე დროს, მას მრავალი მასწავლებელიც ჰყავდა, დაწყებული დიდი დიტო ქალაქანიძით და დამთავრებული ივანე ჩომბახათი, რომელიც ზუგდიდში ცხოვრობდა, ხოლო იქვე ახლო მდებარე რაიონებში მოღვა-წეობდა.

ეს ჩემი მცირე მოგონებები მინდა დავიწყო ამ ღვაწლმოსილი აღამანის გახსენებით.

ნიანა რომანია (1872-1951)

— **დავიბადე** სოფელ ჩხოროწყუში, წერა-კითხვის უცოდინარი გლეხის ოჯახში, — მამ-ბო მან დიდი ხნის წინათ და განაგრძო:

— ამ სოფელში არც ერთი სასწავლებელი არ არსებობდა, ამიტომ სოფ. ქოლის სამრევლო სკოლაში მიმხარა. აქ ისეთი კარგი სიბჭითი გამოვიჩინე, რომ მალე სასწავლებლის რჩეული ზუგდიდის ნორმალურ ორკლასიან სკოლაში გადამიყვანეს, რომელიც წარმატებით დავამთავ-რე 1885 წელს.

ოჯახის სიღარიბის გამო აქ დავესვა წერტილი მის სწავლას განაგრძობას.

ძალიან მუსიკალური ყოფილა ივანე რომანას ოჯახი. მშობლები და და-ძმანი სიმღერის კარგი მცოდნენი ყოფილან, რომელთა შორის მუსიკა-ლური ნიჭით თეთონ ივანე გამოირჩეოდა. მან ხელი მიჰყო სიმღერის უფრო უკეთ შეს-წავლას.

— ჩემი მასწავლებელი სოფლის ქორწილები იყო, — მამბო მან, — ქ ხალხში, ხალხის წად-ლი გეცნობოდა სიმღერებს; სოფლის დღესას-წაულები, იქ თავმოყრილი მომღერლები, ციკვა-თამაში. ხალხური კითხვები, ოხუნობა, შაი-რები — აი ყოველივე ის, რაც მე ხალხმა გად-მომცა და რითაც ვაგებდ ბედნიერი.

ბეჭითად დაეწაფა იგი სიმღერების შესწავლას, უწვერულვაში ჰაბუჟმა თავიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, ცდილობდა კარგ მომღერლებს დაანოვებოდა და კარგად დაუ-ფლებოდა სიმღერებს.

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე სამეგრელოშიც, დიდი ქორწილები იმართებო-და. აქ თავს იყრიდნენ მომღერლები, რომელთა შორისაც იმართებოდა შეგობრება სიმღერაში. ამ შეგობრებაში უმეტეს შემთხვევაში ივანე ჩომანას გუნდს ეძლეოდა ხოლომე წარმატება. მას ძალიან უყვარდა ახალგაზრდების გაწაფვა.



რომელთა გამარჯვებაც მის მუშაობას ხალხს მატებდა.

გასული საუკუნის მიწურულში დასავლეთ საქართველოში საგუნდო საქმე ჯერ ისეც ფეხს იდგამდა: სულ ბევრი თხოთმეტიოდე კაცი აუ მოიყრიდა-ხოლმე თავს სამღერღლად, თორემ უფრო მრავალრიცხოვანი გუნდის შესახებ ზომ იღებდაც არ შეიძლებოდა.

პირველ ხანებში ვერც ივანე ჩიომახია ახერხებს გუნდის შექმნას. იგი ხან სამ, ხან ოთხ მომღერალს წვერთნის. ამგვარად ქმნის მეორე შემადგენლობის მხატვრულ ერთეულს და ასე თანდათან იშვადება გუნდის შესაქმნელად.

— ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, — მითხრა ერთხელ ი. ჩიომახია, — როცა წერაკოთხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილებამ დამავალა ჩემი პატარა ჯგუფით გამოვსულიყავი პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების ასე წლის შესრულების გამო გამართულ საღამოზე. აქ მიპოვებულმა წარმატებებმა მას ფრთები შეასხა. დიდი გუნდის შექმნა წყურბოდა. მაგრამ მენშევიკთა უნიათობა საამისო საშუალებებს არ აძლევდა... და აი, მაღე მასაც დულდა ბედნიერი დღე საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მასაც ვაგახსნა მუშაობისათვის ფართი ასპარეზი. ზუგდიდის რაიონულმა ხელმძღვანელმა ი. ჩიომახია მიიწვია რაიონულ გუნდში სამუშაოდ. მაშინ გუნდის ხელმძღვანელი გალაქტიონ ქელიძე ყოი: ი. ჩიომახის დაეკალა გუნდისათვის მეგრული ხალხური სიმღერების შესწავლა.

თხოთმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა ივანე ჩიომახია რაიონულ გუნდში; მეგრულ ხალხურ სიმღერებს ასწავლიდა, თანაც მღეროდა. გუნდითან ერთად მან მოიარა სამეგრელო, აფხაზეთი, აჭარა და ამ პერიოდში კიდევ უფრო გაამდიდრა ცოდნა.

ი. ჩიომახის წინათ მარტო სამეგრელოს ფარგლებში უხდებოდა მუშაობა. მან საქართველის სხვა კუთხის სიმღერები როდო იცოდა, მაგრამ მალე საშუალება მიეცა გაეცნო სხვა კუთხის სიმღერებიც თბილისში გამართული ოლიმპიადების სამუშაოებში, — ჩასწავლიოდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის ნაირსახეობას, მის მდიდარ ბუნებას და სიმღერათა აღნაგობის მრავალფეროვნებას.

1929 და 1934 წლებში გამართულ ოლიმპიადების შემდეგ ზუგდიდის გუნდი მალე მოსკოვს ეწვია. მის შემადგენლობაში 41 კაცი შედიოდა. აქაც ხელმძღვანელის მოადგილე ი. ჩიომახია დიდ გამოდილებას იძენს. ავითარებს თავის შეხედულებებს ქართულ მუსიკაზე.

ზუგდიდის გუნდში მუშაობის დროს ივანე შეთაკებთ სხვაგანაც მუშაობდა. რაიონული გავთვის 27 მომღერლისაგან შემდგარ გუნდს ისე კარგად შეასწავლა სიმღერები, რომ მალე ზუგდიდშიც გამართა დიდი საჯარო კონცერტი.

ივანე ჩიომახია თვითნასწავლი მუდურე იყო. როცა იგი როგორც სპეციალისტი მუდურე სოფ. კახათში სამუშაოდ ვაგზავნენ, არც აციედა, არც ახეხა, 1931 წელს სამაკიანი გუნდი ჩამოაყალიბა და სიმღერები ასწავლა. შემდეგ იმუშავა ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა გუნდში. სოფ. ჯუმის კოლმუდურეთა „კოხობის“ გუნდში.

ყველაზე ხანგრძლივი ამ მეტად ბეჭითი მუშაობა მაინც წალენჯიხის რაიონულ გუნდში ჩაეატარე, — ამბობდა ივანე. აქ სულ სხვაგა-

რად მიიძღეს. ხელი შემიწყეს, რომ ძალიან მჭიდროდ მეშუშავნა. მალე, 1937 წელს მე-4 რესპუბლიკური ოლიმპიადაზე გუნდმა წარმატება მოიპოვა. იქვე, თბილისშივე, მომდევნო წლის ოლიმპიადაზე წალენჯიხის გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა და სიკეთის და ძვირფასი სასუქებში მიიღო.

ამ დღევეწყარბა ხელოვანმა მრავალი გავხეიო და სარეცენზიო ამონაჭრები გადამიშალა. ვამაცნო თუ რა გულისხმიარდ მოვიედა მის ესოდენ საყოფიერ მუშაობას ქართული და რუსული პრესა.

ხოლო პრესაში მრავალმხრივ გაშუქებული იყო იგი. ჩიომახისა მუშაობა. მუსიკოსებსა და ჟურნალისტებს ძალიან საინტერესოდ ეჩვენებოდათ იგი. ჩიომახის რეპერტუარი, რომელიც ორიგინალობით დიდად გამოირჩეოდა სხვა გუნდების რეპერტუართან.

— შევეცადე გამოვეცნობნია მივიწყებული სიმღერები. — მითხრა ხელოვანმა, — და გამოიშლავა მთელი თავისი რეპერტუარი. შევექმენი სიმღერა ლენინზე, რუსთაველზე, — ვანაგრძო მან, — დიდ მსახიობზე აკავი ხორავაზე, შემოვტანე რეპერტუარში „ტანი შვენიერი გილუ“ (კოლორითული სიმღერა), „წუნდისთერი ეწურევი“, „ჩქამი ჰუკე ყოროვილი“ (ჩემი პატარა საეკრელო), მეგრული ფირნული (ცეკვაო, რომელიც სრულიად მივიწყეს სხვა გუნდებმა. ეს ცეკვა ორსართულიანია. მისი შესრულება ოდნავ რთულია მაგრამ მონდომება მანაც თავისას ვაიტანს, ქორეოგრაფია საკირო. ძველებური სიმღერაა „თასუა“. მეგრული მგზავრული, „ბურღა“, „გეცშვით ღვინი ხარათია“ და სხვა.

მერე ხელოვანი ჩაფიქრდა, დიდხანს ეძებდა ქალაქებში კიდევ სხვა სიმღერების სისს. და აი, ისიც მალე მოიებნა:

— ჰა, ჩემო ბატონო. ინებეთ: სიქოულ ბაჯა (ძ. ლოლონის რეპერტუარადან), ქაჭური, ცხენისნური, უჩა ზესქეი რაჯადანს (შავი შავში ლაპარაკობს), დიდო ნანა, ჩე, ჩე ღიღიღიჯევი (ღეღა, შვილი. თეთრი, თეთრი ბატები) მეგრული საყოფაცხოვრებო სიმღერაა.

აქ იგი. ჩიომახია კიდევ მრავალი სიმღერესო სიმღერა ვერ ვაიხსენა, რომელთა ძიება და სათანადოდ გამოქვეყნება მუსიკათმცოდნეთა საქმეა.

წალენჯიხის ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელობას ივანე ჩიომახია თავი გაანება მოხუცებულობის გამო. ამ გუნდის ხელმძღვანელობა დაეკარა ივანეს მოწაფეს სწავლულ აგრონომს ელ. სალას. გუნდმა საქართველოს მე-6 და მე-7 ოლიმპიადებში კიდევ ისახელა თავი რეპერტუარისა და შესრულების მხარე სალასს ხელმძღვანელობით.

იგი. ჩიომახია მოხუცებულობის ეამსაც ყველა დღესა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს თავის ცოდნას გადასცემდა, და გულითა და დიდი მონდომებით, ყველას ასწავლიდა სიმღერას. გარდაიცვალა ზუგდიდში და იქვე იქნა დაკრძალული.

გალაქტიონ ხელიძე
(1888—1943).

ხალხური გუნდების მოღვატარო რიგებში იგი საინტერესო ფიგურას წარმოადგენდა. პირველად მაშინ ვაეცანია, როდესაც მას ზუგდიდის მადლიერმა საზოგადოებამ მოღვაწეობის 25 წლის იუბილე ვაღაუბნა. მაშინ თბილისიდან ამ იუბილეს დაესწრო მწერალი, მსახიობი და დი-



დი დრამატურგი შალვა დადიანი, ძეგუ ლო-
ლუას სახელობის დასავლეთ საქართველოს
სახელმწიფო ენოგრაფიული გუნდის ხელმძღ-
ვანელი ჯ. პაჭკორია, ლობტბარი ლუდი ბაბაი-
და სხვ. ჩვენთან ერთად მაშინ იუბილეში მო-
წაწოდებდა მიილია. მ. მეტრეღლის ხელმძღვანე-
ლობით არსებულმა, ახლად ჩამოყალიბებულმა,
მეჩინებურთა ანსამბლმა.

თუ ვინმეზე იტყვიან ლობტბარდ დაიბადოთ,
ეს უმთავრესად ვალ. ქეღვიძე ითქვას. ისეთი
სადირაქორო მონაცემები ვაჩნდა, რომ ყოვე-
ლად უსმენდა დაბაიანსაც ეს ამბებზედა. წინას-
წარედ უნდა ვითხარა, რომ საქვიანურში მუსი-
კალური ცოდნა მას არ მიუღია, მაგრამ ძალიან
კარგად ვაქუთაისის სასულიერო სასწავლე-
ბელში პედაგოგსა და კომპოზიტორ კორნელი
მალრადიანსავე (1866-1936) მუსიკალური თეორი-
ისა და სოლოფეგის ძალიან მოკლედ, მაშინვე
შეძენდა ცოდნა, მაგრამ ამაზე უფრო დაწერი-
ლებით შემდეგ მოგახსენებთ. ახლა კი ნება მო-
მეცით გაავაცნოთ მისი ბიოგრაფია.

ყუთილი რაჭის შაბრის, ამჟამად ამბროლაუ-
რის რაიონის, სოფ. ბუგეულის მცხოვრების,
ამავე სოფლის ეკლესიის დიაკონის, სპირიდონ
ქეღვიძის ოჯახში დაიბადა. სპირიდონის ოჯახი
მეტად ღარიბი და უმეწაფლო იყო, თანაც
მოხალშვილიანი. უმერავსადაც ეს იყო მიზეზი,
რომ აკლავდნენ. ვერ მიაღებინეს კლასიკური
ცოდნა.

გალაქტიონი როცა შვიდი წლისა გამხდარა,
ბუგეულის ორკლასიან სასწავლებელში შეუყუ-
ანდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ქუთაისის
სასულიერო სასწავლებელში გადაუყვანია.

— მე და პრფ. აკაკი შანიძე (ა. შანიძე 1904
წლამდე სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სას-
წავლებელში) რამდენიმე წელს ერთად ვცხოვ-
რობდით, — წერს გალაქტიონი თავის ავტო-
ბიოგრაფიაში. — არქივლის ვორაზე, ახამას
სახლში. სასწავლებელი დაფუძნდა 1904 წელს.
მოხალშვილია რევოლუციის სუხსი და მეც
ეგებები მოძრაობაში.

1905 წელს გ. ქეღვიძის მონაწილეობა მიუღია
იმ დიდ მიტინგში, რომელიც ქუთაისის მაშინ-
დელ საკათედრო ტაძრის წინ გამართულა.
როგორც მომხრეობა. იგი წინა რაიგებში დაუ-
ყენებიათ. ამით იგი მსხვერპლი გამხდარა ქა-
ნდარმერისა, რომელსაც გ. ქეღვიძის სურათი
გადაუღია.

როცა რეაქცია მომძლავრდა, სხებთან ერ-
თად ქეღვიძეც დაუპატარებიათ, მაგრამ ახანა-
გების დახმარებით მას თავი დაუღწევია და
თბილისს გადასულა საცხოვრებლად. აქ იგი
ხან ერთ, ხან მეორე რაიგებში ნათესავთან
ცხოვრობდა და თან სასწავლებელში შესასე-
ლულად ემზადებოდა. მაგრამ ყველაზე უფრო
მაინც მუსიკისაკენ მიუწყობდა გული.

მუსიკალურ სასწავლებელში ის და ვასო
შარაშიძე (შემდგომი ოპერის მოძღვრელი. პა-
ნი) ერთად ვაძინებენ; ჩვენს გენოს კომპოზი-
ტორს ზაქარია ფალიაშვილს უთქვამს ქეღვიძი-
სათვის:

— კარგი ხმისა და სმენის პატრიონი ხარ,
სპირიტო იმეცადინო, ისწავლო, ხმას მოუარო,
რომ სამშობლოს გამოადგინო. მაგრამ მას ვერ
მოუხერხებია დიდხანს თბილისში გაჩერება და
მაღე ბაქოში გამგზავრებულა, სადაც იგი
ხშირად გამოდიოდა ქართველი საზოგადოების
წინაშე და თავის მომხმობლავი ხმით ატკობდა
მას.

— 1908-1909 წლებში ბაქოში ვიყავი
მითხრა მან, როცა თავის თავგადასავალს
ყუებოდა, — ვმონაწილეობდი რევოლუციურ
წრეებში. მინდოდა სამსახური შემოეზო. მაგრამ,
თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად შემთხვევით
დაშაბატმერის და ნათის მიწვეულ ბურჟუაზიასა
და მისი მცველების მოკლავი მონაწილეობის
მიღება დამწამეს და ბაიოლვის ციხეში თავი
ამომაყოფინა.

მაგრამ მას ხიფათისაგანაც თავი დაუღწე-
ვია და მაღე ქუთაისის დაბრუნებულა. აქ ცხო-
ბილი პედაგოგის, პლატონ წულუკიძის დახმა-
რებით გ. ქეღვიძეს გამოცდა ჩაუბარებია ვანსა-
ზიის ექვსი კლასის ფარგლებში და მასწავლებ-
ლობის უფლება მიუღია. ხოლო 1911 წელს იგი
დასწრებია ქუთაისში გამართულ სალოტბარო
კურსებს, რის შედეგადაც უფლება მიუღია
მუსიკის მასწავლებლად ემუშავა.

— მაღე იმდენი ვიცი, რომ მოგახერხე
რაქის სხედასხვა სოფლებში: ნიკორწმინდაში,
ზნაევში, ჩორაქში, ბუგეულში, სადმეღში,
უწერასა და სხვაგან გუნდების დაარსება და
ხშირად კონცერტების გამართვა; ხოლო ონის
საზოგადოების თხრებით 1912 წელს ქუთაისში
ჩემ მიერ ჩამოყალიბებული გუნდებით კონ-
ცერტო გაემათე, რამაც კარგი შთაბეჭდილება
დატოვა მსმენელთა შორის. — ჰყვებოდა იგი.

ამ წინა პერიოდში გაწეული საინტერესო
შინაარსანი მუშაობის შემდეგ, უკეი 1914
წელს, გ. ქეღვიძე ზუგდიდში გადადის სამე-
შაოდ. აქ მას იწვევენ სიმღერის მასწავლებლად
საქალაქო და ეპარქიალურ სასწავლებლებში.

უფრო გვიან ასწავლიდა ათწლიდებსა და
ვაინაზუბო.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი
უფრო მეტი ენერგიით განაგრძობს მოძრაო-
ბითა გუნდების ხელმძღვანელობას. ნარაზენში,
ლაიში, კორცელში, დარჩობას, ცაიში, ქა-
ნალიძეშიწმინდა (ინგლისის ქალაქის ფაბრიკა)
აყალიბებს მოძღვრალთა გუნდებს. რევილუ-
ციური ლობტბარი გახლდა ზუგდიდის საინჟინ-
დო გუნდისა, სადაც მრავალი ლობტბარი გა-
მითხარდა.

1927 წლიდან 1938 წლამდე გამართულ ხუთ-
საგე ოლიმპიადაში ზუგდიდის გუნდი ბრწყინ-
ვალედ შედეგს აწუწავდა. ზუსტი ინტონირება,
ხმათა ანსამბლური შეხამება და სწორი ნიუან-
სები ახასიათებდა ზუგდიდის რაიონულ გუნდს.
ხოლო რეპერტუარს გ. ქეღვიძე ისეთხარად
შეარჩევდა, რომ კარგად ამბოინებულყოფი.
იგი ამავე დროს თეოთმოქმედი კომპოზიტორიც
იყო. მის მიერ გუნდისათვის მუსიკალურად
დამუშავებული უფუ მიეჭა შესახებ ხალხში
შექმნილი სიმღერა „ვორაერაში, ვორაერაში“
მოწმობს, თუ რამდენად კარგად იცოდა საგუნ-
დო საქმე.

მოსკოვში გამართულ კონცერტების დროს,
მაშინ გუნდის შემადგენლობაში 41 კაცი შე-
დიოდა. მრავალი რეცენზია დაიწერა; გუნდმა
თავი ისახელა მხატვრული სისადავითა და
ხალხური სიმღერების სწორი შესრულებით,
ამიტომ იყო, რომ გუნდის კონცერტებს ვალა-
ცა რადიოთი და ჩაიწერა ფირფიტებზე.

რო თქმა უნდა, გუნდი ძალიან ხშირად თბი-
ლისშიცა გამოდიოდა, ხოლო არ გამოირბოდა
დასავლეთ საქართველოს არც ერთი კუთხე,
სადაც კონცერტი არ გაემართოს.

გ. ქეღვიძის მრავალი ხალხური სიმღერა აქვს
დამუშავებული, მრავალი ჩაწერილი, მრავალი

შეთხზული. იგი ოცდახუთმეტე წლის მანძილზე უწყვეტად მიემსახურა ხალხურ შემოქმედებას და პირადად მოიხდა თავისი ეალი ხალხის წინაშე, რომელიც დღესაც მოიწეობთ ახსენებს მის უკვდავ სახელს.

ირიდი კალანდია (1900-1952)

ზამხულის. ივლისის შუა რიცხვები, იროდი კალანდიას ხელმძღვანელობით არსებული ზუგდიდის რაიონული ანსამბლი უნდა გაემგზავროს რაიონის კოლმურენობებში კონცერტების კასმართავად.

ყველაფერი მზადაა, მანქანები ერთგულ ტანსაცმელში ღამაზე მორთული მომდერობით აივსო. მაგრამ ხელმძღვანელი? სადაა იგი? — რატომ მანქანაში არ ჯდება? ხელმძღვანელი უეცრად აჯად ზდება, ფეხზე ვერ დგას, გულთან მიიტანა ხელი... რაღაც აწუხებს, იგი თავის თანაშემწეს შოთა ბიგვასს ავალებს გუნდს უხელმძღვანელოს და კონცერტები ყველგან წარმატებით ჩატაროს. ი. კალანდია კი შინ უგარანბელ მდგომარეობაში მიიყვანეს და ვიდრე გუნდი ადგილზე მივიდოდა და კონცერტს გამართავდა, მისი ხელმძღვანელი უკვე გარდაცვლილი იყო.

ასე უეცრად გამოეცალა თავის საყვარელ საქმეს შეტად ნაყოფიერი მუშაი — ხელოვანი. ქ. ზუგდიდში ტაყვ კალანდიას ოჯახში ოპარადიბული იროდი თავიდანვე იჩენდა სიმღერისადმი მიღროკოლებას, ჯერ სკოლაში არც კი შეიყვანათ, რომ იგი უკვე მღეროდა. ცეკვაუდა და მსახიობებს ბაძადა.

როცა სოხუმის 9-წლოდში სწავლობდა, გაიციონა დ. ლოლუას ხელმძღვანელობით არსებულ გუნდს. ხოლო არდადეგების დროს, როცა იროდი ზუგდიდში წაიბოდა, იქ გ. ჰელიძეს გუნდის სიმღერებს ისმენდა. ამიტომ გასაგები იყო, თუ რატომ მოუძღვნა მან მთელი თავისი საქმიანობა ხელოვნებას.

— ცხარაწლოდს დამთარებებს შემდეგ ზუგდიდში დაიწყო სამსახური, — მოამბობდა იგი, — თან კოლუბის მსახიობად ემუშაობდი, ხოლო პარალელურად გ. ჰელიძისთან ემღეროდი. სიმღერის დაგრძელები მასწავლებლები იყვნენ გ. ჰელიძე, დ. ლოლუა, მ. კუხიანიძე და ბოლის პროფესორი გრონსკი. მოწაოთობისას სკოლის გონდში ემთაწილეობდი. 1921 წლიდან დავინიშნე ზუგდიდის სკოლებში მასწავლებლად. მომდევნო წელს გალს რესტუმრე და იარი წყოლილი სოფ. ჯუბურბინჯის სკოლის მასწავლებლად ვიყავი, თან კიდევ სოლის დამწერეს ეხელმძღვანელობდი. შემდეგ ბათუმში ვავიგზავრე და კვალიფიკაციის ამოკლების მიზნით ბათუმის მუსიკალურ-დრამატულ სტუდიამი მოვიწყე. იქვე შეითავსებთ ემღეროდი მელ. კუხიანიძისთან აჭარის სახელმწიფო კავალში. მატრიალურბა ხელმოკლეობამ ხელი შემიძლია პროფ. გრონსკისთან სწავლა განმეგრძო. სამი წლის შემდეგ ომბრის ცხარაწლოდში დაიწყო მუსიკის მასწავლებლობა. ამ ემესი წელი გავატარე სკოლაში ნაყოფიერი მუშაობითა და გუნდში-დრამატურგში მოღვაწეობით. მერე გალს რესტუმრე და აქ 1931 წლიდან რაიონული ეთნოგრაფიული გუნდის და ადგილობრივი სახალხო თეატრის ხელმძღვანელად ვიმუშავე. მაგრამ, მანვე ჩემი მშობლიური ზუგდიდი მიზნადღადა. ბედმავე გამოიბოდა; 1934-1938 წლებში ზუგდიდის თეატრის რეჟიტორად და კოლმურენობებში გუნდის ხელმძღვანელად დამნიშნეს. მაგრამ არ მომიშენინა და 1938 წლის აპრილიდან ფოთში, ქალაქის სახელმწიფო-ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელად მიმიწვიეს.“

სამატო იყო ეს მიწვევა. ი. კალანდიამ სავსებით გაამართლა ფოთელია მოლოდინი. ამ გუნდმა, სადაც ხელმძღვანელია მოადგულად ა. მარგალიტაძე, ჩონგურის მასწავლებელ-კედაგოვად მის. ხათასი (ამჟამად გუნდის ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) და ქორეოგრაფი ა. ჯიჯიშვილი იყო, თბილისში მესუფე რესპუბლიკური ოლიმპიადებზე წყვილად გამარჯვება მოიპოვა. გუნდის რეჟიტორადან გამთიარეოდა ძველი ხალხური სიმღერა „ბარბანია“, რომელსაც სხვა გუნდებში როდი ასრულებდნენ. „ჩონგური ჩემო“, „ჰიშინი სამშობლოს“, „ქიქე ტურა“. „აჭურა“, „ხეჩია“, სკვამი ცირა“ და მრავალი სხვა.

ხელოვნების სამმართველოს ბრძანებით 1941 წლიდან ი. კალანდია ქ. ზუგდიდის თეატრის დირექტორად ინიშნება, სადაც მან 1946 წლამდე დაჰყო და სავსებით გაამართლა მოლოდინი. მრავალ პიესა დაიდგა მისი ხელმძღვანელობითა და რეჟისორობით: გ. გუნიას „დაძმა“, შ. დადიანის „გვეგუკორი“, შ. სამსონიძის „სალტი“ და სხვ.

გ. ჰელიძის გარდაცვალების შემდეგ ზუგდიდის ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელად იქივი გვეგუკორი დაინიშნა, ხოლო უკანასკნელის სოხუმში გადასვლის შემდეგ ზუგდიდის ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელობა იროდი კალანდიას დაეკისრა. მან აქაც თავი დიდად გამოიჩინა. მე-6 და მე-7 ოლიმპიადებზე ზუგდიდის ეთნოგრაფიული გუნდი ბრწყინვალედ გამოვიდა. აქაც ჩანდა ირ. კალანდიას დახვეწილი გემოვნება და მის მიერ შექმნილი და გადაკეთებული სიმღერების ფართო ხმოვნება. გუნდი ასრულებდა მარაგებს ჰიტლერულ ბანდიტზე, „კომკავშირის“, სიმღერას გვირგვინზე ჩალიჩავასა და სხულებიანზე, ს. გვეგუკორზე, გ. ჰელიძეზე, „ქალ-ვაჟის“ მარაგებს და მრავალ სხვა საინტერესო სიმღერას.

ამიტომ დასანანი იყო მისი ესოდენ უეცარი გარდაცვალება.

ლექსიონარი შკრიხები

პრემია პარელიზილი

პარგად არ მახსოვს გალაკტიონის პირველად როლად შევხვდი. ისე კი ჩვენი ახლო ურთიერთობა 1930 წლიდან დაიწყო და სულ უფრო განვითარდა მას შემდეგ, როცა მასზე წერალები გამოვაქვეყნე „ლიტერატურულ გაზეთში“ (1933), „მნათობში“ (1936) და „ჩვენ იაობაში“ (1938).

იმ ხანებში ხშირად შევხვედრივარ მწერალ გიგლა მეტუქის ოჯახში. გიგლა ძნელაძის ქუჩის დასაწყისში ცხოვრობდა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა ფოსტა-ტელეგრაფის შენობას აგებენ, ერთ მყუდრო ეზოში. კარგი, თბილი ოჯახი ჰქონდა. ამ ოჯახში თავს იყრადნენ მწერლები. პატარა სალონივით გახლდათ. მოვიდოდნენ, მცირე პურმარილიც გაიშობებოდა და ლიტერატურას საკითხებზე ცხარე ბასი ზოგჯერ შუაღამემდე გავრტყდებოდა ხოლმე. გიგლას ძალიან კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა, აქ ნახავდით ძველი ქუჩა-გაზეთების კომპლექტებს, რევოლუციონერულ გამოცემულ წიგნებს. ესეც იზიდავდა მეგობრებს. წიგნს თუ ძველ გაზეთს შინ არ გავტყანდათ. თუ სთხოვდით, მაშინვე გეტყვოდათ— ყოფილხართ იოსებ გრიშაშვილის ბინაზე ხარფუხში, წაგკითხავთ მისი ბიბლიოთეკის შესავალში გამოცემული პოეტის ლექსად დაწერილი ერთადერთი სათხოვარი... რად გინდათ ჩვენი ურთიერთობას გაფუჭებოთ... ადგილობრივ კი როცა გინდოდათ და როდემღისაც გინდოდათ შეეკმლოთ თავისუფლად გესარგებლათ მისი ბიბლიოთეკის სიკეთით.

ოჯახში ძალიან გულგებანი დიასახლისი ტრიალებდა. ორი შვილის დედა სტუმრებისათვისაც იცლავდა, დღეში ორჯერაც რომ მისულებავდით, ისე მოგვეგებებოდათ, თითქოს დიდხინის შემდეგ პირველად გხვდებოდით, სახე მუდამ კეთილად უღიმოდა.

ამ ოჯახთან განსაკუთრებით დაახლოებული იყო გალაკტიონი. ეს მეგობრობა ქუთაისიდან იღებდა სათავეს, იმ დროიდან, როდესაც გალაკტიონი ახლად იყო გამოსული საწერლო სარბიელზე და ორივენი — გალაკტიონიცა და გიგლაც ერთ გაზეთში თანამშრომლობდნენ, პოეტი იმდენად პატივს სცემდა გიგლას გულწრფელობას, რომ თავისი ტიფილების მოზიარებლოდ მას თვლიდა. გალაკტიონს გიგლას ბავშვებიც უყვარდა, მათთან ვართობაში სულიერად

ისვენებდა და მარტოობის სევდას იკლავდა. ბავშვების საოჯახო ალბომში გალაკტიონის ასეთი ექსპრომტებს შეხვდებით:

ამ ლექსს პირველად ვუწერ ჩვენს უძვირფასეს, ვაჟას!,
მინდა მის ყოველ საქმეს
ყველა ეძახდეს ვაჟას!

არც მეორე ძმა დაუტოვებია პოეტს უყურადღებოდ:

ეხლა თხოულობს ამას,
ვეფხვივით იყავ თამაზ!
ცერ შეედრება ვერვინ
შენ კარგ დედას და მამას.

ერთ დღეს გიგლა შინ არ დახვედრია, პოეტი ბავშვებთან დამჯდარა და მათთან საუბარი გაუბამს, მერე იქვე მაგიდიდან ვაჟას ალბომი აუღია და შიგ ჩაწერილი პოეტების — გიორგი ქუჩიშვილის, ალიო შირცხულავას, დარია ახვლედიანის, ბონდო კეშელავას, ირაკლი აბაშიძის, ალექსი გომიაშვილისა და სხვათა ლექსები წაუკითხავს და მაშინვე ასეთი ექსპრომტი დაუტოვებია:

ამკვარად, ჩემო ვაჟო, დღე კარგია და
შხიანი,
შშენიერ ლექსით გარჩევს დარია
ახვლედიანი,
კვლავ ქუჩიშვილი ხმაურობს (მიყვარს)
მისი ხმა ფრთიანი),
ირაკლიც შენს მხარეზეა, გომიაშვილიც
მხრიანი,
ბონდო, ალიო, თვითონ მეც... და
ფრონტი ეს ერთიანი,
შეუბოვარი, ძვირფასი, ქშური, საყვარელ
ხშიანი,
გექაბის: გახდი ვაჟაკი, მაგარი

სულენბიანი.
გალაკტიონი არაერთხელ ჩვენს ოჯახშიც მოსულა გიგლა მეტუქესა და ალიო შირცხულავასთან ერთად. მოსწონდა მამაჩემის სიღარბის ისე და მასთან მასლაათში ისე გაერთობოდა ხოლმე რომ სუფრაზე მსხდომნი ვავიწყდებოდით. ერთხელ ყველა დაითრო, სუფთა კახური

¹ გიგლას უმცროსი ვაჟი, შემდეგ ქუჩალოსი-ტი, უღროდ ვარდაიცვალა. (მომყავს გ მეტუქის გამოუქვეყნებელი მოგონებანი).



მქონდა გურჯაანიდან ჩამოტანილი და „დეზხარ-
ბენი“. შუალაშე გადასული იყო, როცა ალოო
და გიგლა სუფრიდან ჩემად აღგნენ და გაიპარ-
ნენ. გალაკტიონის გული მოუვიდა:

— როგორ გაბედეს, ეს გიგლას ოინაა, ასე
იცის, წამომყვება, დაღვეს, გამომძვება, მერე
აღვება, გაიპარება და მე ღვთისანაბარად მიმა-
ტოვებს ხოლმე.

— როგორ გეკადრებათ, მიუგო მამაჩემმა,
ამაღამ არ გაგიშვებთ, ჩვენიან მოისვენეთ, დი-
ლით კვლავ წაეისახებით და... ხომ გაგიგო-
ნათ, დილის საუზნე ცოლის მზათებს სჯო-
ბიანო.

გალაკტიონმა არ ინება, თბილისში სხვაგან
დარჩენას არა ვარ ჩვეულო.

ყაზბეგის ქუჩიდან მელექიშვილის ქუჩაზე
გავიქცე, იქ ეტლი დავიჭირე და გალაკტიონი
სახლამდე მივაცილე. ეტლიდან რომ დაგმოვი-
და, შეჩერდა. იოლად არაფერი დაავიწყდებოდა,
შემომხედა და მითხრა:

— პარობას ხომ არ გადახვალ? შევთანხმდით,
გურჯაანში სალიტერატურო საღამო უნდა მო-
მიწყო (მამინ მე გურჯაანის საშუალო სკოლის
დირექტორი ვიყავი. ე. ქ.), კახეთში უყვართ
პოეზია და გალაკტიონი!

ჩემი თანხმობა კვლავ გავიმორე და ერთმა-
ნეთს დავემშვიდობეთ. იგი მივიდა სახლის შე-
სასვლელში, ცოტა ხანს შეჩერდა, ერთხანს
ყოყმანობდა, მერე მობრუნდა, აქეთ-იქით მი-
მოახედა, შენიშნა, რომ ეტლი ისევ გაჩერებუ-
ლი იყო და მის შინ შესვლას ველოდით, სწრა-
ფად შეტრიალდა და კბიებზე ყმაწვილივით აირ-
ბინა.

იმ წელს (1934) საღამოს მოწყობა ვერ მო-
ხერხდა. მეორე წელს გალაკტიონისაგან წერი-
ლა მივიღე, — შარბუში კონკრეტულ წასასვლელ-
ად ვემზადდები, იქიდან რომ დავბრუნდები,
აუცილებლად გეწვევით, — მწერდა.

1935 წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის შუა
რიცხვებში გიგლა მეტუქის ბარათი მივიღე. იგი
დწვევილებით მწერდა, რაც სურდა გალაკტი-
ონის. ბარათის მეორე გვერდზე თვითონ გალაკ-
ტიონის მიწვევა: „ჩამიყო ერგომა! გიგლას წე-
რილს მე აღარაფერს დავუმატებ. რაც მალე
მოეწყობა ეს საღამო, მით უკეთესი იქნება“.

შენი გალაკტიონი.

შევედრეჩა საღამოსათვის მზადდებს. ჩემი სკო-
ლის სასწავლებლებმა და ქალაქის ინტელიგენ-
ციამ დიდი ინტერესი გამოიჩინეს, ყოველნაი-
რად ცდილობდნენ საღამო დიდი პოეტის შე-
საფერისად ჩატარებულყო და იგი გურჯაანი-
დან კმაყოფილი წასულიყო.

შევადგინე აფიშის ფართო პრაგრაფი. სტამ-
ბის ძველმა მუშამ, ადრე თბილისში ნაშუშეგარ-

მა ალექსანდრე გიგოშვილმა, რომელიც გალაკტი-
ონის კარგად იცნობდა, აფიშა უსასყიდლოდ
ამიწყო, უსასყიდლოდ, არასამუშაო საათებში
დამიბეჭდა ახალგაზრდა მბეჭდვამაც, რომლის
გვარიც, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს.

სკოლაში ფართო კედლის გაზეთი გამოუე-
შეთი გალაკტიონ ტაბიძის სურათებით, მასწავ-
ლებელთა წერილებით და პოეტისადმი მიძ-
ღენილი მოსწავლეთა ლექსებით.

თბილისიდან მატარებელი დილით ჩამოდიო-
და. სადგურის ბაქანი ხალხით ვაჭედდა, აქ იყ-
ვნენ ქალაქის მუშა-მოსამსახურებები, მასწავ-
ლებლები, სკოლების უფროსი კლასის მოსწავ-
ლებები. ვაგონის კბიებზე გალაკტიონის ლამა-
ზი ფიგურა რომ გამოჩნდა, მქალაქმა ტაშმა
იგრაილა, თუთი ტანსაცმელში გამოწყობილი
თორბეტი გოგონა ცოცხალ ყვავილებს თიფუ-
ლებით ხალხს გამოეყო და მოგასწავს ვარს შე-
მოეხევი. ლამაზი სანახავი იყო ეს სურათი. გო-
სანი მთლიანად დაფარული იყო ყვავილებში,
მხოლოდ თავი და ხალხის მისასალმებლად მაღ-
ლა აწეული ხელი მოუჩანდა.

გალაკტიონს თან ჩამოჰყვინდ გიგლა მებუქე
და ბორის ჩხეიძე, იქვე შემოგვიერთდა ცნობი-
ლი პოეტი ლალო მკუჯვარიანი, რომელიც გურ-
ჯაანის მახლობელ სოფელში ლიტერატურის
მასწავლებლად მუშაობდა.

გალაკტიონი უზომოდ გახარებული იყო.

— ეს რა ხალხი ყოფილა აქ, პოეზია ჰყვა-
რებით, ძამიყო ერგომა, პოეზია, ილიასა და
აკაკის ქვეყანაში სხვანაირად არც შეიძლება, —
მეუბნება და თან ენერგიულად მოაბიჯებს.

ხალხმა ქალაქის მთავარი ქუჩის ბოლომდე მი-
გვაცილა, ზემო გურჯაანის გზას დინჯი ნაბიჯე-
ბითა და ბაასით გავყვეით. წითელბუნანი რომ
გავიარეთ და ხეისუბნისკენ დავუხვიეთ, გა-
ლაკტიონის ყურადღება მოსწავლეთა ყრიაშულ-
მა მიიბყრო. სამსწავლელბოდან ორასიოდე ნა-
ბიჯზე, გზის ორივე მხარეს ჩამწყობებულნი-
ყვნენ და შუაში მიმავლ საყვარულ მგოსანს
ფეხითთ ყვავილებს უფენდნენ. გალაკტიონი
უზომოდ გახარებულა იყო და არ იცოდა რა
ექნა, როგორ გამოეხატა მადლობა, ხან ერთ
ბავშვს მისწულებოდა, გულში ჩაიკრავდა, გა-
დაპკოცნიდა და ხან მეორეს. როგორც კი სა-
მასწავლებლობა შეედა, სული მოითქვა, ორი-
ვე ხელი თმებზე გადაიხევა, თმა გაისწორა და
მასწავლებლებს მიმართა:

— ეს რა მშვენიერი ბავშვები გყოლიათ, დი-
დებულთა, ღმერთმანი, დიდებულთა. ნუთუ ასე
ხედებით ყველა სტუმარს?

როცა აქეთ-იქიდან თითქმის ერთხმად მიამ-
ხეს— გალაკტიონი ერთაო, — კმაყოფილმა
გაიღიმა და უკმაყუდა.

— ჰო, მეგობრებო, გალაკტიონი თქვენია, ხალხისაა.

უცბად კედლის გაზუსტის შეავლო თვალი. მივიდა, გადათავლიერა, ზოგერთი ლექსი და წყნარი წაითხია, მერე მომიბრუნდა და მითხრა — ბრწყინვალე გაზეთი გამოვიშვით, გურჯაანის საშენობლო უნდა მარქოთ.

საღამომდე დღია დრო იყო დარჩენილი. ეთობე ჩემთან ბინაზე ცოტა შენაყებულყვენს, დაესვენათ.

— არა, ჯერ შენი სკოლა დამათვლიერებინე, მასწავლებლება გამაცანი. შენ რაც ჩაგიფიქრებია, იმისათვისაც დავცრნება დრო. — მითხრა და მკლავში ხელი მომიყვია, კარისაკენ გამწვია.

გურჯაანის სკოლას მაშინ ერთიანი შენობა არ ჰქონდა. სწორედ იმ წელს დაიწყეთ ახალი შენობის მშენებლობა, კლასები ყოფილ სეპარატორებსა და კერძო ბუნებში იყო გაფანტული. მიუხედავად დაღლილობისათვის ასეთი „მძიმე შრომა“ შეკეთავებოდა, ერთმანეთთან კარგა მანძილით დაშორებული სკოლასი ოთახები ჩამოშტატებოდა. მაგრამ რაკი თვითონ ინება, წინააღმდეგობა აღარ გავუწეე. სწავლა შეწყვეტილი იყო. მასწავლებლები მგონის ირგვლივ ტრიალებდნენ, მოსწავლეები კი ეზოებში გამოუენოლიყვნენ და თავისი მზიარული ერთმანეთი იქურობას აყრუებდნენ, ძვირფას სტუმარს ტაშითა და მისაღობების შექაზილებით ეგებებოდნენ.

ბოლოს იმ შენობისკენ გავეხეეთ, პირველი კლასელები რომ მეცადინებოდნენ. ეს იყო ერთსართულიანი მრავალთახიანი, გემოვნებით დაგეგმილი შენობა, — იმ ეპოქაში მოქმედებული და ათანაბარად გადაკეთებული.

— აი ესეც ანდრონიკაშვილების ყოფილი „სასახლე“ — ეუთხარი გალაკტიონს. — ნატო ვანჩაძის მამა-შაინსული. ჩვენი კონოვარსკვლავი აქ დაბადებულია და ბავშვობა აქ გაუტარებია.

— დიდებულია, — წამოიძახა გალაკტიონმა და შენობაში შევიდა დასათვალიერებლად. გამოსვლისას სახეზე უმეყოფილება შევამჩვიე, თვალეში მომაჩერდა, მაგრამ რაკი არაფერი ვკითხე, თვითონვე წამოიწყო:

— ეს ხომ ძეგლია, ასე უნდა მოვლას?! ერთ დროს აქ შეიძლება მუხუტუცი გაიხსნას, გურჯაანს ნატა ვანჩაძის სახელი საამაყოდ ეკოფა...

ხმა აღარავის ამოიღო, გვერდით სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მედგა, რომ შეეხედე, სახეზე ჭარხლისფერი დასდებოდა.

მე იქვე ახლო ვცხოვრობდი. შინ რომ მივედი, სუფრა უკვე გამლოლი დაგვხდა. გალაკტიონი გამხიარულდა, ბეჭტი იხუმრა, იოხუნჯა, რამდენიმე ლექსიც კი წარმოსთქვა. საქმელი

ისიაზონა, მაგრამ ღვინოს სულ არ არც თავის სტუმრებს მისცა უფლება დაელოთ. გიგლას ისტერიული სიცილი აუფარდა. გალაკტიონს გული მოუვიდა, მკაცრად უთხრა აიგანზე გასულიყო და როცა დამშვიდდებოდა, სუფრაზე მაშინ დაბრუნებულიყო...

სტუმრებს დასვენების საშუალება მივეცი.

საღამო დანიშნულ დროს დაიწყო. დღის ბოლოს ამინდი შეიცვალა, წვიმაც წამოვიდა. შევფიქრებდი, რკინიგზელთა კლუბი მოსახლეობას ცოტა დაშორებულია და იქნებ ხალხი არ მოსულიყო, მაგრამ სიყვარულს დაბრკოლებისა არ შინებია.

საღამო მე გავხსენი ვრცელი შესავალი სიტყვით, ვილაპარაკე გალაკტიონის შემოქმედებითი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებზე. გიგლა მეტუქემ ადრევე გამაფრთხილა, მოკლე მოხსენება მექვს მომზადებული და შენი სიტყვის იმედი მაქვსო. სიტყვებით გამოვიდნენ ბოროს ჩხეიძე, ლადო მაკევაძე, ილაპარაკეს მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა წაიკითხეს გალაკტიონისა და გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები. ჯერა პოეტზე რომ მიდგა, ხალხი წამოიშალა და ოცუცია გაუშარა.

გალაკტიონმა თავისი გამოსვლა სიტყვით დაიწყო. ილაპარაკა პარაზუმი მიღებულ შთაბეჭდილებაზე, შემდეგ შეეხო საბჭოთა მწერლობის მოქალაქეობრივ დანიშნულებას. ქართული პოეზია ოდითგანვე მშობლიური მიწის წვენი იყვებოდა, იგი განუყოფელია თავისი ხალხისაგან ქორშიც და ღვინოშიც.

გალაკტიონი ცოტა ხანს შეჩერდა, დაფიქრდა და ლექსების კითხვაზე გადავიდა. კითხულობდა თავისებურად, მომხიბვლელად, მისი ხმა შორიდან წამოსულ მთის ეხოს ჰგავდა. ასეთი გალაკტიონი ტრიბუნაზე მე იშვიათად მიხსნავს შემდეგაც... კითხულობდა ძველსა და ახალ ლექსებს, დამსწრნი განსაკუთრებით აღტაცებაში მოაყვანა კახეთისადმი მიძღვნილმა ლექსებმა. ტაშის ბოლო არ უჩანდა, გალაკტიონიც საიმოვნებით კითხულობდა, მაგრამ როცა დაიღალა, ბოლოს, აკაკის ლექსი წაიკითხა ისე, რომ ავტორი არ დაუსახელებია. ტაშის ახალ ტალღას სიცილი და მზიარულება მოჰყვა, ვილაცამ ხმამალა წაილაპარაკა — აკაკი შემოგვეპარათ.

რათიმსაკომის განათლების განყოფილების გამგემ, მშვენიერმა ინტელიგენტმა, მწერლობის უზომო მოყვარულმა ვასო ქუთინამ, რომელიც ამ დროს პრეზიდენტის მაგიდას უჯდა, ხელი ოდნავ ასწია და დამსწრეთ ანიშნა — გვეყოფათ.

საათს დახედე. თორმეტი სრულდებოდა.

— ახლა სად მივიდვარ? უნდა მომასვენო,

მეტრ არაფერი მინდა, თუ რამეს აპირებ, ხვალ იყოს, — გადამიჩურჩულა.

ჩემთან წავედით. იმ ღამეს მსუბუქი ვახშამი გვეჭონდა. ვასო ტყონია თამალობდა, ენამახვილობდა, გალაქტიონი ბუერის აცინა.

— სინდისს გევიცი, სინდისს, — უთხრა პოეტს სადღეგრძელოს დროს მსტოვანმა მასწავლებელმა ვლადიმერ ჯაფარიძემ, — საქართველოს რომელ კუთხეში არ ეყოფილვარ მასწავლებლად, რომელი მწერლის შეხვედრის მომსწრე არა ვარ, მაგრამ ასეთი შეხვედრა, ძვირფასო გალაქტიონ, თქვენ რომ აქ გაგიმართეს, იშვიათია. ეს ხომ ჩვენი სათაყვანებელი აკაკის რაქაში მოგზაურობას გვაგონებს. ხალხმა იცის ვის უნდა აუხსნას საყვარული! (ეს სიტყვები ენაიამოვნა, მაგრამ უხერხულად შეიმშუშნა, კერაფერი უთხრა). შემდეგ ქართული ენის მასწავლებელმა ალექსანდრე (საშა) ქავთარაძემ ისე მშვენივრად ახსნა ლექსის „პოეზია — უბირველეს ყოვლისა“ — ფილოსოფიური იდეა, რომ გალაქტიონი ლიტერატურაში მოვიდა, წამოვიდა, მივიდა მასთან და გადააკოცინა.

ყველას აეშალა სიტყვის საღერდელი, მაგრამ დრო აღარ იყო, სტუმრებს მოსვენება სურდათ. ოთხივე ჩემს ოთახში მოვათავსე, თვითონ ის ღამე მათემატიკის მასწავლებლებთან — ვანო ბედიამელითან და შალვა ბახტაძესთან გავატარე. მეორე დღეს დღის 11 საათზე უკვე სტუმრებთან ვიყავი. გალაქტიონი ამდგარიყო და ყველას აღიძებდა:

— გეყოფათ ძილა, გურჯაანში განა ძილისათვის ჩამოვედით, შეხედეთ რა ოქროს ამინდია, შეხედეთ მზეს, დასტებით ბუნების მშვენიერებით. თვალი რომ მოჰკრა ჩემს გასაგონად სიცილით დაუმატა — იქნებ ამას სხვა რამ სიკეთეც მოჰყვესო.

— ყველაფერი მზად არის, შორს წასვლა არ დაგვეირღება, გალაქტიონ. — მიუღვე მე.

— ვიხუმრე, ეგ ვიცი, ჩემო ძამიკო, ახა სად უნდა წავიდეთ, აქ ძალიან კარგად ვართ, წუხელის სუფრას მგონი ვერაფერი დავეკლით. — შემიქო მოკრძალებული პურმარილი.

ვიდრე სტუმრები აღგებოდნენ, პირს ბანდნენ და „საგარეოდ“ მოეწყობოდნენ, ფართო აივანზე სუფრა უკვე გაშლილი იყო. მასწავლებლებს — ზურაბ ზვირიაშვილსა და ოსტატს იმერლიშვილს საკუთარი თავნაკარი ღვინო მოეტანათ, ქალებს — მარგო და სანა ცისკარიშვილებს, თამარ და სონა გორხელაშვილებს და სხვებს მაგიდა ხილითა და ახალი-ჩურჩხელეებით დაემშვენიებინათ. სუფრის მთავარი დიასახლისი ჩემი სახლისპატრონი იყო — მარიამ ცისკარიშვილი, ადრე დაქვრივებული, ოთხი ქალიშვილის დედა, შრომისმოყვარე და პატრონობით სავსე. სოფელში ყველა მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა, სტუმრები რომ მიწვეოდნენ, ჩემზე მეტად მას უხაროდა. გამჭირაბა და გამოკლილი ქალი იყო, იცოდა ვისთვის როგორი პატივი უნდა ეცა.

ყველას ყურადღებას იქცევდა სკოლის დარაჯი ნინო თარაშვილი. იგი უკვე ხანში შესული იყო, მაგრამ იშვიათი ენერჯია და კეთილი გული ჰქონდა, სულ იმას ცდილობდა რითიმე ენაამოვნებინეთ. ახლაც თავს დაგვტრიალებდა, გალაქტიონს წუთით არ შორდებოდა, ოქროს სტუმარს ეძახდა. — აი, ქალი დავბერდი და ასეთი სტუმარი გურჯაანში არ მიწახვას, — მითხრა, — წუხელის ჩემი გოგონა მის ლექსებს მთელი დამე მიკითხავდაო.

ამგერად თამალობა არავის დაუთმე. გალაქტიონი თავის სტიქიაში შევიდა, მთელი გულით მიხარულობდა, სვამდა, მოსწრებულ სადღეგრძელოებს წარმოსატყვამდა, ლექსებს ამბობდა, მღეროდა. სვამდა და არა თერებოდა. ეს ყველას აკვირებდა. სუფრის წვერები მიდიმოდიოდნენ, ახლები გვემატებოდნენ, ის კი მუხასაცით იჯდა და ადგილს არ იცვლიდა. დღის 12 საათზე დამსხდარნი ღამის 11 საათზე ავიშალენია. სტუმრები სადგურამდე ეტლებით მივაცილეთ, რბილი ვაგონის კუბეში მოვათავსეთ და გამიკვირებდით.

გურჯაანში გატარებულ ორ დღეს გალაქტიონი მუდამ კმაყოფილებით იგონებდა.

პოლიკარე (პოკო) მერღულია

ბარდაცვალებულ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე პოლიკარე (პოკო) მერღულია. ახლა, როცა პ. მურღულია ჩვენს შორის აღარ არის და თვალს ვაკლებთ მის მიერ განვლულ ცხოვრების გზას, ვაჩამებთ ამ ჩინებული პირისთვისა და მოკლადის ცხოვრებას, ვხედავთ, თუ რაოდენ დიდი ღვაწლი დასდო მან ქართულ თეატრალურ ხელოვნებას, რადგან თეატრალური ხელოვნება არ არის მხოლოდ ბრწყინვალედ დადგმული სპექტაკლები, აქვე ბრწყინვალედ განსახიერებული როლები. თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი როლს თამაშობს აგრეთვე გონივრული ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, მუშაობის ისე წარმართვა, რომ გამოჩნდეს შემოქმედებითი შრომის მაღალი. პ. მურღულია კი ერთი იმათგანი იყო, ვისაც კარგად ესმოდა ეს. ვლ. ნემბროვიჩი-დანჩენკო წერდა „თეატრისათვის საჭიროა ადმინისტრატორი ისევე საჭიროა, როგორც მხახიობი“.

ქუთაისის თეატრალურმა ტრადიციებმა გააღვივებს პ. მურღულიას სულში თეატრისაკენ ღტოლვა. მისი სიყვარული და 1919 წელს 19 წლის ქაბუჯი ქუთაისის თეატრში იწყებს მსახიობობას.

1921 წელს პ. მურღულია თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შედის, მაგრამ თეატრისაკენ ღტოლვა იმდენად ძლიერი იყო, რომ თეატრალური სტუდიის წევრად ხდებოდა. სტუდიის დამთავრების შემდეგ იგი რუსთაველას თეატრშია. პ. მურღულია ერთი იმ მსახიობთაგანი იყო კ. მარჭანიშვილს რომ ვაპყვია ქუთაისში და ახალი ქართული თეატრის შექმნას რომ ჩაუყარეს საფუძველი. სწორედ აქ იწყებს პ. მურღულია ადმინისტრაციულ მუშაობას, კ. მარჭანიშვილმა განსჯერბა პ. მურღულიას უნარი და მას უყუყმანოდ დაავალა თავისი თეატრის პირველი გასტროლების ორგანიზება მოსკოვში. პოკო მურღულია ხელმძღვანელობდა აგრეთვე თეატრის გასტროლებს ხარკოვში. ამ დროს კარგად გამოჩნდა მისი ენერგიულობა და ორგანიზატორული ნიჭი.

1932 წლიდან პ. მურღულია სახელობრეწეში მუშაობს. იმ წლებში გადაღებულ ქართულ ფილმებში მან შექმნა ბევრი ჩინებული სახე, განსაკუთრებით საინტერესოა პ. მურღულიას მონაწილეობა უკრაინულ ფილმებში „პრომეთე“

და „ზაპოროჟიელი დუნაის მიღმა“. ეს უკანასკნელი ფილმი უკრაინული კინოხელოვნების საეტაპო ნაწარმოებად იქცა.

1937 წელს პ. მურღულია რუსთაველის თეატრში ბრუნდება. მან გაიარა ყველა ეტაპი თეატრის ადმინისტრატორიდან დირექტორამდე.

პ. მურღულია რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობდა იმ წლებში, როცა ამ თეატრში მოღვაწეობდნენ ქართული საბჭოთა თეატრის ბრწყინვალე წარმომადგენლები, ადამიანები რომელთაც ერთიორად აამაღლეს საბჭოთა ხელოვნების ავტორიტეტი. ამ წლებში თეატრისა შეიქმნა ბევრი ისეთი სპექტაკლი, რომელსაც ქართული თეატრის ისტორია გვერდს ვერ აუქცევს. ამ საქმეში კი დიდი იყო პ. მურღულიას წვლილი.

1940 წლიდან პ. მურღულია კომუნისტური პარტიის წევრია. წლების განმავლობაში იგი იყო სახელმწიფო ცირკის დირექტორი, საკმაო ხანს დირექტორობდა გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრს. 1951 წელს ხელმძღვანელობდა ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, რომელმაც ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს მრავალ მათურებელს გააცნო ქართული სიმღერისა და ცეკვის ლაზარეთი. ხელმძღვანელობდა თბილისის 1500 წლის დღესასწაულთან დაკავშირებით შექმნილ შემოქმედებით ღონისძიებათა შტაბს.

დიდი სამამულო ომის წლებში იგი ორგანიზაციას უკეთებდა საფრანკო ბრიგადებს, აგროვებდა თანხებს თავდაცვის ფონდში შესატანად, ზრუნავდა საქართველოში ევაკუირებულ საბჭოთა თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლებზე.

პ. მურღულიას მიღებული აქვს მთავრობის ჭილღოები — ორდენები და მედლები. იგი არაერთგზის იყო არჩეული ქ. თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად.

ყველა, ვისაც კი უმუშავნია ამ კეთილშობილ ადამიანთან, იცნობდა მას როგორც ენერგიულსა და საქმისათვის თავდადებულ ადამიანს. მისი სახელი მკიდროდ დაუკავშირდა ქართული თეატრის გარკვეულ პერიოდს, თეატრს ეუფლენოდა მისი ცხოვრების თითქმის ყოველი დღე. ამიტომაც მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება.

საპარტიველუს სსრ კულტურის სამინისტრო, საპარტიველუს მთავრობის საზოგადოება, პ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო ღრამატული თეატრი.

ნაგო გაბუნია-საგარლის ნაჩილაბი

იან ჰაგზინაძე

მართული თეატრის ისტორიას ამშვენებს გამოჩენილი მსახიობის ნატო გაბუნია-ცაგარლის სახელი, რომელმაც „შარაგანდელი შუპიატა ხელოვნების მძლეომძლეობას და ქართველ მსახიობ ქალს მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვა“. ნატო გაბუნის სხვებთან ერთად უხდებოდა თეატრალური ხელოვნების საშუალებით თავისი წვლილი შეეტანა ხალხის კულტურის ამაღლებიასა და გათვითცნობიერების საქმეში. ქართველ მსახიობებთან ერთად ყველგან ნახავდით მას, მუშათა აუდიტორიებშიც და საქართველოს დაბა-სოფლებშიც, სადაც მართავდა წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნით სტუდენტთა დასახმარებლად, გლეხებისათვის, სოფლების კეთილმოსაწყობად. ამიტომაც ასე დიდი იყო მისი პოპულარობა ფართო მასებში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სათეატრო მეხუეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია შესანიშნავი ქართველი მსახიობი ქალის ნატო გაბუნია-ცაგარლის პირადი წერილები. ეს წერილები იძლევა საინტერესო მასალას რევოლუციამდელი ქართული თეატრის ისტორიისათვის.

7 მარტი, 98 წელი. კალაღიდი.

საყვარელო დანო მამო!

უნდა ვახარო, რომ ასიგომ² დღეს გაათავა პეისა საცუთრივ შენთვის, სახელად ქვიან ამ პეისას „ფენიზას ხაფანგები“. ამ პეისაში სა-ვინას⁴ უთამაშინა და მადმანულ ღუესს „ფრანგულად“. მე ამაში არაფერთა როლი არა მაქვს. მე დარწმუნებული ვარ, შენ არც ერთი როლი არა ვაქვს ამისთანა სერიოზულ კომედიებში, როგორც ამ პეისაში. ასიგო, იცოდე, შენგან სა-ჩუქარს მოგლის ამ პეისაში. ხომ იცი, დაჩვეუ-ლიც არის და (იხმეც ღმერთი უშეგლის ჩვენს მოთამაშებებს). აი, მამო, რა მინდა: შენ მისწერე შესხივებს⁵ წერილი ქუთაისში, რომ „მე და გაბუნია — ცაგარელი ჩამოვალთ ქუთაისში, სა-

დაც ორს ობოლს⁶ ვითამაშებთ იმ პირობით, რომ ნახევარი ჩვენ, ნახევარი თქვენ. ვოდევალიც შეიძლება რამე თქო“. ეს იცოდე მამო, არა ნაკ-ლებ 150 მანეთამდე დავეჩრება, თავად მეტი. იმოდენა ხალხი მეხვეწება, ოღონდ ეგ პეისა ითამაშეთ და ბილეთები ჩვენ დავყიდითო. ხომ იცი, მთელი სეზონი ხალხი უკმაყოფილოდ გვეყვანდა მე და შენ. იცოდე, ძალიან ხალხი გვე-ყოლებდა. ჯერ სენაკიდან ოთხი ლოცა უნდათ. ამის პასუხი მაღე მომწერე. აბაშიძეც (ვასო) თუ გინდა წამოვიყვანოთ. მესხივეიც ითამა-შებს პეირს⁷. დიდი ზბორი გვექნება, დარწმუნ-დი. აბა, ჩქარა დაამურე. დღეს ივანეიქა⁸ წერი-ლი მივიღე, რომელიც „გულჯავარს“⁹ თხოუ-

¹ საქართველოს სსრ სახ. სათეატრო მეხუე-უმი. ფონდი I. საქმე 10 ხ-19033.

² აქს. ცაგარელი.

³ ს. გერსამიას არქივში მივაგენით ცნობას, რომ „ფენიზას ხაფანგები“ (თარგმანი აქს. ცა-გარელის მიერ 1898 წ.) ეკუთვნის ლოპე დე ვეგას და რუსულად პეისას ეწოდებოდა «Сети Фенизы».

⁴ იხ. Ежегодник Императ. театров, сезон 1899—1900 г.г. стр. 123. прилож. 1.

⁵ ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

⁶ ა. დენერის და კობრონის მელოდრამა „ორი ობოლი“, თარგმნილი აქს. ცაგარლის მიერ, პირველად თბილისში დაიდგა ქართული დრა-მატული საზოგადოების დასამ მიერ 1883 წლის 17 ნოემბერს. უფრო მოგვიანებით, 1898 წლის 7 ივნისს ქ. ქუთაისში ნ. გაბუნის, მ. საფარო-ვას და ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით სა-ქველმოქმედო მიზნით.

⁷ „ორი ობოლის“ მოქმედი პირი.

⁸ იოსებ (სოსო) ივანიძე (1874—1919), მსა-ხიობი, რეჟისორი, დრამატურგი, მთარგმნელი.

⁹ ა. ცაგარლის პეისა „ლუკის ქალი გულჯავე-რა“ ქუთაისში დაიდგა 1899 წლის 21 ოქტომ-ბერს. როლებს ასრულებდნენ ლ. მესხიშვილი (ლევანი) და ნ. ჩხეიძე (გულჯავარი).



ლობს, მწერს, დამეხმარეთ მალე. მიმავშველეთ თქვენთვის ქმრის პიესა გულჯავარ, მანამ მესხივეგი მართლა იქ არის. შენც მალე მისწერე, მანამ მართლა იქ არის, თორემ შეიძლება მალე წამოვიდეს. იქილამ იცოდე, აქ უნდა წამოხვიდე. სააღდგომოდ ჩემთან იყავი, ნუცაც წამოიყვანე. ფოთშიაც გამოცავხით ერთი რამ¹⁰ და ჩვენი საქმე თუ ბეგრად არა, პატარა მალამოდ მაინც წაეცხობა რამ. მაკო, უფოოდ აქ მოდი სააღდგომოდ. წერილს მოველი ჩქარა. მესხივეს ჩქარა მისწერე. მე ამ ორს დღეში ქუთაისში წავალ, მეც მოველპარაკები. ასეკომ მოგიკითხა.

ნუ გეშინიან, მაკოვან, გატყდო, რომ „ძველი მტერი სჯობიან ახალს მეგობარს“. მე და შენ ხომ ვეშართლებთ ერთი ერთმანეთ შორის ამ დაბოურ ძველს ანდაზას...

შენი ნატო გაცოცებ. წერილი მომწერე, ქუთაისში წავიდე თუ არა. იცოდე, შემოსავლიდამ შენ მეტს ვარგუნებ, ვიდრე მე.¹¹

ძმირფასლო ძამიო ვასლი¹¹

კლდიაშვილის ერთობქმედებანი კომედია, რომელიც შენს¹² საბენეფისოდ დაუწერია, ოთხსაბაის წაეკითხეთ გოთჟსთან (ცენზორთან). ძალიან კარგი რამ არის, რასაკვირველია, უპირველესი როლი შენია დარისპანისა, სახელოათც ისა ჰქვიან „დარისპანის გაჭირება“. ახლა, აი რასა გთხოვ, თუ შესაძლებელი იყოს, ჩემს ბენეფისში მინდა ვითამაშო. რასაკვირველია, შენ უნდა ითამაშო დარისპანი. მგონი ჩვენ ერთმანეთს არას დაუშვლით. უფრო კარგია შენთვისაც და ჩემთვისაც, რადგანაც ავტორმა თითონ მიიხრა ბათუმში, „შენიავს და

¹⁰ სადარადლოა, წერილში ფაბრიკა იმ წარმოდგენის შესახებ, რომელიც ლათინი ვაი-მართა 1898 წლის 4 ოქტომბერს. წარმოდგენილ იქნა ფედოროვას თორ. 1 მოქ. „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“ (თარგმ. ა. ჯიჭინაძის) და რ. ერისთავის გადმოკეთებული ვოდევილი „ბიძიასთან ვაიმხებურება“.

¹¹ ნ. გაბუნია-ცავარელის წერილი ვასო ბალანჩივაძისადმი (1904 წელი) საქართველოს სსრ სსხ. სათეატრო მუზეუმი. ფონდი 1, საქმე 24, ბ-3841.

¹² 1901 წლის 4 ნოემბერს ქ. ქუთაისში დაიდვა დ. კლდიაშვილის პიესა „ირინის ბედნიერება“. ფილაზე ბარბაქაძის როლს გ. ბალანჩივაძე ასრულებდა, მან ფილაზე ბარბაქაძის „ქლასი-ყური სახე“ შექმნა. მსახიობის თამაშით აღფრთოვანებულმა დრამატურგმა სპეციალურად მისთვის დაწერა „დარისპანის ვასპირი“, მაგრამ ცნობილია, რომ ეს პიესა თავის საბენეფისოდ დადგა ვალ. შალოვაშვილმა და თვით შესაძლოა დარისპანის როლი. ისე რომ, ვასო ბალანჩივაძის შემოქმედებთ ბიოგრაფიაში დარისპანის როლი არ შეესაღო. დაწერილებით იხილეთ — გ. კიქნაძე „პირველი ქართული ტრადიციონალიზმი“ (ყურხალი „საბჭოთა ხელოვნება“, № 3. 1971 წელი, გვ. 22).

ბალანჩივაძისთვის დაწერე“. მე, რასაკვირველია, ვიცი სუსტი ვიქნები, რადგანაც კალო მბოლალტებს, მაგრამ მე მინდა შენ დაეცეყოფილო ჩემი სტუმრები, რადგანაც დაწმუნებული ვარ, მთელი საღამო შენი იქნება და არა ჩემი. ძალიან კარგი როლი გაქვს. კლდიაშვილიც იმ დამეს იქ იყო. მე ვთხოვარ ვასოს წერილს მივწერ მეუბი. პიესა ჩემთან არის, გენდელისიც 3 თებურვალს არის დანიშნული. ბავადიწერო როლი, თუ პიესა გამოგვავანო. ჩქარა მოიწერე. ვასო, სრული იმედი გაქვს, არ მოლატებ. პატივისცემა შენს ქალბატონს. შენი და და ამხანაგი ნ. გაბუნია-ცავარელი. 24 იანვარი. ჩემი ადრესი: ავქალის ქუჩა № 4¹³.

ძმირფასლო ძამიო ვასლი¹³

შენი წერილები მეც და ვასომაც (აბაშიძე) მივიღეთ. ჩვენ აქედამ წამოვალთ ცხრას საღამოს. ათს დღლით მანდ ვიქნებით მეც და ვასოც. ლალატს თამაშობენ აქ¹⁴, მაგრამ ვასომ დღეს უნარი გამოუტახდა.

მოგიკითხამთ ერთმანეთს. მარადის შენის პატივისცემელი ნ. გაბუნია-ცავარელი.

30 ქრისტიშობისთვე.

ძმირფასლო ძამიო ნიკო¹⁵

შაფათს ამ თვეს 12 წარმოდგენას ვეშართავთ, იმედი მაქვს და გვაქვს ჩვენ ყველას, რომ უნდა მოხვიდე უსათუოთ. ვითამაშებთ „გაცრუებულ მივდს“ (ნ. ახიანის), ხომ იცი, რაც უნდა ითამაშო. აქ რეპერტუციებს ხვალდამ შეედეგებით. შემოსავალი წარმოდგენისა ორად უნდა გაიყოს, ერთი წლით მოეცემა სოლიამვილს, რომელიც გიკნობს, მეორე წალი მე მომეცემა. იმედი მაქვს შენს სიტყვას არ გადავალ და მომეხმარები. შაფათს დიღოს შოეზით გელით, რომ რეპერტოცია იქნება ორჯელ მოვახერხოთ შენის დაწერებით. მოველით ამ წერილის პასუხს მოუთმენლად. შენ შაფათს დღეს მოსცდები მუშობას, მაგრამ არა უშავს რა, გაესწორებოთ. ბეგრავო დაგვარავს და ეხლაც მე ვიყო პირადელ მიზნო, არა უშავს რა... შეპირი ხილბრბეგოვი (სტუდენტია) გიხოსთ ვულით. სტუდენტები არიან აქ ამ წარმოდგენის მოთავედ და ყველანი გთხოვენ და დაიმედებულეზაც არიან. ბილეთები დღეიდამ უტევე იყიდება. დილი ზბორი მოგველის, გენაცვა ნიკო. აბაშიძეს-

¹³ ნატო გაბუნია-ცავარლის წერილი ვასო ბალანჩივაძისადმი. 1908 წლის 30 დეკემბერი. საქართველოს სსრ სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი. ფონდი 1, საქმე 24, ბ-3826.

¹⁴ თბილისში ქართული დრამატული დასის მიერ 1909 წლის 10 იანვარს დაიდგა ა. სუმბათაშვილის დრამა „ლალატი“.

¹⁵ ნატო გაბუნია-ცავარლის წერილი ნიკო გოციონისადმი სურამიდან. საქართველოს სსრ სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი. ფონდი 1, საქმე 131, ბ-11024.



თან ვასო) საქმის დაქერას ამცდინე და მომე-
შველე. მეორე დღეს კვირას ერთად წამოვიდეთ
თბილისში ჩემი თამარებით. 16 თელავში მე-
ლიან. ადრესი — ილია ხიდირბეგოვის სახლში
სურამში მომწერე წერილი. რალას გეხვეწოთ,
მეც და ეს სტუდენტებიც მოუთმენლად მოვე-
ლოთ შენს პასუხს. რალა პასუხს, უნდა მოხვი-
დე, ბილეთები იყიდება.

შენის მარადის და და მეგობარი სულთ ნა-
ტო გაბუნია-ცაგარელი...

ნ თიბათე. სურამი.

გრობი წამოიდე, არ დაგავიწყდეს. ჩემთვის
თეთრი წასასმელი გამოართვი ვართანოვს, და-
ნარჩენს შენი გრძობიდან ვიხმარებ.

მე არა წამომოდილა რა, აბა, არა ვიცოდე“.

ლაპირების ტალკვესო ძამიხი ნიკო¹⁶

აბა შენა თავი გვირდებდა საციციანოში (ქა-
რელი). ორი წარმოდგენა გეინდა „ხანუმა“¹⁷ ზე-
დობზე. აბანო და შკოლა არის საგანი ჩემნი
ვარჯისა. თუ წამოხვალ (ჯანი კი არ ვაგვირდებ-
და), მოაწერე საჩქაროდ. ათისთვის ვაპირებთ
წარმოდგენას. მანდღვამ ხანუმას ტანისამოსს
წამომოდი, ჩემს რძალს გამოართმე. პასუხს
წელი შეგან. აქ ბევრნი არიან შენი ნაცნობები.
ანო მოგეკითხა და სონამ. ყველანი აქ დაგზე-
დებით. სალაში ყველას. შენი გულით მეგობარ-
ი ნ. გაბუნია-ცაგარელი. სტანცია ქარელი. ნა-
ჩალნიკის სახელზე“.

ნიკოჯან¹⁸

მე ეკვი არანდროს არა მქონია, რომ შენ
ზრდილობას მოყლებული იყვი და კიდევ და-
ამტკიე შენი წერილით, მაგრამ უნდა მოუცა-
დო მეორედ ჩვენს ცნობას, თუ როდის გვექნე-
ბა ნაშდვალად. რომელ დღეს წარმოდგენა¹⁹.
ჩემი რძალი საცა მე ვიღებე, იმ სახლში დგას,
მხოლოდ მეორე საართულში. ტელეგრაფით შე-
გატყობინებთ. მოგეკითხეს ყველა მადლობით.
მიუჩა²⁰ ვერ გე-შოვია.

შენი დააა ნატო გაბუნია“.

მკირფასო ძამიხი ნიკო²¹

მოვიდა ჩემნი აღსასრულის დღე და მოველ-
პარასკევს სადამოს პოვზდით აქ, ზემო ხედლე-
რეთში, სადაც ეხლა მე ვარ სტუმრად ჩემს
დისწულ სონასთან (ციციანელისაა²²), რომელ-
საც შენც იცნობ. აქ ვქნებით, სტანციადამ სა-
მი ვეინ არის, მეორე დღეს წვეალთ ქარელში,
სადაც წარმოდგენას მართავდნ²³. ჩვენ მხოლოდ
ერთხელ ვითამაშებთ, რადგანაც სოფელში სცე-
ნა ვერ მოახერხეს, და თუ შენ დასთანხმდები
(მე კი თანახმა ვარ), კვირას კალსულად გამოარ-
თით წარმოიდგენა გულხეცკეებისათვის. შენ უნ-
და მიხვიდე გენიას სახლი რომ იყო. ახლა ცა-
გარელის არის, მატინოვის ქუჩა № 9, ცაგარე-
ლისას, უთხრა ჩემს რძალს ცაგარელის ცოლის
ხანუმას ტანისამოსი გამოატანოს, რომელიც
მამაცაშვილისას არის, გასაღები დვორნიკის
აქვს, ტანისამოსი ზევიდამ აწვივა და თუ პარი-
კი ვერ იპოვონ, მაშინ გენაცვალე ნიკო, უსიკე-
დილით შენ უნდა გამოართვი პარიკმხურს და
წამოიღო უსათუოდ, იცოდე უფრო წითელი
იყოს პარიკი. იცოდე, დიდი ხალხი იქნება.
მოაწერე საჩქაროთ, მოხვებ პარასკევს თუ
ვერა? სტანციაზე დაგვხვდებიან. ნიკოჯან, ანოც
მოგელოს და მასთან ბევრნი სხვანიც. ათი იუზ-
ბაშოვის ბულკა წამოიღე. იცოდე 60 კაპ. მიი-
ლებ. სხვა რალა მოგწერო. მოგელოთ სულთ და
გელოთ. თუ პარასკევს ვერ მოხვალ, შაფთას
დილის ბოუხდათ ხომ უსიკედილით მოგელოთ.
აქ ნათქვამი მაქვს, ტანისამოსის ქირა უნდა
მოგცენ. ბილეთისაც, რასაც დაუმატებ მეორე
კლასისას. გრძობითოვია წამოიღე უსიკედილით.
იცოდე არც გრობი და არც პარიკმხური არ
იქნება. შემოსავალი გულხეცკეებისთვის არის,
აბანო უნდა გავუმართოთ²⁴. პულრი იყიდე 30
კაპ. იქნება მტროც წამოთარიო. სონა, ჩემი
დისწული, თავის პატარა ქალს უაღერატებს
„ქენანი მოგდინო“. აი სიას გწერ, რაც უნდა
წამოიღო.

შენი მარადის ერთგული ამხანაგი ნატო გა-
ბუნია-ცაგარელი.

თუ კოწია შეგვხვდეს, წამოიყავინ. მანდ თურ-
მე არის, თამარა მწერდა.

12 კათათე.

წარმოდგენა 17 ამ თვეს არის. არ დაველუ-
პო, წერილს მოველით“.

¹⁶ ნატო გაბუნია-ცაგარელის წერილი ნ. გო-
ციარიძისადმი, 1910 წელი, 3 ივლისი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სათეატრო
მუზეუმი. ფონდი 1, საქმე 131, ნ-19034.

¹⁷ აქ: ცაგარელის „ხანუმა“ უნდა დაედგათ
ქარელში საქველმოქმედო მიზნით 1910 წლის
10 ივლისს, დაიდგა თუ არა ცნობილი არ არის.
ცნობილია მხოლოდ, რომ წარმოდგენა იმავე
წლის 17 ივლისს გაიმართა.

¹⁸ ნატო გაბუნია-ცაგარელის წერილი ნ. გო-
ციარიძისადმი, 1910 წლის 8 ივლისი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სათეატრო
მუზეუმი. ფონდი 1, საქმე 131, ნ-19035.

¹⁹ აქც: ცაგარელის „ხანუმა“.

²⁰ „ხანუმას“ ერთ-ერთი მოქმედი პირი, 1910
წლის 17 ივლისს ს. ქარელში მივიჩნას როლი
ა. თობლაძემ შეასრულა.

²¹ ნ. გაბუნისა წერილი ნ. გოციარიძისადმი.
1910 წლის 12 ივლისი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სათეატრო
მუზეუმი. ფონდი 1, საქმე 131 ნ-11040.

²² სცენისმოყვარე.

²³ აქც: ცაგარელის „ხანუმა“.

²⁴ 1910 წლის 17 ივლისს ს. ქარელში საქველ-
მოქმედო მიზნით გაიმართა.

ნ. გაბუნელმა ამ წარმოდგენაში უქანასკნელად
მიიღო მონაწილეობა, იმავე წლის 16 აგვისტოს
გარდაიცვალა.

ძიება გრძელდება

ზაზა ბრეზაძე

მხოლოდ დიდ სიყვარულს შეუძლია შექმნას საოცრება. მას ძალეუძს დაამყვიდროს ახალი. მას ემორჩილება საიდუმლოებათა გასაღები. მისი ძლიერი აზრი მხოლოდ ახალი გზით დადის.

„მე მუდამ მიყვარდა ეს განმარტოებული გორაკები — და ეს იყო ის ღობე, რომელიც ჩემს ჰორიზონტს ფარავდა“. — გვახსენდება სტრიქონები პოეტის ლექსიდან.

დავით კლდიაშვილს უზომოდ უყვარდა იმერეთის გორაკები, მის ფერდებზე დამკვიდრებული ხალხი „და ეს იყო ის ღობე, რომელიც მის ჰორიზონტს ფარავდა“.

ამ ღობის შიგნით კი არაფერა არსებობდა მისგან დაფარული, ყველა საიდუმლო გახსნილი იყო მისი თვალუბრისათვის, რადგან ისინი მხოლოდ საყვარულით, დიდი საყვარულით იშვარებოდნენ.

იმერეთის, ამ აღზნებული კაცის ფაქტობრივით ჩახლართულ ბილიკებში გზად „აუღვივანა“ მწერალი დარისპანს და მის მშვენიერ შინაბერას, მოუსმინა, უთანაგრძნო საყვარულით გასაჭირში და სამუდამოდ დაუმკვიდრა ადვილი ქართულ სტენოგრაფიას.

„ომერტული დიალოგის“ უბადლო ოსტატს დარისპან ქარსიძეს მწერალმა ყველა თვისება შეუნარჩუნა და იმდენად გაზარდა ჩვენს თვალში, ერთ შეხედვით თითქოს ამ ჩვეულებრივ სიტუაციაში, რომ წლები გადვან და ასე შევსცქერით, როგორც ახლა, აი ამ წუთში შექმნილს, მაგრამ უკვე არა როგორც უბრალო მოვლენას, არამედ როგორც იშვიათს და ამასთან ერთად მონუმენტალურს.

თითქმის არ დაჩენილა დიდი მწერალი, რომ მის განვლილ ცხოვრებას (რა გინდ კარგად შესწავლილიც იყოს) ლეგენდები არ ახლდეს.

შეიძლება ყველაზე დარბი ამ მხრეც დავით კლდიაშვილი იყოს, მაგრამ ისიც ვერ აცდა ამ ალბათ საჭირო კანონზომიერებას.

ერთხელ თურმე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ახალგაზრდობას შეხვედრა მოწყვეთა საყვარელი მწერლისათვის. სპეციალურად გამოყოფილმა ამ შეხვედრისათვის მომზადებულმა მომხსენებელმა, რომელმაც, ეტყობა

მონდომება არ დაეკლო და გამოიყენა მწერლის შემოქმედების გარშემო არსებული კრიტიკული ლიტერატურა, გაიმეორა გაბატონებული მცდარი შეხედულება და ამავე დროს ხაზიც გაუსვა დავით კლდიაშვილის „განსაკუთრებულ დამსახურებას“, თითქოს მწერალმა გაამართახა, სამარცხვინო ბოძზე გააყრა თავისი გმირები, დღის სინათლეზე გამოიყვანა, სატიროს ცეცხლში გაატარა ისინი.

ისედაც გულთბილი შეხვედრისაგან გულაღუყებულ მცხოვან მწერალს თავი ვერ შეუთავებია და აცრემლებულა. არა მეგობრებო, არა, — უთქვამს — მე არც გამომათრახება და არც სამარცხვინო ბოძზე გაშიკრავს, ან და როგორ შემძლო, ისინი ხომ ყველა ჩემი მეზობლები, ახლობლები და ნათესაებიაო. ასე რომ, მომავალში ვთხოვთ არ გაიმეოროთ, ის რაც დღეს აქ ჩემს გმირებს და მე მომასმენინეთ. მე ხომ მხოლოდ საყვარულით შევიწინე და დავინახე, დაიმასოვებო — მხოლოდ საყვარულით.

დროთა განმავლობაში, ბოლოს და ბოლოს ლიტერატურულმა კრიტიკამ დაადგინა ნამდვილი დამოკიდებულება დავით კლდიაშვილის თავისი გმირებისადმი.

მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მხოლოდ დრამატურგიული ნაწარმოებები დარჩა როგორც გამოუყოფელი. ცალკეულ სასარგებლო ეპიზოდურ ცდებს, რასაკვირველია, ჰქონდა ადვილი, მაგრამ საფუძვლიანი, ფუნდამენტალური კვლევა არ ჩატარებულა.

მხოლოდ დიდი სიყვარულით, მეცნიერული მკვლევარის სითამამით, მრავალი წლის მანძილზე თავადებული შრომით შეიძლება ცალკე გამოყოფილიყო, როგორც განსაკუთრებული ფენომენი, — დავით კლდიაშვილის თეატრი.

დღემდე ცნობილია შექსპირის, მოლიერის, ოსტროვსკის, ჩეხოვის, სუხოვო-კობილინისა და სხვათა და სხვათა თეატრები. მათთან ერთად დავით კლდიაშვილის თეატრი სრული უფლებებით შეიძლება არსებობდეს.

ეს ნათელი გახდა ვასილ კიკნაძის მონოგრაფიულ ნასათის ნაშრომის „დავით კლდიაშვილის თეატრის“ საშუალებით.



ქართული თეატრისათვის ამ მეტად საჭირო წიგნში, რომელშიც დავით კლდიაშვილი, როგორც თეატრალური მოღვაწე სრულყოფილად არის მოცემული, ჩვენი თეატრის ისტორიის ანალიზის თანხლებით, გარკვეულია მისი დრამატურგიული ნაწარმოებების უანართან დამოკიდებულება, ფუნქციონირება წარსულის მცდარი შეხედულებები, განხილულია კლდიაშვილისეული დიალოგი, მოცემულია მისი დაფარული საიდუმლოს ამოხსნის საჭირო მაგალითები. რაც მთავარია, პიესები იმდენად სიღრმითა და სრულყოფილად არის დანახული, რომ აქ საქმე გვაქვს ერთგვარ რეჟისორულ ექსპლუაცირებთან. ეს კი ნაშრომს ორიგინალურს ხდის.

წიგნის ავტორი საფუძვლიანად იცნობს არსებულ ლიტერატურას, სათანადო ტაქტით იყენებს მათ, უპირისპირებს ზოგიერთ მათგანს ახალ მოსაზრებებს და მათ დამაჯერებლად ასახულებს.

წიგნის ავტორმა პირველმა გამოაქვეყნა ფრაგმენტები დავით კლდიაშვილის დაუმთავრებელი პიესებიდან და დაურთო მოკლე ისტორია და საქმიანი ანალიზი.

დავით კლდიაშვილის დადგმებს ხანგრძლივად ისტორია გააჩნია. ვ. კიცნაძემ გაგვიცნო მისი ცელოში და მის ფარგლებს გარეთ დადგმული თითქმის ყველა სპექტაკლის ხასიათი. მკვლევარი ამ დაკვირვებას იძლევა პირველი დადგმებიდან დღემდე. ამით ჩვენ გვექნება საშუალება დავუკვირდეთ ამ გრძელ გზას.

არც დავით კლდიაშვილის მოთხრობების ინსცენირებების დადგმებს იგიწყებს ავტორი და ამით გვექმნება საფუძვლიანი წარმოდგენა დავით კლდიაშვილის თეატრის შესახებ.

მრავალი თავისაგან შემდგარ წიგნა, რომელმაც სრული შთაბეჭდილება შეგვიქმნა დიდი მწერლის დრამატურგიულ მემკვიდრეობაზე, ავტორი ავკირვინებს ბოლო შემაჯამებელი თავით — „ძიება გრძელდება“.

აქ ჩანს ავტორის სურვილი არ მოაკლოს მომავალში ყურადღება დავით კლდიაშვილის თეატრს. თანაც ეს გაისმის როგორც მოწოდება, თხოვნა ქართული თეატრის მოღვაწეებ-სადმი, რათა მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ და კვლავ გაგრძელდეს ძიება სიყვარულით სასვე მწერლის თეატრის შენებისა.

„ლენინი და ხელოვნება“

გამომცემლობა „განათლება“, საქართველოს თეატრალური საზოგადოების შეკვეთით, გამოსცა ოთარ ეგაძის კაპიტალური ნაშრომი „ლენინი და ხელოვნება“. ეს წიგნი ამჟამად წარმოადგენს მეორე შედგენულ გამოცემას. მის პირველ გამოცემას მკითხველი თავის დროზე ინტერესით შეხვდა და სწრაფად გავრცელდა.

წიგნი შედგება შვიდი თავისაგან. პირველ თავში ავტორს გაშუქებული აქვს კომუნისტური პარტიის წარმართეული როლი საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში, მეორე თავში — ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება სიმფერისადმი, მესამეში — ვ. ი. ლენინის ბრძოლა ხელოვნების პარტიულობისათვის, მეოთხეში — ვ. ი. ლენინის მითითებანი ვაზ. „პრაქტის“ ფურცლებზე ხელოვნების საკითხების ფართოდ გაშუქების შესახებ, მეხუთეში — ვ. ი. ლენინის „შეხვედრულეები ხელოვნებაზე ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, მეექვსე თავში ავტორი გვაცნობს ვ. ი. ლენინის თვალსაზრისს ბურჟუაზიული ხელოვნების კლასობრივი რაობის შესახებ, მეშვიდეში კი — ვ. ი. ლენინის დამოკიდებულებას ძველი მხატვრული ინტელიგენციისადმი.

ოთარ ეგაძე ცდილობს ღრმად ჩასწვდეს ვლადიმერ ილიჩის ესთეტიკურ პრინციპებს და გვიჩვენოს მისი თანმიმდევრული ბრძოლა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობისათვის, რისთვისაც უხვად იყენებს პირველ წყაროებს, დიდი ბელადის თანამებრძოლთა მოგონებებსა და სხვა მასალებს.

რასაკვირველია, ავტორს, როგორც ამას წინასიტყვაობაშიც აღნიშნავს, იმის პრეტენზია არა აქვს, რომ ქართულ ენაზე ამ პირველ ნაშრომში მოცემულია მხატვრულ შემოქმედებაზე ვ. ი. ლენინის მოძღვრების ყოველმხრივი და ამომწურავი გაშუქება, მას, ბუნებრივია, ნაკლოვანებებიც აღმოაჩნდება, მაგრამ იმედს გამოსთქვამს, რომ მკითხველთა და სპეციალისტთა გულწრფელი შენიშვნები და რჩევა დაეხმარება შემდგომი გამოცემისას ნაშრომი უფრო სრულყოფილად.

წიგნი ტექნიკურად კარგად არის გამოცემული. მისი რედაქტორები არიან ა. დვალისვილი და ვ. კაცაძე, მხატვარი — დ. გრიგოლა. წიგნი შეიცავს 512 გვერდს და ღირს 2 მან. 60 კაპ.

„თამარ ჭავჭავაძე“

საქართველოს თეატრალური საზოგადოების შეკვეთით გამოცემლობა „ხელოვნება“ გამოსცა ნ. შენავირაძის მონოგრაფია „თამარ ჭავჭავაძე“, რომელშიც ავტორი აგვიწერს გამოჩენილი მსახიობის ცხოვრებას, ანალიზებს მის შემოქმედებას და წარმოგვისახავს მსახიობის წვლილს ქართულ თეატრის ისტორიაში.

წიგნი იწყება წინათქმით, სადაც ავტორი მოკლედ გვიხატავს თ. ჭავჭავაძის შემოქმედებით ინდივიდუალობას. მომდევნო თავები დასათურებულა შემდგენიარად: „ჭავჭავაძიანთ ყვარელში“, „თელავისა და თბილისის გიმნაზიაში“, „ხარკოვში“, „ისევ სამშობლოში“, „ლი-

დების კარიბჭესთან“, „დიდება“, „რომანტიკა“, „პუროკა“, „დიდი ენებები“, „მუამბოზე სული“, „მოქალაქეობრივი პათოსი“, „სიცოცხლის სიყვარული“, „ღელა“, „შინ და გარეთ“, „უკანასკნელი როლი“ და „ფერისცვალება“.

წიგნს ერთვის ავტორის მიერ შედგენილი თ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი თარიღები და რეპერტუარი. წიგნი მდიდარია ილუსტრაციებით, მას ამშვენებს მხატვარი ზ. კაპანაძის მიერ შესრულებული გარეკანი.

წიგნი შეიცავს 166 გვერდს ტირაჟი 5000 ეგვ. ფასი 1 მან 51 კაპ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გალაქტონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავი	3
დავით კლდიაშვილი — მშენებელი და სიამაყე ქართული ლირიული პოეზიისა შალვა დადიანი — გალაქტონის ახლოს	4
ია ეკალაძე — მკვთველებს	4
განდუგული — სადღესიოდ	5
ვისილ კიკნაძე — გალაქტონ ტაბიძე და თეატრი	6
კარლო კალანდაძე — ერთი ეპიზოდი ორი პოეტის ცხოვრებიდან	8
შალვა ფურცხვანიძე — ერთი სურათის ისტორია	10
ლევან შენგელია — გალაქტონის ექსპრომტი	11

რესპუბლიკის თეატრალურ აზიზასთან

მერაბ გეგია — „იელოუს კეისარი“ რუსთაველის თეატრში	12
ივანე დავითიანი — მხიარული სპექტაკლი	15
მარგო გოგოლაშვილი — სტუმრად მეზობელ რაიონში	16
ნესტან კვიციანი — მთავრის სახელობის თეატრში	17

სახალხო თეატრის 80 წლისთავისადმი

ვასო კობიძე — ოცდაათიანელთა პირობები	19
გივი ჭაოშვილი — სოფრომ მგალობლის დრამატურგია	23
გიორგი მარკოზაშვილი — შეხვედრები ვერაკო ანჯაფარიძესთან	26

ჩვენი იუბილარები

ტარიელ ხავთასი — რევაზ ქინქლაძე	28
დოდო ზურაბიშვილი — 40 წელი თეატრში	29

ღვწევისნილთა გახსენება

ლადო გეგეკორი — ჩემი მოგონებები	31
---	----

გამოთხოვება

ერემია ქარელიშვილი — დაუვიწყარი შტრიხები	35
პოლოკარბე (პოკო) მურღულია	39

ჩვენი პუბლიკაციი

ია ქაზინაძე — ნატო გაბუნია-ცაგარლას წერილები	40
--	----

თეატრალური წიგნის თარო

ვაჟა ბრეგაძე — ძიება გრძელდება	43
„ლენინა და ხელოვნება“	45
„თამარ ჭავჭავაძე“	45

СО Д Е Р Ж А Н И Е

80 лет со дня рождения Галактиона Табидзе	3
Давид Квдиашвили. — Украшение и гордость грузинской лирической поэзии	4
Шалва Дадияни — Рядом с Галактионом	4
Иа Экаладзе — Читателям	4
Гандегили — Сегодняшнее	5
Василий Кикнадзе — Галактион и театр	6
Карло Каландадзе — Один эпизод из жизни двух поэтов	8
Шалва Пурцхванидзе — История одной картины	10
Леван Шенгелия — Экспромт Галактиона	11

У ТЕАТРАЛЬНОЙ АФИШИ РЕСПУБЛИКИ

Мераб Гегია — «Юлий Цезарь» в театре им. Руставели	12
Иван Давитиани — Веселый спектакль	15
Марго Гоголашвили — В гостях в соседнем районе	16
Нестан Квейдзе — В театре имени Маяковского	17

К 80-ЛЕТИЮ НАРОДНОГО ТЕАТРА

Васо кобидзе — Профили деятелей 30-х годов	19
Гиви Джаошвили — Драматургия Софрома Мгалоблишвили	23
Георгий Маркозашвили — Встреча с Верико Анджапаридзе	26

НАШИ ЮБИЛЯРЫ

Тариэл Хавтаси — Реваз Квикладзе	28
Додо Зурабишвили — Сорок лет в театре	29

ВСПОМНИМ ЗАСЛУЖЕННЫХ

Ладо Гегечкори — Мои воспоминания	31
---	----

ПРОЩАНИЕ

Еремия Карелишвили — Незабываемые штрихи	35
Поко Мургулия	39

НАШИ ПУБЛИКАЦИИ

Иа Кабзинадзе — Письмо Нато Габуния-Цагарели	40
--	----

КНИЖНАЯ ПОЛКА

Важа Брегадзе — Поиск продолжается	43
«Ленин и искусство»	45
«Тамар Чавчавадзе»	45

ВЕСТНИК

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси — 1973

№ 5 (75)

ფასი 25 კაპ.
Цена 25 коп.

გადაეცა წარმოებას 1/Х-73 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/Х1-73 წ.